საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
www.geworld.ge
№16 (440)
9 – 15 მაისი, 2018
# საქართველო და მსოფლიო
ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru



12 **ღვინის ექსპორტში ჭეშმარიტება**

2018 წლის ოთხ თვეში ქართული ღვინის ექსპორტმა რუსეთში 47%-ით მოიმატა და 16,2 მილიონი ბოთლი შეადგინა



4 **არასოდეს დაივიწყოთ დიდი სამამულო ომის ვეტერანები, მათ ხომ ფაშიზმისგან იხსნეს კაცობრიობა**




## დიახ, 1941-1945 წლების ომი ქართველებისთვის დიდი სამამულო ომი იყო! 6

## ხალხს შია, ბატონებო, შია! 9



«ქართული ოცნებისთვის» საჩვენებელი წითელი ბარათი ამომრჩეველს უკვე ხელში უჭირავს



გიორგი კვირიკაშვილი:
**ჩვენ შევქმენით 40 ათასი სამუშაო ადგილი**

## ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს




| Country | Last | |
|---|---|---|
| Cape Verde | 12.20 | Dec/17 |
| Iran | 11.90 | Dec/17 |
| Georgia | 11.80 | Dec/16 |
| Algeria | 11.70 | Sep/17 |
| Mauritania | 11.66 | Dec/16 |

**საქართველო უმუშევრობის დონის მაჩვენებლით აუტსაიდერ ქვეყნებს შორისაა** 8

## ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტს 15 მილიონს ედავებიან 11



## ქონდომების დედოფალო, მარტი გაგვიმ-«აიის»-ე 12

**საქართველოს ხელისუფლების გასაგონად!**

საქართველოში გამოხატვის თავისუფლების საბაბით პრეზერვატივებზე წმინდანებს გამოსახავენ, არ ერიდებიან ქრისტიანული სიწმინდეების წაბილწვასა და შეურაცხყოფას, უნგრეთში კი ხალხი, პრემიერმინისტრ ორბანის ხელმძღვანელობით, უცხოელებისგან ქვეყნის დაცვას ქრისტიანული დემოკრატიის აშენებით აპირებს.

მამა გიორგი (რაზმაძე): 3

## როდესაც ლგბტ თემის წარმომადგენელი ყვირის, მეზიზღებითო, ეს თურმე მისი უფლებაა, მაგრამ შენ რომ უთხრა მას იგივე, უკვე ჰომოფობი ხარ

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**შესაძლოა, პრეზიდენტის გუნდმა ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, როდესაც ოპონენტებს მოუწოდა, ბრალდებები პროკურატურაში გადაამისამართონ ან მარგველაშვილის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყონ. ეს თითქოს ლოგიკური იყო, მაგრამ შესაბამისი განცხადებების ქვეტექსტში იგრძნობოდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა სურვილი, მარგველაშვილი რეჟიმის მსხვერპლად წარმოაჩინონ.**

# პრეზიდენტის გაქცევა

**2 მაისს პარლამენტში მომხდარმა ინციდენტმა კიდევ ერთხელ წამოწია წინ პლანზე პრეზიდენტისა და მმართველი პარტიის ურთიერთობის თემა. მიუხედავად იმისა, რომ მომხდარს პრინციპული პოლიტიკური მნიშვნელობა არ ჰქონდა, ის საპრეზიდენტო არჩევნების წინ შექმნილი სიტუაციის საკმაოდ კარგ ილუსტრაციას წარმოადგენს.**



კონფლიქტი 2 მაისს, მას შემდეგ დაიწყო, რაც **მარგველაშვილმა**, ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლის შემდეგ, მოისურვა, რომ დეპუტატების კითხვებზე პასუხი დაუყოვნებლივ გაეცა და არა დასკვნით სიტყვაში. პარლამენტის თავმჯდომარემ განუცხადა, რომ ეს რეგლამენტს ეწინააღმდეგება. მათ შორის ხანმოკლე კამათი გაიმართა და პრეზიდენტი სხდომათა დარბაზიდან გავიდა, ხოლო მას შემდეგ, რაც დეპუტატებმა დებატების ფორმატის შეცვლას მხარი არ დაუჭირეს, პარლამენტი დატოვა.

პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლის წესი წლების განმავლობაში არ შეცვლილა. მას ემორჩილებოდნენ **შევარდნაძეც** და **სააკაშვილიც**. მართალია, 2012 წელს სააკაშვილმა ვერ მოითმინა და **ჯონდი ბაღათურია**, რომელიც მისი ნათესავების ბიზნესინტერესებზე საუბრობდა, ჯერ შეურაცხყო, შემდეგ დაემუქრა, ბოლოს კი დარბაზიდან გაიქცა (მოგვიანებით დაბრუნდა), მაგრამ მთლიანობაში **მარგველაშვილის წინამორბედები რეგლამენტის შესაბამისად მოქმედებდნენ (ცალკე თემაა 2005-2008 წლების პერიოდი, როდესაც სააკაშვილი დარბაზს სიტყვის დასრულებისთანავე ტოვებდა). მათი მოკლე რეპლიკები და დაზუსტებები დეპუტატების გამოსვლის დროს დიდ დარღვევად არავის ჩაუთვლია. შეეძლო თუ არა მარგველაშვილს, ანალოგიურად მოქცეულიყო ან სხვა, ნაკლებად კონფრონტაციული ტაქტიკა აერჩია?**

ცხადია, საქართველოში ნებისმიერი ესკალაცია შეიძლება ემოციურობით აიხსნას, თუმცა გამორიცხული არაა, რომ პრეზიდენტის დემარშის უკან ცივი გათვლა იდგა. მარგველაშვილმა იცოდა, რომ უმრავლესობის დეპუტატები აპირებდნენ, „განკითხვის დღე" მოუწყონ, ისაუბრონ შეწყალების უფლების საეჭვო გამოყენებაზე, კოლოსალურ სამივლინებო ხარჯებზე და ა.შ. ამაზე ნათლად მიუთითებს ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარის, **მამუკა მდინარაძის**, ბრალდებები პარლამენტის 2 მაისის სხდომაზე: „თქვენ შეიწყალეთ ოჯახის წევრი, რომელსაც 17 წლიდან მოახდევინეთ მხოლოდ სამი წელი და ეს მოხდა შესაბამისი კომისიის გვერდის ავლით. ეს ხდება იმ ფონზე, როდესაც, მაგალითად, დამოუკიდებელი ესტონეთის ყველა პრეზიდენტმა ერთად აღებული, ათჯერ ნაკლები მსჯავრდებული შეიწყალა, ვიდრე მხოლოდ 2017 წელს თქვენ ეს გააკეთეთ, ამ წელს 831 მსჯავრდებულზეა საუბარი... **უკანასკნელ წლებში პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილის მიერ შეწყალებულია 55 მსხვილი ნარკორეალიზატორი, შეწყალებული მსჯავრდებულებიდან 575-მა ხელმეორედ ჩაიდინა 672 სხვადასხვა სახის დანაშაული, რომელთაგან 189 მძიმე და განსაკუთრებით მძიმე შემთხვევა იყო, აქედან 40 – ძალადობისა და ოჯახური ძალადობის შემთხვევა".**

ცხადია, პრეზიდენტს არ შეეძლო დებატებისთვის ბოიკოტი გამოეცხადებინა მხოლოდ იმიტომ, რომ კრიტიკა არ მოსწონს და ვერ გამოვრიცხავთ, რომ მან გადაწყვიტა, მიზნის მისაღწევად ირაკლი კობახიძის „სუსტი წერტილი" გამოეყენებინა.

**პარლამენტის თავმჯდომარე საოცარ სიხისტეს ავლენს იქ, სადაც საქმე იმ რეალური თუ წარმოსახვითი ნორმების დარღვევას ეხება, რომელიც მისი კომპეტენციის სფეროში შედის. შესაძლოა, ამით ის პოლიტიკურ ელიტაში თუ ამომრჩევლებში არასაკმარისი ავტორიტეტის კომპენსირებას ცდილობს, თითქოს უმტკიცებს მათ, რომ „დიდი ნაჩალნიკია" და მის უკან კანონის ძალა დგას. შეგვიძლია გავიხსენოთ ცნობილი ინციდენტი ფილარმონიაში, როდესაც იმის ნაცვლად, რომ მოქნილობა გამოევლინა და ოპონენტებთან კომუნიკაციის რაღაც ახალი ფორმა გამოენახა, კობახიძე ჯიუტად (და უშედეგოდ) ცდილობდა, შეხვედრა იმ კალაპოტში დაებრუნებინა, რომელიც სწორად მიაჩნდა.**

მარგველაშვილს, სავარაუდოდ, ესმოდა, რომ კობახიძის რეაქცია რეგლამენტის უგულებელყოფაზე ანალოგიური იქნებოდა და ეს შექმნიდა საბაბს, რომელიც პრეზიდენტს დარბაზიდან გასვლის, რეალურად კი კრიტიკისგან გაქცევის შესაძლებლობას მისცემდა. იმის ნაცვლად, რომ მოქნილობა გამოევლინა ან რაღაც ირონიული საპასუხო რეპლიკა მოეძებნა და მარგველაშვილის ჩანაფიქრი ჩაეშალა, კობახიძემ დაუყოვნებლივ მოაქცია პრობლემა ჩარჩოში „შეიძლება-არ შეიძლება" (იურისტების ნაწილი ხშირად სწორედ ასე იქცევა): **„ბატონო გიორგი, თანხმობა უნდა აგიღო მაშინ პარლამენტისგან, თორემ ეს არის რეგლამენტის დარღვევა. ჩვენ გვაქვს დამტკიცებული რეგლამენტი. პრინციპში, პარლამენტის თანხმობაც არ არის საკმარისი ამისათვის იმიტომ, რომ რეგლამენტით ზუსტად არის დადგენილი დებატების პროცედურა". ის, რომ იურიდიული თვალსაზრისით კობახიძე მართალი იყო, ერთია, მაგრამ სულ სხვაა პოლიტიკური შედეგი — საზოგადოების ნაწილმა მომხდარი აღიქვა ისე, თითქოს პრეზიდენტს პარლამენტში აზრის თავისუფალი გამოხატვის უფლება შეუზღუდეს.** ამ კონტექსტში ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რამდენად ღირებულია აზრი — მთავარია უფლება. შედეგად, მატჩი, რომელიც, ერთი შეხედვით, უნდა დასრულებულიყო ანგარიშით 3:0 საპარლამენტო უმრავლესობის სასარგებლოდ, ფრედ — 1:1 დასრულდა. ზოგმა შეიძლება ჩათვალოს, რომ ეს იყო 2:1, რადგან პრეზიდენტის გაქცევა პარლამენტიდან ძალზე სამარცხვინო ფაქტია, თუმცა ტრიუმფალურ გამარჯვებას ნებისმიერ შემთხვევაში არ ჰქონია ადგილი.

**მარგველაშვილის წინამორბედები რეგლამენტის შესაბამისად მოქმედებდნენ (ცალკე თემაა 2005-2008 წლების პერიოდი, როდესაც სააკაშვილი დარბაზს სიტყვის დასრულებისთანავე ტოვებდა). მათი მოკლე რეპლიკები და დაზუსტებები დეპუტატების გამოსვლის დროს დიდ დარღვევად არავის ჩაუთვლია. შეეძლო თუ არა მარგველაშვილს, ანალოგიურად მოქცეულიყო ან სხვა, ნაკლებად კონფრონტაციული ტაქტიკა აერჩია?**

ცხადი იყო, რომ კობახიძე მომდევნო დღეებშიც არ გაჩერდებოდა, რადგან ტელემაყურებლის თვალწინ მისი, როგორც ქართული პარლამენტარიზმის მთავარი ქურუმის, წარმოსახვითი სტატუსი შეილახა; მას „მისივე ტერიტორიაზე" არ დაემორჩილნენ. უკვე 3 მაისს მან განაცხადა, რომ „საქართველოს პრეზიდენტმა 2016 წელს, წლის განმავლობაში საგარეო მივლინებებზე იმაზე მეტი თანხა დახარჯა, ვიდრე საქართველოს პარლამენტმა. წარმოიდგინეთ, ერთი პოლიტიკოსი 200-მდე თანამშრომლით ხარჯავს იმაზე მეტს, ვიდრე საქართველოს პარლამენტი 150 პოლიტიკოსითა და 700-მდე თანამშრომლით. დავინტერესდი, როგორ შეიძლება გიორგი მარგველაშვილს ასეთი მაჩვენებელი მიეღო. ვნახე, რომ, მაგალითად, სასტუმროში საქართველოს პრეზიდენტი ხარჯავს ოთხჯერ, ხუთჯერ და ზოგჯერ შვიდჯერ მეტს, ვიდრე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ან ნებისმიერი დეპუტატი" (ინტერპრესნიუსი).

თუ მსგავსი კრიტიკული გამოსვლები გაგრძელდება, მარგველაშვილს შესაძლებლობა მიეცემა, არჩევნების წინ თავი „ქართული ოცნების" მთავარ, გამორჩეულ ოპონენტად წარმოაჩინოს, რაზეც ნებისმიერი კანდიდატი ოცნებობს, რათა ხელისუფლებასთან დაპირისპირებული ელექტორატი მოიზიდოს. ის პოლიტიკურ რეალობას შემდეგი შაბლონის მიხედვით აღიქვამს: „თუ ხელისუფლება ებრძვის, ესე იგი მართალი კაცია". **შესაძლოა, პრეზიდენტის გუნდმა ტაქტიკური შეცდომა დაუშვა, როდესაც ოპონენტებს მოუწოდა, ბრალდებები პროკურატურაში გადაამისამართონ ან მარგველაშვილის იმპიჩმენტის პროცედურა დაიწყონ. ეს თითქოს ლოგიკური იყო, მაგრამ შესაბამისი განცხადებების ქვეტექსტში იგრძნობოდა პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა სურვილი, მარგველაშვილი რეჟიმის მსხვერპლად წარმოაჩინონ.** სწორედ ამის შემდეგ მამუკა მდინარაძემ მოუწოდა კოლეგებს პოლემიკის შეწყვეტისკენ: „მარგველაშვილი ცდილობს, თავი ჩაგრულად წარმოაჩინოს და ამით მოიპოვოს საზოგადოების მხარდაჭერა. ამასთანავე, ჩართოს საქართველოს პარლამენტი „დაჩაგრული პრეზიდენტის" იმიჯის შექმნის კამპანიაში".

**მარგველაშვილის რეიტინგი საკმაოდ დაბალია და არჩევნებში მონაწილეობაზე უარის თქმის იდეა მის გარემოცვაში ნამდვილად განიხილებოდა (საკითხი დღის წესრიგიდან მოხსნილი ჯერჯერობით არაა). დისტანცირება პროცესისგან, როგორც წესი, უფრო მომგებიანია, ვიდრე სამარცხვინო შედეგი.** ამ კონტექსტში ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ უკრაინის პრეზიდენტი **ვიქტორ იუშჩენკო**, რომელმაც 2010 წლის არჩევნებში ხმების მხოლოდ 5,45% მიიღო. ამ კრახმა, პრაქტიკულად, გამორიცხა მისი შემდგომი მონაწილეობა პოლიტიკაში, მაშინ, როდესაც პაუზა გარკვეულ (თუმცა მცირე) შანსებს უტოვებდა. **თუ მარგველაშვილის დაპირისპირება „ქართულ ოცნებასთან" იმავე კალაპოტში გაგრძელდება, როგორშიც ბოლო დღეებში იყო, მას მიეცემა თუნდაც მცირე შანსი, არ ჩამორჩეს იმ კანდიდატებს, რომლებიც მეორე ადგილისთვის იბრძოლებენ. მმართველი პარტიის დამარცხება კი დღევანდელ ვითარებაში, ოპოზიციის სისუსტის გათვალისწინებით, პრაქტიკულად, შეუძლებელი ჩანს.**

მისაღები შედეგი „ვერცხლის მედლისთვის" ბრძოლაში მარგველაშვილს შესაძლებლობას მისცემს, იქცეს შემაკავშირებელ ფიგურად მცირე დაქსაქსული ჯგუფებისთვის, რომლებიც ზომიერი ლიბერალებისა და კონსერვატორების ინტერესთა თანხვედრის სივრცეში ტივტივებენ. მათი ჰიპოთეტური ალიანსი ხელს შეუშლის „ევროპული საქართველოს" მიერ შესაბამისი ელექტორატის ათვისებას, რაც მთლიანობაში ჯდება ძალთა ახალი ბალანსის შექმნის იდეაში, რომელიც ივანიშვილის გარემოცვაში ჯერ კიდევ კოალიციის დაშლის პერიოდიდან განიხილება. მართალია, რამდენიმე პროცენტის განაწილება სუსტ პარტიებს შორის განსაკუთრებულს არაფერს წყვეტს, მაგრამ „ქართული ოცნებისთვის", სავარაუდოდ, სასურველია, რომ ამ ნიშაში კონკურენცია შენარჩუნდეს, ხოლო „ევროქართველებმა" გაფართოება, უპირველესად, ძველი „ნაცმოძრაობის" ელექტორატის ხარჯზე მოახდინონ.

**მარგველაშვილი სუსტი და გაუბედავი პოლიტიკოსია, მაგრამ ყოფილი პრეზიდენტის სტატუსი უცხოელი პარტნიორების თვალში გარკვეულ წონას სძენს. „კონსტრუქციულ ოპოზიციაში" („კონსტრუქციული" ქართულ პოლიტიკურ ჟარგონზე, როგორც წესი, „მარიონეტულს" ნიშნავს) ასეთი ლიდერების დაწინაურება ივანიშვილისთვის, პრინციპში, მისაღებიცაა და სასარგებლოც, ამიტომ გამორიცხული არ არის, ხელს აძლევდეს მარგველაშვილის რეიტინგის გარკვეული „ამოქაჩვა", თუნდაც ეს პრეზიდენტისა და საპარლმენტო „ახალგაზრდა გვარდიის" კონფლიქტის ხარჯზე მოხდეს. ივანიშვილი ამით ნებისმიერ შემთხვევაში არაფერს წააგებს.**

„ბევრს დღეს „რუსთავი 2“-ის უფრო ეშინია, ვიდრე ღმერთის, მათ შორის იმ ადამიანებსაც, რომლებიც თავისი მდგომარეობითა და ცხოვრების წესით სამაგალითონი უნდა იყვნენ ღვთისმოშიშობისა... სამარცხვინოზე სამარცხვინოა ეს ყველაფერი“.

ხმა ბერისა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## მამა გიორგი (რაზმაძე):

# სოროსის ძუძუთი ნაკვებ ხელისუფლებას თითის ქნევა არ სჭირდება, ისედაც ანგარიშვალდებულია დასავლეთის წინაშე

**არასამთავრობო ორგანიზაცია „კოალიცია თანასწორობისთვის“ საქართველოს პარლამენტს 17 მაისს „ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის“ აღსანიშნავად დაგეგმილი ღონისძიებების გაუქმების გამო აკრიტიკებს და ხელისუფლებას ლგბტ პირთა „გამოხატვის თავისუფლების“ დაცვისკენ მოუწოდებს.**

**განცხადებაში, რომელიც 3 მაისს ორგანიზაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ საკანონმდებლო ორგანომ უნდა აღიაროს ლგბტ ადამიანების ჩაგვრის პრობლემა და შეიმუშაოს ამ ჯგუფის მიმართ უთანასწორო, დისკრიმინაციული გარემოს აღმოფხვრაზე ორიენტირებული საჯარო პოლიტიკა: „ვინაიდან პარლამენტი წარმოადგენს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების ანგარიშვალდებულების მექანიზმს, კიდევ უფრო კრიტიკული მნიშვნელობისაა, რომ მას ფუნდამენტურად გააზრებული ჰქონდეს ადამიანის უფლებების განუხრელი დაცვის პრინციპი, უმცირესობათა უფლებების მიმართ არსებული სოციალური, ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური გამოწვევების მნიშვნელობა, რათა ეფექტიანად შეძლოს კონკრეტული სამთავრობო უწყებების მაკონტროლებელი ფუნქციის განხორციელება და ამ მხრივ, სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განსაზღვრა“...**

**ცნობისთვის: ორგანიზაცია „კოალიცია თანასწორობისთვის“ 2014 წელს შეიქმნა ცნობილი ებრაელი გლობალისტის — ჯორჯ სოროსის ფონდის „ღია საზოგადოება-საქართველო“ ხელშეწყობით და დღეს იგი ლგბტ-თა უფლებებისთვის მებრძოლ შემდეგ „არასამთავრობო ორგანიზაციებს“ აერთიანებს: „ადამიანის უფლებათა სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრს (EMC), „კონსტიტუციის 42-ე მუხლს“, კავშირ „საფარს“, „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციას“ (GYLA), „ქალთა ინიციატივების მხარდამჭერ ჯგუფს (WISG)“, „პარტნიორობას ადამიანის უფლებებისთვის (PHR)“, „იდენტობას“ და საქართველოს დემოკრატიულ ინიციატივას (GDI). კულუარული ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტმა 17 მაისს „ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღის“ აღნიშვნა გადაიფიქრა, ჩამოთვლილი ორგანიზაციების ლგბტ აქტივისტებმა, შესაძლოა, მოქალაქეებს შორის დაპირისპირების მაპროვოცირებელი ღონისძიებების ჩატარება სცადონ. როგორც ჩანს, ამაში მათ უკვე სრული მხარდაჭერა აქვთ არა მხოლოდ საქართველოში მოქმედი, არამედ მსოფლიო მასშტაბის „ლიბერალური“ ორგანიზაციებისგან, რომლებიც ებრძვიან ქრისტიანობას, განსაკუთრებით — მართლმადიდებლობას და ყველაფერს, რაც ამა თუ იმ ერს იდენტობას უნარჩუნებს...**

**რა პროვოკაციები შეიძლება 17 მაისს მოაწყონ ლგბტ ღონისძიებების გაუქმებით შეშფოთებულმა „ლიბერალებმა“ და რა შეიძლება მოჰყვს ამ ყველაფერს? — „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება ავჭალის წმინდა ქეთევან წამებულის ტაძრის წინამძღვარი მამა გიორგი (რაზმაძე).**

**— მამაო, 17 მაისამდე ერთი კვირა რჩება. საზოგადოების უდიდესი ნაწილი ემზადება ოჯახის სიმტკიცისა და სიწმინდის დღის აღსანიშნავად, მაგრამ ევროკავშირის მკაცრი დირექტივაა, რომ ხელისუფლებამ „ანტიდისკრიმინაციული“ კანონის ეფექტიანად განხორციელება უზრუნველყოს. არის კულუარული ინფორმაცია, რომ ლგბტ აქტივისტები გარკვეული ღონისძიებების ჩატარებას შეეცდებიან. როგორ ფიქრობთ, ეს ყველაფერი ისევ პროვოკაციაზე იქნება გათვლილი?**

— პირველ რიგში, მინდა, **ირაკლი თოდუა** მოვიხსენიო და მივუსამძიმრო მის ოჯახს. ღმერთმა მისი სული სასუფეველში დაამკვიდროს!

რაც შეეხება შეკითხვას, ცხადია, ყველა განცხადება, კულუარული თუ ოფიციალური, რომელიც უკავშირდება ლგბტ-ების უფლებების დაცვას და ამ მიზნით რაღაც ღონისძიების ჩატარებას, მიმართულია საზოგადოების გალიზიანებისკენ. ამ საკითხში შეთანხმებულად მოქმედებს ხელისუფლება და არასამთავრობოების მეხუთე კოლონა, იმიტომ, რომ ორივეს ჰყავს ერთი მარჩენალი — **ჯორჯ სოროსი.** ახლა ვიღაცას ეს შეიძლება ცოტა ბანალურად მოეჩვენოს, მაგრამ ფაქტია, ამ „ლიბერალური“ მოძრაობების უკან დგას სწორედ სოროსი და მისი ფონდი. ამას არც მალავენ, მილიარდები აქვს ამ ადამიანს წლების განმავლობაში დახარჯული, რომ „ლიბერალიზმი“, როგორც ყველანაირი ეროვნული იდენტობისა და თვითმყოფადობის წამშლელი იდეოლოგია, მსოფლიოში გავრცელდეს ვირუსივით. ისე, სიმართლე გითხრათ, ნაკლებად მაინტერესებს, რა ღონისძიებებს გამართავენ ლგბტ-ები 17 მაისს, რაც უნდათ, ის ქნან, მაგრამ ჩვენი დღევანდელი მდგომარეობა ძალიან კომიკურია. რაც აქ ხდება, ბოდიში და, გულისამრევია. ჰოლანდია რომ ჰოლანდიაა, სადაც, ფაქტობრივად, განულებულია ყველანაირი ზნეობა და მორალი, ალბათ, იქაც კი შერცხვებოდათ ასეთი რაღაცების... ყველაზე მეტად რაც მაშფოთებს, არის ის, რომ **ბევრს დღეს „რუსთავი 2“-ის უფრო ეშინია, ვიდრე ღმერთის, მათ შორის იმ ადამიანებსაც, რომლებიც თავიანთი მდგომარეობითა და ცხოვრების წესით სამაგალითონი უნდა იყვნენ ღვთისმოშიშობისა... სამარცხვინოზე სამარცხვინოა ეს ყველაფერი.**

**«როდესაც ლგბტ თემის წარმომადგენელი ყვირის, მეზიზღებითო, ეს თურმე მისი უფლებაა, მაგრამ შენ რომ უთხრა მას იგივე, უკვე ჰომოფობი ხარ»**

**— პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტს სამოქმედო გეგმაში უწერია, რომ ყოველი წლის 17 მაისს „ჰომოფობიასა და ტრანსფობიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღე“ სპეციალური ღონისძიებებით უნდა აღინიშნოს. მიუხედავად ამისა, წელს ეს ღონისძიებები გააუქმეს. როგორ ფიქრობთ, რატომ?**

— ყველაფერი ძალიან მარტივია, ახლოვდება არჩევნები და ხელისუფლებას მხარდაჭერა სჭირდება. ჩაივლის არჩევნები და, როცა ძალაუფლებას გაინაღდებენ, ღონისძიებებსაც ჩაატარებენ და უფრო მეტსაც. აგერ ევროკავშირის მოწოდება იყო რამდენიმე დღის წინათ, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტიანად განხორციელება განუხრელად გაგრძელდეს. როგორ ფიქრობთ, ეს ნიშნავს, რომ „ლგბტ“-ებს ღონისძიებები გაუუქმონ, ან იმას, რომ ეროვნული ცნობიერების ამაღლებასა და გაღვივებას შეუწყონ ხელი?!

**— თქვენი აზრით, რას ნიშნავს?**

— ჯერ ერთი ნებისმიერი მსგავსი „მოწოდება“ „რეკომენდაცია“ არ არის, უბრალოდ, მეგობრული რჩევა, ეს ულტიმატუმია, და მეორეც, **სოროსის ძუძუთი ნაკვებ ხელისუფლებას თითის ქნევა არ სჭირდება, ის ისედაც ანგარიშვალდებულია დასავლეთის წინაშე.**

ახლა რას ნიშნავს „ანტიდისკრიმინაციული კანონის“ ეფექტიანად განხორციელება. პირველი ეტაპი იყო განსაზღვრა საკანონმდებლო დონეზე იმისა, რომ ყველა ადამიანი თანაბრად უნდა სარგებლობდეს კანონით დადგენილი უფლებებით. ცუდი თითქოს არაფერია ამაში, მაგრამ **დოკუმენტში ჩადეს სიტყვები: „სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის მიუხედავად“. მახსოვს, მაშინ ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი დაჟინებით არწმუნებდა და ამშვიდებდა საზოგადოებას, რომ ამას არ მოჰყვებოდა სხვა უფრო მიუღებელი ცვლილებები, რომ დასავლეთი არაფერს გვაძალებს და, რასაც ვაკეთებთ, მხოლოდ ჩვენ გვჭირდება.** ჯერ ერთი, თუ არ გაძალებენ, რატომ იღებ ისეთ კანონს, რომელიც შენი საზოგადოების უდიდესი ნაწილისთვის მიუღებელია და, თუ ფიქრობ, რომ ასე არ არის, ანუ მცდარი წარმოდგენა გაქვს და გგონია, ხალხს ეს უნდა, რატომ აუქმებ წინასაარჩევნოდ ლგბტ ღონისძიებებს?! სინამდვილეში **ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტიანად განხორციელება ნიშნავს, რომ ახლო მომავალში დაიწყება ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონებაზე საუბარი.** თავიდან ამას შეიძლება სხვა რამე დაარქვან, მაგალითად, სამოქალაქო პარტნიორობა, მაგრამ შინაარსი იქნება იგივე. ეს გარდაუვალია და საზოგადოების დიდი ნაწილი ამას ვერ აღიქვამს. ამიტომ ვამბობ ყოველთვის, რომ ძალიან გვიან იქნება, როცა ფაქტის წინაშე დავდგებით. ეს კურსი ჩვენ ნაბიჯ-ნაბიჯ ისე მიგვიყვანს იმ უზნეობამდე, რომელიც დასავლეთშია, რომ ბევრი ვერც გააცნობიერებს. კიდევ ვიმეორებ: გულისამრევია ეს ყველაფერი, მაგრამ, ალბათ, დადგება დრო, როცა ქართველი ხალხი ხმას ამოიღებს...

**— აქამდე რატომ არ დადგა ეს დრო?**

— როგორც ჩანს, სანამ ეს ქვეყანა განსაკუთრებულ რისხვას არ დაიტეხს თავს, მანამდე ვერავინ ვერაფერს მიხვდება. საერთოდ, ჩვენ, ქართველები, ასე ვართ — სანამ ჭერი თავზე არ ჩამოგვემხობა, ხმის ამოღება არ გვინდა. როცა დავეცემით და დავიჩოქებთ, მხოლოდ მერე შეიძლება, გონს მოვიდეთ. ეს არის უბედურება და ამას გულისტკივილით ვამბობ, ეკლესიაში კიდევ ზოგი ისეთია, შავსა და თეთრს ვერ არჩევს.

**— რას გულისხმობთ?**

— შევხედოთ ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას: ზოგი ამერიკაში დარბის, ზოგი — აქ, ზოგი — იქ. მარაზმია. ოდესმე ვინმე იფიქრებდა, რომ ასეთ დღეში აღმოვჩნდებოდით? წარმოიდგინეთ, **ლგბტ თემის წარმომადგენელი პარლამენტის კომიტეტის სხდომაზე შეიჭრა და გაჰყვირის, მეზიზღებითო. ეს თურმე მისი უფლებაა, მაგრამ შენ რომ უთხრა მას იგივე, უკვე ჰომოფობი ხარ.** ან „იმედის“ შოუ ავიღოთ, ნიგერიელი მოქალაქე აგრესიული ტონით სვამს რიტორიკულ შეკითხვას, საფრანგეთის საფეხბურთო ნაკრებში უმეტესობა შავკანიანია, რატომ არ არის აქაც მსგავსი სურათიო. წარმოგიდგენიათ, რა ამბავს ატეხენ, ქართველმა რომ დასვას ანალოგიური შეკითხვა — რატომაა ნაკრებში ამდენი შავკანიანიო. ეს არის „ლიბერალური“ ტერორი, რომელზეც გამუდმებით ვსაუბრობთ და მე, უბრალოდ, მიკვირს, რატომ ვერ ხვდებიან ამას ადამიანები, ან, თუ ხვდებიან, რატომ არიან ჩუმად. ზოგს, ალბათ, ჰგონია, რომ ეს მას არ ეხება. კიდევ ვიმეორებ, ქართული ტელევიზიების გადაცემები დღეს არის სრული მარაზმი და ყველა ქართველს ვურჩევ, არ უყუროს...

**— რჩევა გასაგებია, მაგრამ რეალურად რა ალტერნატივა აქვს საზოგადოებას, რომელ სატელევიზიო მედიაში შეიძლება მოისმინოს განსხვავებული აზრი? ან რატომ არ მუშაობს ამ მიმართულებით უფრო აქტიურად თუნდაც საპატრიარქოს ტელევიზია?**

— ერთი გენიალური ქართული ფილმი მახსენდება, „ვერის უბნის მელოდიები“: „ნუ იქნება ოღონდ ბუნტი, სხვა რაც გინდა, იყოს“ — ასე შეიმიძლია გიპასუხოთ ამ შეკითხვაზე და, ვისაც როგორც უნდა, ისე გაიგოს. ეკლესიას აქვს დიდი ძალა, მხედველობაში მაქვს ანათემა. მაინტერესებს, ეკლესია ამას რატომ არ იყენებს? იქნებ დასვას ვინმემ ეს შეკითხვა. გადასცენ ანათემას ის ადამიანები, რომლებიც დაუფარავად ებრძვიან ეკლესიას.

**— და, თქვენი აზრით, რატომ არ მიმართავენ ამ გზას, როცა, ფაქტობრივად, 24- საათიან რეჟიმში ებრძვის „ლიბერალური“ პროპაგანდა როგორც საპატრიარქოს, ისე სამღვდელოებას?**

— მეც ზუსტად ეს შეკითხვა მიჩნდება — რატომ არიან ასე უმოქმედოდ? იქნებ თქვენ დაუსვათ ეს შეკითხვა მათ, ვისაც ეხება. გული მწყდება და მრცხვენია იმის გამო, რომ დღეს ღმერთზე მეტად „რუსთავი-2“-ის ეშინია საპატრიარქოს. სხვა რა გითხრათ. ამაზე დიდი სირცხვილი არ ვიცი. ისეთი ამაზრზენი მდგომარეობა, როგორიც დღეს საქართველოშია, წარმოუდგენელია. როდესაც ხელისუფლება ასე დაუფარავად ებრძვის ეკლესიას და სულიერებას, რატომაა საპატრიარქო ჩუმად, ჩემთვის გაუგებარია...

**«ანტიდისკრიმინაციული კანონის ეფექტიანად განხორციელება ნიშნავს, რომ ახლო მომავალში დაიწყება ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დაკანონებაზე საუბარი»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ვლადიმერ ჩერნოვი: ვალდებულნი ვართ, გვახსოვდეს, რომ დიდ სამამულო ომში გამარჯვება მხოლოდ იმიტომ მოვიპოვეთ, იმიტომ ვიდექით მტკიცედ და მედგრად, რომ ერთად ვიყავით. დღესაც, როგორც მაშინ, უნდა ვიყოთ ერთად, ერთად უნდა ვიბრძოლოთ მშვიდობისთვის.**

# არასოდეს დაივიწყოთ დიდი სამამულო ომის ვეტერანები, მათ ხომ ფაშიზმისგან იხსნეს კაცობრიობა

## დიდ სამამულო ომში გამარჯვებულთა საერთაშორისო ფორუმი «ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება» ბრიანსკში

**2018 წლის 25 აპრილს ქალაქ ბრიანსკში გაიმართა დიდ სამამულო ომში გამარჯვებულთა საერთაშორისო ფორუმი „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება“. ამ ფორუმით დიდი სამამულო ომის დასრულების 73-ე და პარტიზანული მოძრაობისა და ბრძოლების 75-ე წლისთავი აღინიშნა. 1941 წლის 6 ოქტომბერს ქალაქი ბრიანსკი ფაშისტური გერმანიის ჯარებმა დაიკავეს. ბრიანსკის ტყეებში მოქმედებდა პარტიზანული შენაერთი, რომელიც 60 ათას მებრძოლს ითვლიდა. მშვიდობიანი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი კი ჰიტლერელებმა საკონცენტრაციო ბანაკებში გამოამწყვდიეს.**




1943 წლის 17 სექტემბერს ბრიანსკი საბჭოთა ჯარმა გაათავისუფლა. დღეს ეს თარიღი აღინიშნება, როგორც ქალაქის დღე. რუსეთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის, **დიმიტრი მედვედევის,** 2010 წლის 25 მარტის ბრძანებით, ბრიანსკს მიენიჭა „სამხედრო დიდების ქალაქის“ საპატიო წოდება.

საერთაშორისო ფორუმის „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება“ ორგანიზატორები იყვნენ: პოლიტოლოგიის ცენტრი „სევერ-იუგი“ (რუსეთის ფედერაცია), განვითარების ფონდი „ევრაზიის კვლევის ინსტიტუტი“, რომლებსაც მხარს უჭერს და პროექტის განხორციელებაში ეხმარება დსთ-ის ქვეყნების ჰუმანიტარული თანამშრომლობისა და საპრეზიდენტო გრანტების ფონდი.

საერთაშორისო ფორუმს, რომელიც 2010 წლიდან წარმატებით ტარდება, წელს დსთ-ის სახელმწიფოებიდან, საქართველოდან და ბალტიისპირეთის ქვეყნებიდან 250 დელეგატი ესწრებოდა. მათ შორის იყვნენ საზოგადო მოღვაწეები, პოლიტიკოსები, ისტორიკოსები, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები, ჟურნალისტები, ექსპერტები, სტუდენტები... საერთაშორისო ღონისძიების მთავარი თემა დიდ სამამულო ომში პარტიზანების თავგანწირული ბრძოლები და გმირობა იყო.

25 აპრილს, 10 საათზე, ბრიანსკის მთავარ მოედანზე საპატიო ყარაულის თანხლებით ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებიდან ჩასულმა ვეტერანებმა, ჟურნალისტებმა და ფორუმის ორგანიზატორებმა დაღუპულთა მემორიალთან, რომელთანაც მარადიული ცეცხლი გიზგიზებს, ყვავილები მიიტანეს და გმირი პარტიზანების ხსოვნას პატივი მიაგეს.

მოგვიანებით ღონისძიების მონაწილეებმა ალექსანდრე ტოლსტოის სახელობის ბრიანსკის სახელმწიფო თეატრის შენობაში გადაინაცვლეს და დაესწრნენ კონფერენციას, რომელზეც პოლიტიკოსები, საზოგადო მოღვაწეები, ისტორიკოსები და ომის ვეტერანები სიტყვით გამოვიდნენ.

სხდომა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული და რეგიონთაშორისი კავშირების სამმართველოს ხელმძღვანელმა **ვლადიმერ ჩერნოვმა** გახსნა. მან პრეზიდენტ **ვლადიმერ პუტინის** მისასალმებელი სიტყვა წაიკითხა: **„ჩვენი ვალია, დავიცვათ სიმართლე გმირების შესახებ, მტკიცედ აღვუდგეთ წინ ისტორიის ფალსიფიცირების ყველა მცდელობას. დარწმუნებული ვარ, წმინდა ხსოვნა 1945 წლის მაისის გამარჯვებაზე, ჩვენი მამებისა და ბაბუების, რომლებიც ჩვენი ქვეყნის თავისუფლების სადარაჯოზე იდგნენ და მსოფლიო იხსნეს ფაშიზმისგან, მუდამ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში. ჩვენი სახელმწიფო კი მუდამ იდგება ხალხთა მეგობრობის სადარაჯოზე“,** — ნათქვამი იყო რუსეთის პრეზიდენტის მისასალმებელ სიტყვაში.

თვით **ვლადიმერ ჩერნოვმა** გამოსვლისას განაცხადა: **„ვალდებულნი ვართ, გვახსოვდეს, რომ დიდ სამამულო ომში გამარჯვება მხოლოდ იმიტომ მოვიპოვეთ, იმიტომ ვიდექით მტკიცედ და მედგრად, რომ ერთად ვიყავით. დღესაც, როგორც მაშინ, უნდა ვიყოთ ერთად, ერთად უნდა ვიბრძოლოთ მშვიდობისთვის“.**

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების საკითხებში — **მიხეილ შვიდკოი: „დღეს ყველა ქვეყანა თავის ისტორიას წერს, მაგრამ დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა არა ინტერპრეტაცია, არამედ ისტორიული სიმართლე, პირველ რიგში, სიმართლე დიდ სამამულო ომსა და მეორე მსოფლიო ომზე. აუცილებელია, სრული სიმართლე ვუთხრათ ახალგაზრდა თაობებს. ჩვენ არაფრის უნდა გვრცხვენოდეს, რადგან ვიცით, ვინ დაიწყო ეს ომი, ვინ მოიგო და ვინ დაიკისრა მასზე პასუხისმგებლობა. ეს ფორუმი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ჩვენ, ყველამ, ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ ერთად გავიმარჯვეთ“.**

**მიხეილ შვიდკოი: დღეს ყველა ქვეყანა თავის ისტორიას წერს, მაგრამ დღეს, როგორც არასდროს, საჭიროა არა ინტერპრეტაცია, არამედ ისტორიული სიმართლე, პირველ რიგში, სიმართლე დიდ სამამულო ომსა და მეორე მსოფლიო ომზე. აუცილებელია, სრული სიმართლე ვუთხრათ ახალგაზრდა თაობებს. ჩვენ არაფრის უნდა გვრცხვენოდეს, რადგან ვიცით, ვინ დაიწყო და ვინ მოიგო ეს ომი, ვინ დაიკისრა მასზე პასუხისმგებლობა. ეს ფორუმი კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ჩვენ, ყველამ, ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანამ ერთად გავიმარჯვეთ**



გამორჩეული იყო პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ალექსანდრე ჭაჭიას** სიტყვა, რომელმაც ხაზი გაუსვა საბჭოთა ხალხების უპრეცედენტო თავდადებას: **„საბჭოთა ხალხებმა გააკვირვეს და გააოცეს მსოფლიო თავისი გრანდიოზული, უანალოგო გამარჯვებებით მოსკოვის მისადგომებთან, სტალინგრადის ბრძოლებში, ბრძოლებით კურსკთან, ოპერაციით „ბაგრატიონი“... ათობით მასშტაბური სამხედრო ოპერაციით სამუდამოდ შევიდნენ მსოფლიო ბრძოლების ხელოვნების ისტორიაში. საბჭოეთის ხალხებმა მსოფლიო გააოცეს და გააკვირვეს მასშტაბური სახალხო წინააღმდეგობებით, რომელიც მანამდე არნახული პარტიზანული მოძრაობით გამოიხატა. არც ერთ ევროპულ ქვეყანაში მსგავსი რამ არ ყოფილა“,** — განაცხადა ალექსანდრე ჭაჭიამ.

სიტყვით გამოვიდა და ომში გატარებული მძიმე ბავშვობა გაიხსენა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა **ვასილ ლანავოიმ**, რომელმაც თავისი გამოსვლა სიმღერით დაასრულა.

პლენარული სხდომის დასასრულ, ფორუმის ორგანიზატორებმა საზეიმო ვითარებაში თაიგულები მიართვეს დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, შესრულდა სიმღერა „კატიუშა“, რომელიც 80 წლის წინათ დაიწერა.

პლენარული სხდომის შემდეგ ფორუმის დელეგატებმა სესიებზე გადაინაცვლეს. წარმოდგენილი იყო დოკუმენტური ფილმები, რომლებიც პარტიზანების ბრძოლების კადრებს ასახავდა. ხსენებული სესია ასეთი სათაურით იყო: „პარტიზანო, შენი თავდადება საუკუნეების განმავლობაში გვემახსოვრება“ და მართლაც, იქ დამსწრე საზოგადოებას, არქივებიდან ამოღებული უნიკალური დოკუმენტური მასალებით დაუდასტურეს, რომ პარტიზანების თითქმის ყველა გმირული ბრძოლა და თავდადება ისტორიას შემონახული ჰქონდა.

ფორუმის ორგანიზატორების დასკვნით სიტყვაში ეწერა:

**„ფაშისტური გერმანიისგან ბრიანსკის გათავისუფლების 75-ე წლისთავზე ბრიანსკის მიწაზე შეიკრიბა ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, რათა პატივი მიაგონ პარტიზანების ხსოვნას თავდადებისთვის, მამაცობისთვის, რომლებმაც ჩვენს ქვეყნებს შეუნარჩუნეს მშვიდობა და თავისუფლება.**

**გამარჯვების დღესასწაული გვაიძულებს, დავფიქრდეთ იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს წინაშე გვაკისრია. ჩვენ გამარჯვებულთა შთამომავლები ვართ, ვართ ისტორიული სიმართლის, ისტორიული ფასეულობის მქონენი, რომლისთვისაც იბრძოდნენ და გაიმარჯვეს ჩვენმა წინაპრებმა.**

**სამწუხაროდ, თვალს ვადევნებთ, როგორ ცდილობენ გარეშე ძალები, გააყალბონ ისტორია და დიდი სამამულო ომის შედეგები; ვუყურებთ, როგორ ცდილობენ, შეურაცხყონ სამამულო ომში დაღუპულთა ხსოვნა.** ▶

**გერმანელთა უკანასკნელი თავდაცვითი ზღუდეების გარღვევისა და ყუბანისა და ტამანის მიმდებარე დაბლობი ტერიტორიების გაწმენდითი ბრძოლებისას ვახტანგ ადამია დროებით იმყოფებოდა 83-ე (მოგვიანებით კი 128-ე) დივიზიის სამხედრო ტრიბუნალის სათავეში. ის საქმის ღრმა ცოდნით ხელმძღვანელობდა ტრიბუნალის მუშაობას უშუალოდ ფრონტის მოწინავე ხაზზე და ამით ქმედით დახმარებას უწევდა დივიზიის ხელმძღვანელობას სამხედრო დისციპლინის გაძლიერების საქმეში. როგორც საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე, ასევე, მათ შემდგომ ვახტანგ ადამია აწარმოებდა შინაარსიან საუბრებს, როგორც მებრძოლებთან, ასევე ხელმძღვანელ შემადგენლობასთან სამართლებრივ საკითხებზე.**

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჩვენ, „გამარჯვებულთა ფორუმის“ მონაწილეები, ვგმობთ ისტორიით მანიპულირების მცდელობას, მტკიცედ ვდგავართ ისტორიის სადარაჯოზე და მომხრენი ვართ მშვიდობიანი მსოფლიოსი. მოვუწოდებთ ყველა ისტორიკოსს, მკვლევარს, გავერთიანდეთ და ერთობლივი ძალისხმევით შემოვინახოთ და გადავცეთ მომავალ თაობებს სიმართლე დიდი სამამულო ომის შესახებ.

გამარჯვებულთა თაობამ გადმოგვცა დიდი განძი — სამშობლოს სიყვარული, მხარში დგომით თავისუფლების დაცვა, ჩვენ შევინარჩუნებთ ერთობას, რომელმაც დიადი გამარჯვება მოგვაპოვებინა.

## „თუ წარსულს პატივი არ მივაგეთ, მომავალს ვერ შევქმნით“

**ვალერი ტურსუნოვი, „ევრაზიული კვლევების ინსტიტუტის“ დირექტორი:**

— მერვე წელიწადია, „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვების“ ღონისძიებას ვატარებთ, რომელიც ჩვენთვის უმნიშვნელოვანეს ღონისძიებად იქცა. ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ განაცხადა, რომ ამ შეხვედრების შემდეგ ადამიანები უფრო თბილი და ყურადღებიანი გახდნენ ერთმანეთის მიმართ, რასაც მეც ვეთანხმები. ძალიან მიხარია, რომ ყოველ წელიწადს ჩვენს ღონისძიებებს უფრო და უფრო მეტი ახალგაზრდა ესწრება. „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება“ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ჩემი მშობლები, ორივე, ომის მონაწილეა, მათ ერთმანეთი ომში გაიცნეს. დედა რუსი მყავს, მამა — უზბეკი, ინტერნაციონალურ ოჯახში გავიზარდე და, თუკი ვინმე პატივს სცემს საბჭოთა კავშირსა და საბჭოთა ხალხებს, ერთ-ერთი მეც ვარ.

თუ წარსულს პატივი არ მივაგეთ, მომავალს ვერ შევქმნით. არავის უნდა მივცეთ უფლება, გონება გამოგვირეცხოს; უნდა ვიმეგობროთ, ისტორია შემოვინახოთ და პატივი ვცეთ ჩვენი გამარჯვებული წინაპრების ხსოვნას.

## „ის, რომ თავისუფლები ვართ და თვითმყოფადობა შევინარჩუნეთ, დიდ სამამულო ომში გამარჯვების დამსახურებაა“

**ვალერიან კაციტაძე, დიდი სამამულო ომის ვეტერანი:**

— ეს იყო ჩვენი ცხოვრების უმძიმესი დღეები და არა მხოლოდ ჩვენი, სრულიად მსოფლიო მოიცვა ფაშიზმის შიშმა, მაგრამ საბჭოთა კავშირი მედგრად დაუხვდა ვერაგულად შემოჭრილ მტერს, ფაშისტურ გერმანიას.

ლაგოდეხში პაპასთან ვიყავი, როდესაც შევიტყვეთ, რომ ფაშისტური გერმანია დაგვესხა თავს. როდესაც დიდი სამამულო ომი დაიწყო, ჯარში გამიწვიეს 18 წლის, ასე ვთქვათ, პირტიტველა ბიჭი, მაგრამ არაფრის შიში არ მქონია. ვოროშილოვგრადში ვიბრძოდი... ომის პერიოდი იქ დავყავი.

უმძიმესი დღეები გამოვიარეთ, მაგრამ ერთად გავუძელით, გადავრჩით. ომში რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, უზბეკი — ყველანი ერთნი ვიყავით და მართლაც, კარგი სახელი შეურჩევიათ იმ ფორუმისთვის, რომელიც ბრიანსკში ჩატარდა — „ერთობით მოპოვებული დიადი გამარჯვება“.

სამშობლოს, მამულის სიყვარულმა, ჩვენი დიდი მთავარსარდლის, გენიალური **სტალინის** უშიშრობამ და სიყვარულმა, ერთად დგომამ მოგვაპოვებინა ის გამარჯვება, რომლითაც ახლა ყველა ვამაყობთ. ის, რომ თავისუფლები ვართ და თვითმყოფადობა შევინარჩუნეთ, დიდ სამამულო ომში გამარჯვების დამსახურებაა, იმ ადამიანების დამსახურება, რომლებმაც თავი გაწირეს ფაშისტური გერმანიის დასამარცხებლად.

ვამაყობ, სამამულო ომის ვეტერანი რომ ვარ. საქართველოდან, ამ პატარა ქვეყნიდან, 700 ათასი ადამიანი წავიდა დიდ სამამულო ომში... მსხვერპლიც დიდი იყო, სამაგიეროდ, ამაყი ვართ, რომ დიადი გამარჯვება მოვიპოვეთ.

ვწუხვარ, ისეთი პატივისცემა რომ არ აქვთ საქართველოში ომის ვეტერანებს, როგორც სხვა ქვეყნებში, მაგრამ არა უშავს, ნიჭიერი თაობა მოდის და ყველაფერს სათანადოდ შეაფასებს, ამის მჯერა.

ულრმესი მადლობა ყველას, ვინც ხელმძღვანელობდა ბრიანსკში დაგეგმილ ფორუმს, და იმ ახალგაზრდებს, რომლებიც საქართველოდან ჩემთან ერთად იყვნენ. 93 წლის კაცი ვარ, ჩემს გულს მცირე რამ ახარებს, ამ პატივით, რომელიც მე მერგო, ისეთი სიყვარული ვიგრძენი, რომ ცოტა ხანს კიდევ გამაძლებინებს.

არასოდეს დაივიწყოთ დიდი სამამულო ომის ვეტერანები, ისინი ხომ მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი ომის მონაწილენი არიან, მათ ხომ ფაშიზმისგან იხსნეს კაცობრიობა.

# ვახტანგ ადამია — პირნათლად ომგამოვლილი, ამაგდარი მამულიშვილი



**2018 წლის 9 მაისს დიდ სამამულო ომში გამარჯვებიდან 73-ე წელი შესრულდა. „ყველაზე მასშტაბური და სისხლისმღვრელი კონფლიქტი კაცობრიობის ისტორიაში“, — ასეა მოხსენიებული მსოფლიოს ისტორიაში 1941-1945 წლების ომი, რომელშიც ქართველებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს. ფრონტზე საქართველოდან ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი წავიდა, მათგან 300 ათასი დაიღუპა, 100 ათასი ხეიბარი დაბრუნდა. ამ ომის შემდეგ ქვეყანას 164 გმირი შეემატა. მადლიერი შთამომავლობა არასოდეს დაივიწყებს დიდ სამამულო ომში მონაწილეთა სახელებს. დღეს ერთ-ერთ მათგანს, სოხუმის (აფხაზეთის) უნივერსიტეტისა და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ს სოხუმის ფილიალის ღვაწლმოსილ პედაგოგს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ვახტანგ ადამიას გავიხსენებთ.**

ვახტანგ ადამია დაიბადა 1916 წელს სოხუმში. უმაღლესი განათლება მიიღო მოსკოვის ისტორიის, ფილოსოფიისა და ლიტერატურის ინსტიტუტში. ინსტიტუტის წარჩინებით კურსდამთავრებულს შესთავაზეს ასპირანტურაში დარჩენა, ამ დროს სამამულო ომი დაიწყო და იგი სამშობლოს დამცველთა რიგებს შეუერთდა, საბრძოლო მოქმედებებისას დაიჭრა და მოსკოვზე ფაშისტების შეტევისას ჰოსპიტალში იწვა. სამხედრო იურიდიული კურსების დამთავრების შემდეგ 1942 წლის ივნისიდან 1943 წლის ივლისამდე მუშაობდა მე-3 სამთომსროლელთა კორპუსის სამხედრო ტრიბუნალში: თავდაპირველად — მდივნად, შემდგომ — სამხედრო ტრიბუნალის წევრად.

**სამხედრო ტრიბუნალში მისი მოღვაწეობისას ვახტანგ ადამიამ თავი გამოიჩინა, როგორც წითელი არმიის მამაცმა, მტკიცე ხასიათის, უდრეკმა მებრძოლმა და გულადმა ოფიცერმა.**

1942 წლის ზაფხულში, როდესაც ფაშისტური გერმანიის სამხედრო ქვედანაყოფები მოადგნენ კავკასიონს, 1942 წლის 2-დან 23 სექტემბრამდე ვახტანგ ადამია იყო სამხედრო ტრიბუნალის გასვლითი სესიის შემადგენლობაში კავკასიონის უღელტეხილებზე და აწარმოებდა ორგანიზაციულ სამუშაოებს უშუალოდ ფრონტის წინა ხაზზე, რისთვისაც 63-ე დივიზიის ხელმძღვანელობამ, რომელსაც კორპუსის ტრიბუნალი ემსახურებოდა, მადლობა გამოუცხადა.

გერმანელთა უკანასკნელი თავდაცვითი ზღუდეების გარღვევისა და ყუბანისა და ტამანის მიმდებარე დაბლობი ტერიტორიების გაწმენდითი ბრძოლებისას ვახტანგ ადამია დროებით იმყოფებოდა 83-ე (მოგვიანებით კი 128-ე) დივიზიის სამხედრო ტრიბუნალის სათავეში. ის საქმის ცოდნით ხელმძღვანელობდა ტრიბუნალის მუშაობას უშუალოდ ფრონტის მოწინავე ხაზზე და ამით უწევდა დივიზიის ხელმძღვანელობას ქმედით დახმარებას სამხედრო დისციპლინის გაძლიერების საქმეში. როგორც საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე, ასევე, მათ შემდგომ ვახტანგ ადამია აწარმოებდა შინაარსიან საუბრებს, როგორც მებრძოლებთან, ასევე ხელმძღვანელ შემადგენლობასთან სამართლებრივ საკითხებზე.

ვახტანგ ადამია საბრძოლო ოპერაციების პერიოდში საქმის ღრმა ცოდნით და სამართლიანად ახორციელებდა სადამსჯელო პრაქტიკას, ამასთანავე, ფრონტის წინა ხაზზე განლაგებულ სამხედრო ნაწილებში იგი დროულად ახორციელებდა სამხედრო ტრიბუნალის საქმიანობას სასჯელისგან გათავისუფლებისა და ნასამართლეობის მოხსნის მიმართულებით იმ დაჯარიმებული სამხედრო მოსამსახურეებისთვის, რომლებმაც თავი გამოიჩინეს გულადობითა და მამაცობით გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში.

ვახტანგ ადამია თავისი საქმიანობით 300-მდე ოფიცერსა და რიგითს დაეხმარა, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოს დამცველი ჯარისკაცების რიგებში.

გარკვეული ხნის განმავლობაში, საბრძოლო მოქმედებების პერიოდში, ცვლიდა რა კორპუსის სამხედრო ტრიბუნალის თავმჯდომარეს, ვახტანგ ადამია საქმის ღრმა ცოდნით ხელმძღვანელობდა მისადმი დაქვემდებარებული დივიზიების სამხედრო ტრიბუნალების სასამართლო-საბრძოლო საქმიანობას.

**ვახტანგ ადამიას სამხედრო მოღვაწეობა აღნიშნულია მრავალი ორდენითა და მედლით.**

**ომგამოვლილი ვახტანგ ადამია 1946 წელს მშობლიურ სოხუმში დაბრუნდა, შექმნა ოჯახი და ოთხ ათეულზე მეტი წელიწადი მიუძღვნა სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ჯერ სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხოლო შემდგომ გახლდათ სოხუმის უნივერსიტეტში უახლესი ისტორიის კათედრის გამგე და პროფესორი.**

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახტანგ ადამია მე-20 საუკუნის 60-იან წლებში მუშაობდა აფხაზეთის საოლქო კომიტეტში: ჯერ — აგიტაცია-პროპაგანდის განყოფილების გამგედ, ხოლო შემდგომ — საოლქო კომიტეტის მდივნად.

ვახტანგ ადამიას ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შრომა, რომელშიც 1918-1920 წლებში საქართველოში ინგლისის ჯარის საოკუპაციო საქმიანობაზე მოგვითხრობს და ნაშრომი, რომელიც ეხება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას მე-19 და მე-20 საუკუნეების მიჯნაზე.

**ბატონ ვახტანგს დიდი პატივისცემით იხსენებენ მისი მეგობრები და თანამედროვენი:**

**ბორის კვარაცხელია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი:**

— ბატონი ვახტანგის ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი არ ყოფილა. მან გამოიარა დიდი სამამულო ომი, ფრონტის წინა ხაზზე იბრძოდა, შემდეგ მშობლიურ სოხუმს დაუბრუნდა და აქტიურად ჩაერთო სამეცნიერო საქმიანობაში. ორი დისერტაცია დაიცვა და ორივეს უმაღლესი შეფასება მისცეს ოპონენტებმა და საკავშირო პრესამ.

ვახტანგ ადამია გამორჩეული იყო არა მხოლოდ, როგორც უდიდესი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, არამედ ის ცხოვრების წესითაც გამოირჩეოდა — იყო მუდამ შემართული, მოწესრიგებული, რაც ჩვენთვის სამაგალითო იყო; ჰყავდა არაჩვეულებრივი მეუღლე, რომელიც ისე გარდაიცვალა, რომ აფხაზეთში დაბრუნების იმედი არ დაუკარგავს; მისი ორი შვილი წარმატებული ექიმია.

**ოთარ ჟორდანია, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ცხუმ-აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი და საქართველოს ისტორიკოსთა ეროვნული კომიტეტის ვიცეპრეზიდენტი:**

— საზოგადოება პატივს მიაგებს ცნობილ ქართველ ისტორიკოსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, ლამაზ სოხუმელ კაცს, ბატონ ვახტანგ ადამიას. ვახტანგ ადამიამ ქართულ ისტორიოგრაფიაში, დიდი ხანია, დაიმკვიდრა ადგილი, რაც, მოგეხსენებათ, იოლი არ არის. ვახტანგ ადამიას შრომები ცნობილია არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. ნაშრომში 1918-1920 წლებში საქართველოში ინგლისის საოკუპაციო საქმიანობის შესახებ, ის ნათლად აღწერს იმ პერიოდის საქართველოს მდგომარეობას, როგორ იდგამდა ფეხს ახალი დემოკრატიული საქართველო და ცდილობდა, გარეშე მტრის მოგერიებას. ვახტანგ ადამიამ ამ ნაშრომში აღწერა, როგორ არ დაეხმარა ჩვენს ქვეყანას ინგლისი, საფრანგეთი და აშშ.

**გვერდები მოამზადა ეკა ნასყიდაშვილმა**




**ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ვახტანგ ადამიამ ქართულ ისტორიოგრაფიაში, დიდი ხანია, დაიმკვიდრა ადგილი, რაც, მოგეხსენებათ, იოლი არ არის. ვახტანგ ადამიას შრომები ცნობილია არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც**

ავი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ე.წ. ლენდ-ლიზი, ანუ აშშ-ის მიერ სსრკ-ისთვის სამხედრო ტექნიკითა თუ სურსათით გაწეული დახმარება საყვარელი თემაა შინაური თუ გარეული ლიბერასტებისთვის, რომელთა გასაგონად ვიტყვი: ჯერ ერთი, ის დახმარება სულაც არ იყო უანგარო — ტანკები იქნება ეს, ავტომობილები თუ კუს კვერცხები, ყველაფერში ოქროს იხდიდა სტალინი და უმთავრესი — სწორედ ამ „ლენდ-ლიზში" დადებულმა ოქრომ დაასრულა ამერიკაში ე.წ. დიდი დეპრესია, ეკონომიკა სტაგნაციიდან გამოვიდა, განვითარება დაიწყო და, როდესაც საბჭოთა ხალხი სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იყო ჩაბმული, აშშ-ის ბარ-რესტორნებში ისე „უბერავდნენ" ჯაზმენები, ვითომ არაფერი ხდებოდა. ამ ჯაზის ჰანგების ფონზე ამერიკა და ამერიკელები მდიდრდებოდნენ და მდიდრდებოდნენ ჩვენგან აღებული ოქროთი.**

# დიახ, 1941-1945 წლების ომი ქართველებისთვის დიდი სამამულო ომი იყო!

**ნეოლიბერალური იდეოლოგია, მე ვიტყოდი, აგრესიული ნეოლიბერალიზმი რამდენიმე არა-ზეა (თუ შეიძლება ასე ითქვას) დაფუძნებული: არა ნაციონალურ სახელმწიფოს, ანუ სამშობლოს ცნებას; არა ეროვნებას; არა ოჯახის ინსტიტუტს; არა სქესს და, აქედან ლოგიკურად გამომდინარე, მთავარი არა — არა რელიგიას, ანუ ღმერთს.**

დიახ, ამ ჩამონათვალში მთავარია **არა ღმერთს**, რადგან, როგორც **ფიოდორ დოსტოევსკი** ამბობს, „თუ ღმერთი არ არსებობს, მაშინ ყველაფერი შეიძლება". გნებავთ, „ყველაფერი მოსულა", თუ დიდი რუსი მწერლისა და მოაზროვნის ნათქვამს გავაყარგონებთ...

„ყველაფერი მოსულა" კი მრავალ პატარ-პატარა „არა"-ს გულისხმობს: არა უფროსუმცროსობას, მამაშვილობას, დაძმობას, წინაპართა ხსოვნას და ა.შ. სხვა მრავალ „უმნიშვნელო" ზნეობრივ-სულიერ ღირებულება-ფასეულობას, რომლებითაც ადამიანი ცხოველისგან განსხვავდება.

წინამდებარე წერილის მთავარი თემაა ისტორიის ცოდნა, გნებავთ, პირიქით — მწვანე შუქი ისტორიის გაყალბებას...

აგერ, კიდევ ერთი 9 მაისი — დიდ სამამულო ომში ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვების 73-ე წლისთავი.

ასე გვასწავლიდნენ არა მხოლოდ საბჭოთა სკოლაში, არამედ ოჯახშიც, რომ კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე საშინელი ომი საბჭოთა ხალხისთვის დიდი სამამულო ომი იყო და არა მეორე მსოფლიო ომი, რომლის დამთავრებას „განათლებული" დასავლეთი ჩვენგან, „ბნელი" საბჭოელი „გრუზინებისგან", განსხვავებით, 9 კი არა, 8 მაისს აღნიშნავს.

და მერე რა?

არც არაფერი. ამ ერთდღიან ცდომილებას მხოლოდ დროის ფაქტორით ხსნიდნენ ჩვენი შინაური თუ გარეული მტერ-მოყვარენი — როდესაც მოსკოვს ჩამოაღწია მოკავშირეთა (სსრკ, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი) წინაშე გერმანიის მიერ 8 მაისს ხელმოწერილმა უპირობო კაპიტულაციის აქტმა, საბჭოეთის დედაქალაქში უკვე 9 მაისი იყოო.

ასე იყო ბოლო პერიოდამდე, ანუ, სანამ ხსენებული აგრესიული ნეოლიბერალური არმადა, აშშ-ის მეთაურობით, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობის ფასეულობა-ღირებულებათა უარყოფის გზას დაადგებოდა. აქედან გამომდინარე, 8 თუ 9 მაისის იწილობიწილო სხვა არაფერია, თუ არა ისტორიის გაყალბების მცდელობა — ფაშიზმის დამარცხების საქმეში სსრკ-ის გადამწყვეტი როლის უარყოფა წერილის თავში ნახსენები რამდენიმე „არა"-ს გრძელი ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლია მხოლოდ.

საქართველო ხომ ევროპაამერიკისკენ მიისწრაფვის? ჰოდა, ეს სწრაფვა იმასაც მოითხოვს, რომ „ცივილიზებულ" ევროპას „ველურმა" ქართველებმაც მივბაძოთ — დიდი სამამულო ომის ნაცვლად, გამოვიყენოთ ტერმინი მეორე მსოფლიო ომი და, შესაბამისად, 9 კი არა, 8 მაისს აღვნიშნოთ ხოლმე ფაშიზმის დამარცხების წლისთავი.

**საქართველოში 9 მაისის 8 მაისით ჩანაცვლების პირველი მცდელობა ჯერ კიდევ 2011 წელს სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის ზეობის ხანაში ჰქონდათ ქართველ „ზაპადნიკებს", თუმცა მეტ-ნაკლებად უშედეგოდ, მაგრამ ეს მეტნაკლებობა წლიდან წლამდე ქართველ ნეოლიბერასტთა სასარგებლოდ იცვლება — დიდი სამამულო ომის მონაწილეთა შემცირების პირდაპირპროპორციულად. დღეს დიდი სამამულო ომის ვეტერანთა რაოდენობა 2 ათასი კაციც აღარ არის.**

1941-1945 წლების ომი დიდი და სამამულო რომ იყო საბჭოეთისთვის და არა ბანალური — მეორე მსოფლიო ომი, ამას ციფრებიც ცხადყოფს: მეორე მსოფლიო ომში დაახლოებით 400 ათასი ამერიკელი დაიღუპა, 380 ათასი — ბრიტანელი, ამაზე ოდნავ მეტი შესწირეს და, ბოლო დაზუსტებული მონაცემების მიხედვით, სსრკ-ის 26 მილიონიანი მსხვერპლი რომ არ ვახსენოთ, პატარა საქართველომ, იმხანად 2,2 მლნ მოსახლეობით, აშშ-დიდ ბრიტანეთზე არანაკლები მსხვერპლი გაიღო ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში — და თუნდაც მხოლოდ ამიტომ ის ომი ჩვენთვის, ქართველებისთვის, დიდი სამამულო ომი იყო! ისიც უნდა ითქვას, რომ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ევროპელთა 86% (!) ჰიტლერის არმიის რიგებში ბრძოლისას დაიღუპა.

ე.წ. ლენდ-ლიზი, ანუ აშშ-ის მიერ სსრკ-ისთვის სამხედრო ტექნიკითა თუ სურსათით გაწეული დახმარება საყვარელი თემაა შინაური თუ გარეული ლიბერასტებისთვის, რომელთა გასაგონად ვიტყვი: ჯერ ერთი, ის დახმარება სულაც არ იყო უანგარო — ტანკები იქნება ეს, ავტომობილები თუ კუს კვერცხები, ყველაფერში ოქროს იხდიდა სტალინი და უმთავრესი — სწორედ ამ „ლენდ-ლიზში" დადებულმა ოქრომ დაასრულა ამერიკაში ე.წ. დიდი დეპრესია, ეკონომიკა სტაგნაციიდან გამოვიდა, განვითარება დაიწყო და, როდესაც საბჭოთა ხალხი სამკვდრო-სასიცოცხლო ომში იყო ჩაბმული, აშშ-ის ბარ-რესტორნებში ისე „უბერავდნენ" ჯაზმენები, ვითომ არაფერი ხდებოდა. ამ ჯაზის ჰანგების ფონზე ამერიკა და ამერიკელები მდიდრდებოდნენ და მდიდრდებოდნენ ჩვენგან აღებული ოქროთი.



**საქართველოში 9 მაისის 8 მაისით ჩანაცვლების პირველი მცდელობა ჯერ კიდევ 2011 წელს, სააკაშვილის ფაშისტური რეჟიმის ზეობის ხანაში, ჰქონდათ ქართველ «ზაპადნიკებს», თუმცა მეტ-ნაკლებად უშედეგოდ, მაგრამ ეს მეტნაკლებობა წლიდან წლამდე ქართველ ნეოლიბერასტთა სასარგებლოდ იცვლება — დიდი სამამულო ომის მონაწილეთა შემცირების პირდაპირპროპორციულად. დღეს დიდი სამამულო ომის ვეტერანთა რაოდენობა 2 ათასიც აღარ არის**

ახლა კი ჰოლივუდში ისეთ ფილმებს იღებენ, თითქოს ფაშიზმი „რიგითმა რაიანებმა" გაანადგურეს და, თუ სსრკ მონაწილეობდა ამ ომში, ისე, უმნიშვნელოდ...

სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ დიდი სამამულო ომის განქიქება საქართველოში დღეს არ დაწყებულა. გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, ე.წ. ეროვნული მოძრაობის ოდიოზი ლიდერების ბაგეთაგან ისმოდა, რომ ის ომი ჩვენი ომი არ იყო; რომ გაემარჯვა ჰიტლერს, ახლა, „ჟიგულევსკი პივას" კი არა, ბავარიულ ლუდს დავლევდით; რატომ დაიღუპა ასიათასობით ქართველი, როდესაც გერმანელებს ქართულ მიწაზე ფეხი არ დაუდგამთ, ეგ სულ სტალინის ბრალი იყოო და ათასი სისულელე.

არადა, უზარმაზარ საბჭოეთს რომ თავი დავანებოთ, პატარა საქართველოში ოჯახი არ დარჩენილა, დიდ სამამულო ომში ახლო ნათესავი არ დაღუპვოდა. ამ მხრივ არც ჩემი ოჯახია გამონაკლისი და წინამდებარე წერილს ამ ამბის თხრობით დავასრულებ; ამბის, რომლის მიხედვით საინტერესო ფილმის გადაღებაც იქნებოდა შესაძლებელი: **„და თუ სტალინმა მიკითხოს, უთხარ, არ ვიყავ ჯაბანი".**

1934 წელს მამაჩემის ბიძა, ჩემი ბაბუა **გივი ჯორკოშვილი**, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გეოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა. სწორედ ამ წელს პირადად სტალინის მითითებით კავშირის მასშტაბით დაწყებულა „ვისოკი, კრასივი" ბიჭების „დავერბოვკება" მაშინ ჯერ კიდევ ახალფეხადგმულ საბჭოთა ავიაციაში. ჰოდა, ერთ-ერთი ასეთი ბაბუაჩემიც აღმოჩნდა. ის იმ არმიას შეუერთდა, რომელსაც შემდეგ „სტალინსკი სოკოლებს" — სტალინის შევარდნებს ეძახდნენ.

ქიზიყში დაბადებულ შევარდენს, თავისი „ოტეც სოლდატაც" ჰყავდა — უნივერსიტეტში უბრალო კარისკაცად მომუშავე ადამიანი, რომელსაც მაშინდელი ქალაქი სიყვარულით **ძია მოსეს** ეძახდა, ჩემი დიდპაპა, რომელსაც მხოლოდ იმიტომ ვახსენებ, რომ ამ სევდიანი ამბის მთავარი პერსონაჟია.

გივის ავიაპოლკი მოსკოვთან ახლოს, მდინარე კლიაზმასთან ყოფილა დისლოცირებული, საიდანაც მისი ავიაგამანადგურებელთა ესკადრილია მძიმე ბომბდამშენებს დამცავ ესკორტად მიჰყვებოდა ღამეული დაბომბვებისას, მათ შორის, ბერლინისაც.

გივის წესად ჰქონია, იქვე მცხოვრები, ულამაზეს **ნინა სოსეიკინას** სახლის თავზე უმაღლესი პილოტაჟის ელემენტების დემონსტრირებით ეცნობებინა ფრონტული სიყვარულისთვის, — უვნებლად დავბრუნდიო.

**ერთხელ ტრიუკების ჩვენებისას გივის გამანადგურებელი შემთხვევით გამოსდებია მაღალ ალვის ხეს და მსუბუქად დაზიანებულა. გივი „მძიმედ" დაუსჯიათ: თვითმფრინავის რემონტის თანხა ხელფასიდან დაუქვითავთ, ხოლო „დამნაშავე" თავისი თვითმფრინავით 1944 წლის თებერვალში თბილისის 31-ე ქარხანაში ჩამოფრენილა. სანამ თვითმფრინავს გაარემონტებდნენ, რამდენიმე დღით მშობლიური ქიზიყი მოუვლია, ნათესავ-მეგობრები მოუნახულებია.**

თბილისში დაბრუნებულ შვილს დიდი ყოყმანის შემდეგ ძია მოსემ მაინც შეჰბედა და ქიზიყურად, გლეხურად უთხრა: „ე ომი საცაა გათავდება, გიტლერს უშენოდაც მაუგრეხენ კისერსა; აქ ერთი ცალხელა კაცია, პირდაპირ „აკოპიდან" ამაიყავს ხალხი; შენ აქა მყავხარ; მოდი, ცოტა ფულ მივცემ და იგეთ საბუთ გაგიკეთებს რომა"...

მაგას რას ამბობ, მამი (არ დაამთავრებინა თურმე მამას სათქმელი), შენს გაზრდილს ეგ როგორ მკადრე, იქ მე ამხანაგები მელოდებიან, პარტიას, სტალინს აქვს ჩემი იმედიო, და ის ორიოდე დღე, რომლებიც წასვლამდე იყო დარჩენილი, მამისთვის, ძია მოსესთვის, ხმა არ გაუცია; როგორც ქიზიყში იტყოდნენ, მამის უმძრახად წასულა ფრონტზე...

1944 წლის 4 ნოემბერს გივის რომელიღაც გენერალი უნდა წაეყვანა ფრონტის ხაზზე, მაგრამ მისი თვითმფრინავი დივერსიული აქტის გამო აფრენისთანავე აფეთქებულა და ახლა ძმათა სასაფლაოზე განისვენებს ქიზიყელი „ღიმილის ბიჭი", რომლისგან სახსოვრად ძია მოსეს ნაჩუქარი სამხედრო ქამარი დარჩა, მამაჩემს კი — ლამაზი ბებუთი და კიდევ — დეპეშები, დეპეშები, რომლებსაც ნინა სოსეიკინას სატრფოს დაღუპვის შემდეგაც დიდი ხნის განმავლობაში უგზავნიდა გივისთვის ჩვეული ლაკონური ტექსტით: „Жив, здоров, целую, Гиви".

დიდ სამამულო ომში გამარჯვების 73-ე წლისთავს გილოცავთ, პირველ რიგში, ომის ვეტერანებო, ღმერთმა დიდი დღენი მოგცეთ და შემდეგ იმ ახალგაზრდებსა თუ სხვებს, ვისაც მიაჩნიათ, რომ ის ომი ქართველებისთვის დიდი სამამულო ომი იყო.

**დავით მხეიძე**

**„წლები გავიდა, თანაც არცთუ ცოტა, და დღეს დამოუკიდებლობა გვაქვს მხოლოდ ქაღალდზე. სუვერენიტეტის მოთხოვნისა და „მიღების“ შემდეგ ხელში შეგვრჩა განადგურებული მეცნიერება და კულტურა, გაჩანაგებული ეკონომიკა, ხოლო კორუფციამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, ნიკიტა ხრუშჩოვისდროინდელ კომუნისტებს სიზმარშიც რომ არ უნახავთ. აი, ეს არის სამწუხარო რეალობა“.**

კარდაკარ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



გუგა სამხარაძე:

# ნუთუ მართლა ვერ ვხვდებით, რომ ჩვენი «ევროატლანტიკელი პარტნიორები» საზარბაზნე ხორცად გვიყენებენ?

**რუბრიკა „კარდაკარის“ ფორმატსა და შეკითხვებს ვცვლით, რადგან ქვეყანა ახალი რეალობის წინაშე დგას. მოგეხსენებათ, ამა წლის ივლისში ნატოს სამიტზე ხელისუფლება ელოდება, რომ საქართველო, ბოლოს და ბოლოს, მოიპოვებს ნატოს წევრის სტატუსს. სწორედ ამან გაგვიჩინა შეკითხვა — უნდა თუ არა საქართველოს მოსახლეობას, მისი ქვეყანა ნატოს წევრი გახდეს? ამ და სხვა საინტერესო საკითხებზე ისტორიკოსი გუგა სამხარაძე გვესაუბრება.**

**— რაზე ოცნებობდა ქართველი ხალხი და რა რეალობის წინაშე აღმოჩნდა?**

— ქართველი საზოგადოება თვლიდა, რომ სუვერენიტეტი, რომელიც საბჭოთა პერიოდში ჰქონდა ჩვენს ქვეყანას, ფორმალური იყო და საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში ჩაწერილი სიტყვები: „საქართველო არის სუვერენული, საერთო-სახალხო რესპუბლიკა, რომელიც ნებაყოფლობით არის გაერთიანებული სსრკ-ის შემადგენლობაში“, — მხოლოდ სიტყვები იყო. იმავე კონსტიტუციის თანახმად, საქართველოს ნებისმიერ დროს შეეძლო დაეტოვებინა სსრკ-ის შემადგენლობა, რაც, რასაკვირველია, მხოლოდ ქაღალდზე იყო დაწერილი და სინამდვილეში დამოუკიდებლად არავინ გვაცხოვრებდა, ყოველ შემთხვევაში, ასე ვფიქრობდით მაშინ.

ქართველის ოცნება დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი იყო. გვინდოდა, და სრულიად სამართლიანადაც, ჭეშმარიტი სუვერენიტეტი; არ ვიყავით კმაყოფილი ცხოვრებით და გვინდოდა უკეთესი, რაც სავსებით ლოგიკური იყო; მივიჩნევდით, რომ საბჭოთა სახელმწიფო სისტემა ჩაფლული იყო კორუფციაში და ვისწრაფვოდით ნამდვილად სამართლებრივი სახელმწიფოს აშენებისკენ. ამ გადასახედიდან ყველაფერი სხვანაირად ჩანს, თორემ იმხანად ადამიანებს გულწრფელად სჯეროდათ, რომ ცუდად ცხოვრობდნენ და დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში გაცილებით უკეთესად იგრძნობდნენ თავს. წესით, ასეც უნდა ყოფილიყო, ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებებს ცოტა მეტი ჭკუა რომ ეხმარათ და მეტი სიყვარულით ეზრუნათ ქვეყნის აღმშენებლობისთვის.

**წლები გავიდა, თანაც არცთუ ცოტა, და დღეს დამოუკიდებლობა გვაქვს მხოლოდ ქაღალდზე. სუვერენიტეტის მოთხოვნისა და „მიღების“ შემდეგ ხელში შეგვრჩა განადგურებული მეცნიერება და კულტურა, გაჩანაგებული ეკონომიკა, ხოლო კორუფციამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, ნიკიტა ხრუშჩოვისდროინდელ კომუნისტებს სიზმარშიც რომ არ უნახავთ. აი, ეს არის სამწუხარო რეალობა.**

ახლა დავუბრუნდეთ დამოუკიდებლობის ხარისხს. საშინელი შეურაცხყოფის განცდა მტანჯავდა და მტანჯავს, როცა სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში საქართველოს პოლიტიკური ელიტა ფეხქვეშ ეგებოდა ვინმე **მეთიუ ბრაიზას.** გახსოვთ, მეთიუ ბრაიზას იმჟამინდელი ოფიციალური სტატუსი? — აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილის თანაშემწე და ამ თანაშემწის მონებად ვიქეცით. ასე გრძელდება დღესაც, ვიღაც მეათეხარისხოვან უცხოელებს ვემონებით, ამერიკის ელჩის გარეშე კი ოჯახში ჩაისაც ვერ ვსვამთ. აი ეს არის დამოუკიდებლობა, რომელიც საქართველოს შერჩა ხელში.

**— რა მოგვიტანა ევროატლანტიკური სივრცისკენ მოწამეობრივმა სწრაფვამ?**

— მოგვიტანა ის, რასაც ყველა ვხედავთ — რუსეთთან კონფრონტაციის ესკალაცია, ზღვა სისხლი და ტერიტორიულად დაშლილ-გაუბედურებული საქართველო. ნუთუ მართლა ვერ ვხვდებით, რომ ჩვენი „ევროატლანტიკელი პარტნიორები“ საზარბაზნე ხორცად გვიყენებენ?! თუ ვხვდებით და მაზოხისტები ვართ? სხვათა შორის, ხომ ყველა აღიარებს, რომ ფინეთი აყვავებული სახელმწიფოა? არადა, ივიწყებენ, რომ ამ მდგომარეობამდე ფინეთი მიიყვანა პოლიტიკურმა კურსმა, რომელიც მოსკოვთან კომპრომისებს ეფუძნებოდა და ფინეთის ისტორიაში „პაასიკივი-კეკონენის კურსის“ სახელით არის ცნობილი. 1939-1940 წწ., სსრკ-ფინეთის ომის დროს, ფინეთის პოლიტიკურ წრეებში რომ არ გამოჩენილიყვნენ პოლიტიკოსები, რომლებიც ხვდებოდნენ, რომ კრემლთან კომპრომისი აუცილებელი იყო, ფინელი ხალხის ცხოვრება სხვაგვარად წარიმართებოდა.

**სტალინს** უკვე გამზადებული ჰყავდა ე.წ. ფინეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოსკოვში მოღვაწე ეროვნებით ფინელი კომუნისტი ფუნქციონერის, **ოტო კუუსინენის,** მეთაურობით, რომელიც, კონფრონტაციის გაგრძელების შემთხვევაში, ჰელსინკიში გადაინაცვლებდა და ფინეთი, ფაქტობრივად (შესაძლოა — იურიდიულადაც), სსრკ-ის ერთ-ერთ რესპუბლიკად გადაიქცეოდა. ფინელთა მხრიდან კომპრომისმა უკარნახა სტალინს, გადაესინჯა თავისი გეგმები ამ ქვეყნის მიმართ. ფინეთი დემოკრატიულ ქვეყნად დარჩა. მართალია, მოუწია, შელეოდა კარელიას და 30 წლით სსრკ-ისთვის იჯარით გადაეცა ხანკოს ნახევარკუნძული, კუუსინენიც მოსკოვში დარჩა და მისი ფერფლი კრემლის კედელშია, მაგრამ ეს იყო გონივრული კომპრომისი.

**— რა სურს „ქართულ ოცნებას“, რა მიზნებისკენ ისწრაფვიან მისი წარმომადგენლები ან საშინაო, ან საგარეო პოლიტიკაში?**

— ეგ ვერც მე გავიგე და, თუ ვინმე გამაგებინებს, მადლობას ვეტყვი. ექვსი წლის თავზე ვფიქრობ, ნეტავ, რა უნდოდათ? **არც მაშინ, როდესაც გულუხვ დაპირებებს იძლეოდნენ და არც დღეს, როდესაც ამბობენ, რომ ყველა დაპირება შეასრულეს, არ მესმოდა „ქართული ოცნების“.** არ ვიცი, რაზე ფიქრობენ და რას უნდა მიაღწიონ იმ უსახური პოლიტიკოსებით, რომლებიც გუნდში ან თავიდანვე ჰყავდათ, ან შემდეგ შემოიერთეს. ასე რომ, ეს შეკითხვა უმჯობესია, მათ დავუსვათ, იქნებ რაიმე აგვიხსნან, თუმცა მეეჭვება.

**— უნდა ჩატარდეს თუ არა ხელახლა რეფერენდუმი საკითხზე — გვინდა თუ არა ნატო?**

— „ხელახლა“ ზუსტად არ განსაზღვრავს ვითარებას, რადგან ვერ ვიხსენებ, როდის ჩატარდა მსგავსი რეფერენდუმი, მაგრამ, ვფიქრობ, უნდა ჩატარდეს, რადგან ასეთ მნიშვნელოვან თემებზე ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში რეფერენდუმი ან პლებისციტი ტარდება და, თუ გვაქვს პრეტენზია, რომ საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანაა, მაშინ ხალხს უნდა მოუსმინონ. გარდა ამისა, ხელისუფლებამ უნდა გაარკვიოს, აპირებს თუ არა, იმოქმედოს საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად და არა ვიღაცის საამებლად. ამის გარეშე რეფერენდუმის ჩატარებას რა აზრი აქვს? ვიღაცის საამებლად ჩატარებული პლებისციტიც გვახსოვს 2008 წელს, როდესაც ხალხის აზრი გაყალბდა.

**ესაუბრა
ეკა ნასყიდაშვილი**

# ხელისუფლება ვალერი კვარაცხელიას 9 მაისს საბჭოთა სიმბოლიკის გამოჩენას უკრძალავს


საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური
STATE SECURITY SERVICE OF GEORGIA

SSG 7 18 00065910

07/05/2018

ვალერი კვარაცხელია:

# ჩვენი ხელისუფლების საქციელი უგუნურება და უტვინობაა, ამიტომ არ დავემორჩილები

**ფაშიზმზე გამარჯვების დღემდე, 9 მაისამდე, ორი დღით ადრე „სახალხო მოძრაობა სოციალისტური საქართველოს“ თავმჯდომარე ვალერი კვარაცხელიას საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ბლანკზე დაბეჭდილი წერილი მიუვიდა — მას 9 მაისის აღსანიშნავ ღონისძიებებზე საბჭოთა სიმბოლიკების გამოყენებას უკრძალავენ.**

— წერილში, რომელიც მივიღე, ფაშიზმის ნიშნებს ვხედავ, რადგან არ შეიძლება, 9 მაისს ფაშიზმზე გამარჯვების დღეს აღნიშნავდე და თან ამბობდე, საბჭოთა სიმბოლიკა არ გამოჩნდესო. საბჭოთა სიმბოლიკით იბრძოდა მილიონობით ჯარისკაცი, რომლებმაც ფაშიზმზე გამარჯვება მოიპოვეს, რაც დაგვირგვინდა, საბჭოთა სომბოლიკის რაიხსტაგზე ატანით.

**თუ 9 მაისს, გამარჯვების დღეს, მივალ ვაკის პარკში უცნობი ჯარისკაცის საფლავთან პატივის მისაგებად, სხვა რა სიმბოლიკა უნდა მივიტანო იქ, თუ არა საბჭოთა, თუ არა ნამგალი და ურო, წითელი ვარსკვლავი?!** საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები რომ დაბრძანდებიან ვაკის პარკში ფარისევლური მწუხარებით და დგანან იქ, რა, „უცნობი ჯარისკაცი“ საბჭოთა სიმბოლიკა არ არის?! **იქ რომ ხუთქიმიანი ვარსკვლავია, რომლიდანაც მარადიული ცეცხლი ამოდიოდა და ჩააქრეს, ის ვარსკვლავი ხომ საბჭოთა სიმბოლიკაა, ჩამქრალი, მაგრამ მაინც საბჭოთა ვარსკვლავი?!** რა სინდისით მიდიან ვაკის პარკში?! მიდიან იმიტომ, რომ ქართველი კაცი მოატყუონ.

დღეს ამბობენ, — 8 მაისს არის გამარჯვების დღეო. ეს უცოდინარობით არ მოსდით. უსინდისოდ იქცევიან — უნდათ, ფაშიზმზე გამარჯვება მიაწერონ ამერიკასა და დიდ ბრიტანეთს, ამიტომ ამბობენ ასე: დასავლეთის დროით 8 მაისი იყო გამარჯვების დღეო.

**გამარჯვების დღე არის 9 მაისი და ფაშიზმზე საბჭოთა კავშირმა გაიმარჯვა. სტალინმა, მისმა პოლიტიკამ, დიპლომატიამ და მხედართმთავრულმა გენიამ ამერიკის შეერთებული შტატებიც და დიდი ბრიტანეთიც აიძულა, გამხდარიყო მისი მოკავშირე, მათ სხვა გზა არ დაუტოვა, თორემ ამერიკაც და ბრიტანეთიც ჰიტლერის წამხალისებლები და დამფინანსებლები იყვნენ.** დიდ სამამულო ომში საქართველოდან 700 ათასზე მეტი ადამიანი წავიდა და ნახევარი უკან აღარ დაბრუნებულა, იქ ჩაიხოცნენ... და ამ ვიგინდარებს ჰყოფნით ნამუსი, მითხრან: საბჭოთა სიმბოლიკა არ გამოაჩინოო. ამაზე დიდი უტიფრობა და უგუნურება არც მინახავს და არც გამიგონია!

**— წერილი, რომელიც თქვენ მიიღეთ, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ბლანკზეა დაბეჭდილი და ხელს აწერს „თავისუფლების ქარტიის“ თავმჯდომარე, ვინმე სულხან გოცაძე...**

— ვინ არის ეს „ქარტია“ და ვისი „უშიშროებაა“, თვითონ არკვიონ ერთმანეთში, ამერიკის უშიშრებაა თუ რა ჯანდაბაა, არ ვიცი. ვისაც უნდათ, იმას მოაწერინონ ხელი. ერთი ვიცი, რომ „თავისუფლების ქარტია“ კი არ არის ეს, არათავისუფლების ქარტიაა, ეს თავსმოხვეული ქარტიაა, რომელიც აიძულებს ქართველ ხალხს, შეაფურთხოს და დაივიწყოს ის სიმბოლიკები, რომლებმაც ფაშიზმი დაამარცხა.

**შოთა რუსთაველს** აქვს ნათქვამი ასეთი ფრაზა: „ქმნა მართლისა სამართლისა“. სამართალი მართალი უნდა იყოს, კანონიც მაშინ არის კანონი, როდესაც კანონიერია.

„პადოშა“ რომ დარბოდა და მეცნიერებათა აკადემიის შენობას ვარსკვლავი მოახერხეს, ასეთი კანონი უსამართლოა. კომუნისტური მოძრაობა, სოციალისტური იდეოლოგია მსოფლიოში არსებობს და მას არსად კრძალავენ. ფაშისტური იდეოლოგია აკრძალულია, რადგან ის გასამართლებულია, ჯერ მოახერხონ, რომ კომუნისტური და სოციალისტური იდეოლოგია საერთაშორისო სამართლით გაასამართლონ, აღიარონ დამნაშავე იდეოლოგიად და მერე აკრძალონ.

**აქ რომ ჩინეთის პრეზიდენტი ჩამოვიდეს, არ ჩამოკიდებენ ჩინეთის დროშას, რომელზეც იგივე სიმბოლიკაა აღბეჭდილი, რაც საბჭოთა პერიოდში იყო?**

ჩვენი ხელისუფლების საქციელი უგუნურება და უტვინობაა, ამიტომ არ დავემორჩილები მათ კანონებს, ქართველი ხალხი არ უნდა დაემორჩილოს მათ კანონებს. მათ ნამგალი და ურო, როგორც სიმბოლიკა ისე კი არ აკრძალეს, შრომა აკრძალეს, საერთოდ, დაამშიეს ქართველი ხალხი და გააქციეს ქვეყნიდან. ამ ხელისუფლების იდეოლოგიის მომხრე ფაშისტების მომხრეა, ეს თანამედროვე სახეცვლილი ფაშიზმია. **ფარატინა ფურცელი, რომელიც გამომიგზავნეს ფაშიზმის ნიმუშია.**

**ესაუბრა
ეკა ნასყიდაშვილი**

მითი და რეალობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1971 წელს საქართველოს ეროვნული შემოსავალი 4,2 მლრდ მანეთს შეადგენდა. იმხანად მანეთი, ოფიციალური საშუალო კურსით, 1,5 დოლარი ღირდა, ანუ 1971 წელს საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი 6,04 მლრდ დოლარი იყო, ამჟამად კი, „საქსტატის“ მონაცემებით, 3,6 მლრდ დოლარია (2017 წლის მონაცემი). თანაც, 1970-იან წლებში დოლარის მსყიდველობითი უნარი დღევანდელთან შედარებით გაცილებით მეტი იყო. აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის მაღალი დონის პარალელურად, საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, „საქსტატის“ მონაცემით, 21,3 პროცენტს (788 100 კაცს) შეადგენს.**

# საქართველო უმუშევრობის დონის მაჩვენებლით აუტსაიდერ ქვეყნებს შორისაა

## ქვეყანაში უმუშევრობის დონე, წლებია, ძალიან მაღალია, პრემიერმინისტრი კი ვირტუალური 40 ათასი სამუშაო ადგილის შექმნაზე საუბრობს

**საქართველოს ხელისუფლება ხშირად იკვეხნის, რომ უმჯობესდება ეკონომიკური მაჩვენებლები, ქვეყანა ამა თუ იმ სარეიტინგო სიაში პოზიციებს იუმჯობესებს და საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციები მხარს უჭერენ საქართველოს მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას.**





საქართველოს პრემიერმინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა 21 აპრილს ამბროლაურში „ქართული ოცნების“ რეგიონულ კონფერენციაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, რომ თამამად შეუძლია, ხალხს თვალებში შეხედოს, რადგან ხელისუფლებას არცთუ ცოტა საქმე აქვს გაკეთებული. პრემიერის განმარტებით, ქვეყანაში უამრავი პრობლემა გადაიჭრა და, ფაქტობრივად, უმოკლეს დროში სწრაფი ეკონომიკური განვითარებისა და წინსვლის საშუალება შეიქმნა: „ამ ექვსმა წელმა ჩვენ გზა გაგვიკაფა და მოგვცა იმის საშუალება, რომ დღეს უფრო დიდ მიზნებს შევეჭიდოთ — დავიწყოთ ქვეყნის სწრაფი ეკონომიკური განვითარება, რაც უკვე კონკრეტულ შედეგებს გვაძლევს. ახალ სამუშაო ადგილებსა და კეთილდღეობას მოუტანს ჩვენს ქვეყანას და თითოეულ მოქალაქეს“. აღნიშნულ კონფერენციამდე რამდენიმე დღით ადრე პრემიერმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ 2018 წლის დასაწყისიდან დღემდე ქვეყანაში დაახლოებით 40 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნა. „უნდა ითქვას, რომ თანამშრომლობის პროგრამა, რომელიც სავალუტო ფონდთან გვაქვს, მთლიანად ეფუძნება მთავრობის რეფორმების 4-პუნქტიან პროგრამას და ფონდის მიერ დადებითად შეფასდა. დაგეგმილზე მაღალია ეკონომიკური ზრდა, 2018 წლის დასაწყისიც არის ძალიან კარგი. დასაწყისში, 2 თვის მონაცემებით, გვქონდა 4.9%, **40 000-მდე სამუშაო ადგილი შეიქმნა** და ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ამ დინამიკაში კერძო სექტორს აქვს უმნიშვნელოვანესი როლი“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

პრემიერის გარდა, სახელისუფლო სტრუქტურებში მოკალათებული „ქართული ოცნების“ სხვა წევრებიც აკეთებენ ისეთ განცხადებებს, რომლებიც სიდუხჭირეში მცხოვრები მოსახლეობის სამართლიან აღშფოთებას იწვევს. გაიხსენეთ პარლამენტარი ქალბატონის, **გუგული მაღრაძის,** შარშანდელი განცხადება: მოსახლეობის ძალიან ცოტა ნაწილია დღეს გაჭირვებული, მხოლოდ 5 პროცენტს უჭირსო; ან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის — დიმიტრი ქუმსიშვილის ნათქვამი, როგორ გააჟრჟოლა ბლუჯა-ბლუჯა ლარების დანახვაზე. ახლა კი პრემიერმინისტრი 40 ათასი სამუშაო ადგილის შექმნაზე ალაპარაკდა... როგორც ჩანს, საქართველოს პრემიერს, როცა 40 ათასი ადგილის შექმნაზე ლაპარაკობდა, სხვა ქვეყანა ჰქონდა მხედველობაში, ან საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებს არ იყო გაცნობილი და, შესაბამისად, რეალობას აცდა. **სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით კი, საქართველოში უმუშევრობის დონე 11,8 %-ს შეადგენს — ქვეყანაში უმუშევარია 235,1 ათასი კაცი. ამ მაჩვენებლით საქართველო, ვებგვერდ tradingeconomics.com-ის მონაცემებით, ჩამორჩება არა მხოლოდ წამყვანი ეკონომიკების მქონე სახელმწიფოებს — იაპონიას (2,5%), გერმანიას (3.4%), შვეიცარიას (2,9%), აშშ-სა (3.9%) და დიდ ბრიტანეთს (4.2%), არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყანას — მეზობელ სომხეთს (6.9%), აზერბაიჯანს (5,1%), რუსეთს (5.0%), ყაზახეთს (4,9%), უკრაინას (9,9%), თურქმენეთს (8,6%), ბელარუსს (0,5%) და ისეთ სახელმწიფოებსაც კი, როგორიც არის ომებით გაწამებული ავღანეთი (8,5%), ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (6,87 %), ბურკინა ფასო (2,98 %)...**

სხვათა შორის, **1928 წელს, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, რომელსაც დასავლური პროპაგანდით გაბრუებული ჩვენი ნეოლიბერალები „ბნელსა“ და „უკუნს“ უწოდებენ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მუშაობდა 183 ათასი მუშა და მოსამსახურე. 1970 წელს მათმა რაოდენობამ 1,4 მლნ-ს მიაღწია, მათგან 385 ათასი მრეწველობაში იყო დასაქმებული და თითქმის არავინ იყო უმუშევარი (უსაქმურობა ისჯებოდა**). 1970-იან წლებში საქართველო იყო ინდუსტრიული ქვეყანა, რომელშიც განვითარებული იყო კვებისა და მსუბუქი მრეწველობები, მუშაობდა მეტალურგიული, ქიმიური, სამშენებლო და მანქანათმშენებლობის ქარხნები, რომლებიც აწარმოებდნენ ელმავლებს, გამომთვლელ მანქანებს, ავტომობილებს, წყალქვეშა ფრთიან კატარღებს, ტრაქტორებს, ელექტროტექნიკურ მოწყობილობებს, ზუსტ ხელსაწყოებს, ჩაის საკრეფ მანქანებს და სხვ. საქართველო საექსპორტოდ აწარმოებდა 300 სახის პროდუქტს, რომლებიც მსოფლიოს 70 ქვეყანაში გაჰქონდათ, მათ შორის აშშ-ში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, იაპონიაში, საფრანგეთსა და იტალიაში. **სწორედ საბჭოთა კავშირის პერიოდში აღორძინდა კოლხეთი; მოჰყავდათ ციტრუსები, ჩაი, დაფნის ფოთოლი, თამბაქო. ჩაის პლანტაციებს ეკავა 60 ათასი ჰექტარი და საქართველო სსრკ-ის მოსახლეობის მოთხოვნას 95%-ით აკმაყოფილებდა, ამასთანავე, ქართული ჩაი საექსპორტოდ გადიოდა ჩეხოსლოვაკიაში, ბულგარეთში, პოლონეთში, გდრ-ში, რუმინეთში, ფინეთში, ირანში, სირიასა და მონღოლეთში. დიდი პოპულარობით სარგებლობდა, აგრეთვე, ქართული ღვინო და კონიაკი.** დღეს კი საქართველოში ჩაის პლანტაციები თითქმის განადგურებულია, ქვეყნის სავაჭრო ქსელი კი გადავსებულია იმპორტული ჩაით, ციტრუსებით, სიგარეტით. ეგვიპტიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოგვაქვს ხილი, ბოსტნეული და ყურძენი. ქართველმა გლეხმა კი არ იცის, სად წაიღოს ვაშლის, ატმის, ციტრუსისა და ყურძნის მოსავალი. საბჭოთა საქართველოში განვითარებული იყო აბრეშუმის მრეწველობა, დღეს კი ეს დარგი მკვდარია.

1971 წელს საქართველოს ეროვნული შემოსავალი 4,2 მლრდ მანეთს შეადგენდა. იმხანად მანეთი, ოფიციალური საშუალო კურსით, 1,5 დოლარი ღირდა, ანუ 1971 წელს საქართველოს მთლიანი ეროვნული შემოსავალი 6,04 მლრდ დოლარი იყო, ამჟამად კი, „საქსტატის“ მონაცემებით, 3,6 მლრდ დოლარია (2017 წლის მონაცემი). თანაც, 1970-იან წლებში დოლარის შემსყიდველობითი უნარი დღევანდელთან შედარებით გაცილებით მეტი იყო. აღსანიშნავია, რომ უმუშევრობის მაღალი დონის პარალელურად, **საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი, „საქსტატის“ მონაცემით, 21,3 პროცენტს (788 100 კაცს) შეადგენს.**

აი ამ ვითარების ფონზე ლაპარაკობს საქართველოს პრემიერმინისტრი, რომ ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებლები უმჯობესდება, მხოლოდ ერთ წელიწადში 42 ათასი სამუშაო ადგილი შეიქმნა და თამამად შეუძლია ხალხს თვალებში შეხედოს. არადა, რეალობა ძალიან მძიმეა: საქართველოს მოსახლეობის შრომისუნარიანი ნაწილი, დიდი ხანია, დაუსაქმებელია. მასობრივი უმუშევრობის, ლარის გაუფასურების, ფასების კატასტროფული მატების გამო მოსახლეობის დიდი ნაწილის ცხოვრება გაუსაძლისი შეიქნა და ამიტომ ლუკმაპურის საშოვნელად ქვეყნიდან გარბის — საელჩოებთან რიგები დგას საზღვარგარეთ მძიმე სამუშაოს შესასრულებლად წამსვლელი მოქალაქეების. **საქართველო უმუშევრობის დონის მაჩვენებლით, ისევე, როგორც პენსიისა და საშუალო ხელფასის მხრივ, მსოფლიოში აუტსაიდერ ქვეყნებს შორისაა; ამ ვითარებაში ეკონომიკის ზრდასა და ათიათასობით სამუშაო ადგილის შექმნაზე ლაპარაკი სიდუხჭირეში მყოფი მოსახლეობის დაცინვაა და სხვა არაფერი...**

**ნიკა კორინთელი**

**სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, საქართველოში უმუშევრობის დონე 11,8 %-ს შეადგენს — ქვეყანაში უმუშევარია 235,1 ათასი კაცი. ამ მაჩვენებლით საქართველო ჩამორჩება არა მხოლოდ წამყვანი ეკონომიკების მქონე სახელმწიფოებს — იაპონიას (2,5%), გერმანიას (3.4%), შვეიცარიას (2,9%), აშშ-სა (3.9%) და დიდ ბრიტანეთს (4.2%), არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქვეყანას — მეზობელ სომხეთს (6.9%), აზერბაიჯანს (5,1%), რუსეთს (5.0%), ყაზახეთს (4,9%), უკრაინას (9,9%), თურქმენეთს (8,6%), ბელარუსს (0,5%) და ისეთ სახელმწიფოებსაც კი, როგორიც არის ომებით გაწამებული ავღანეთი (8,5%), ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (6,87 %), ბურკინა-ფასო (2,98%)...**

**1928 წელს, საბჭოთა კავშირის არსებობის პერიოდში, რომელსაც დასავლური პროპაგანდით გაბრუებული ჩვენი ნეოლიბერალები «ბნელსა» და «უკუნს» უწოდებენ, საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მუშაობდა 183 ათასი მუშა და მოსამსახურე. 1970 წელს მათმა რაოდენობამ 1,4 მლნ-ს მიაღწია, მათგან 385 ათასი მრეწველობაში იყო დასაქმებული და თითქმის არავინ იყო უმუშევარი (უსაქმურობა ისჯებოდა)**

წინა გამგებლებმა პროექტები რომ შეისყიდეს, ცვლილებების შეტანა შეიქნა საჭირო, რადგან ლარის ინფლაციის ფონზე ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთხელ შესყიდულ პროექტს ისევ საპროექტოს უბრუნებენ, ისევ უხდიან პროექტის თანხას, შემდეგ ორთვიანი ვადაა ტენდერის გამოსაცხადებლად, შემდეგ კიდევ ორთვიანი — სამუშაოების დასაწყებად და თურმე ეს ყოფილა მთავარი მიღწევა.

ხალხი და ხელისუფლება
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ხალხს შია, ბატონებო, შია!

**საქართველოში ევროპის დღეები დაიწყო და, როდემდე გაგრძელდება, კაცმა არ იცის. ევროპის დღეების გამართვაში მილიონობით ლარი იხარჯება და არავინ კითხულობს, სჭირდება თუ არა ეს საქართველოს მოსახლეობას.**

## «ქართული ოცნებისთვის» საჩვენებელი წითელი ბარათი ამომრჩეველს უკვე ხელში უჭირავს

რიყის მოედანზე მოწყობილ ლოკაციაზე (დედაქალაქის მერის ტერმინია) ევროპის ქვეყნების ელჩები, პარლამენტის თავმჯდომარე, მინისტრთა კაბინეტის წევრები და კიდევ არაერთი ჩინიანი თუ უჩინო მივიდა. მათ ვრცლად ისაუბრეს იმაზე, რომ საქართველო თავისი მსოფლმხედველობითა და ისტორიით ევროპის ნაწილია და უახლოეს მომავალში ევროკავშირის სრულუფლებიანი წევრი გახდება. ისე, ვინც არ იცის, ვეტყვით, რომ ორიოდე კვირის წინათ შესაბამისმა ევროპულმა კომისიამ რეკომენდაცია გასცა ევროკავშირში მაკედონიისა და ალბანეთის მიღებაზე და არსად უხსენებია საქართველო. არ უხსენებია იმიტომ, რომ, **ნატოს კარის მსგავსად, ევროკავშირის კარზეც უიმედოდ მოგვიწევს კაკუნი მანამ, სანამ ყველა არ მიხვდება, რომ ამ კარის გაღებას არასოდეს აპირებენ და, როგორც ნატოს, ისე ევროკავშირს საქართველო ერთადერთი მიზნისთვის სჭირდება — ევაჭროს რუსეთს და საჭიროების შემთხვევაში რიგითი „მიხეილ სააკაშვილი" წააქეზოს და ჩრდილოელ მეზობელთან ომში ჩააბას.**

„რიყის ლოკაციის" მოვლის შემდეგ, სამთავრობო დელეგაცია პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად ახალციხეში გაემართა, სადაც ფორუმი სახელწოდებით „სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების ინსტიტუციური დიალოგი" დაიწყო. საინტერესოა, რომ პარლამენტის თავმჯდომარემაც და პრემიერმაც გამოსვლა შემდეგი წინადადებით დაიწყეს: „ძალიან გვიხარია, რომ ყოველწლიურ ფორუმში ვიღებთ მონაწილეობას..." არადა, აღნიშნული ფორუმი პირველად იმართება და რატომ არის ყოველწლიური, ვერ გეტყვით, თუმცა მთავარი ეს არ არის, მთავარი ისაა, რაც პრემიერმა კვირიკაშვილმა თქვა:

„დღეიდან იწყება ევროპის დღეები. თბილისში დიდი ზეიმი იმართება ამასთან დაკავშირებით და მე მოხარული ვარ, რომ დღეს აქ, ახალციხეში, ჩვენ უმნიშვნელოვანეს ინიციატივას ვუყრით საფუძველს — „დიალოგი სახელმწიფო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის". მინდა, მადლობა გადავუხადო პარლამენტს ამ ინიციატივისთვის. ძალიან მნიშვნელოვანია ის რეფორმა, რომლის დაწყებაც ჩვენ სულ ცოტა ხნის წინათ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძესთან ერთად დავაანონსეთ და უმნიშვნელოვანესია ის სრულიად ახალი ტენდენცია, რომელსაც 2014 წელს ჩაეყარა საფუძველი თვითმმართველობის ახალი კანონის მიღებით, რომელმაც აბსოლუტურად სხვა ჩარჩო ჩამოაყალიბა უფლებამოსილებების გამიჯვნის ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს შორის და, რომელმაც დასაბამი მისცა უფლებამოსილებების სულ სხვა დონეზე გამიჯვნასა და განვითარებას, მათ შორის, რა თქმა უნდა, ფინანსური რესურსების სხვანაირ განაწილებასა და კომპეტენციების გამიჯვნას. ჩვენთვის უმაღლესი პრიორიტეტია ეს რეფორმა ჩვენი მომავალი რეფორმების რიგში. ჩვენ მიზნად გვაქვს დასახული, რომ დაახლოებით 10 წლის განმავლობაში მშპ-ს მიმართ გავაორმაგოთ ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსება".

**პრემიერმა პირდაპირ თქვა, ჩვენ, სულ ცოტა, ათ წელს ვაპირებთ ხელისუფლებაში ყოფნას და შემოსავალს სწორედ ამ ათი წლის შემდეგ გაგიორმაგებთო. ნაცნობი რიტორიკაა, წინა ხელისუფლებას ჰქონდა ასეთი მიდგომა, ათ და ოცწლიან გეგმებს სახავდა და სულაც არ აინტერესებდა, რას ფიქრობდა ხალხი, მაგრამ სწორედ ხალხმა უჩვენა წითელი ბარათი ნაციონალებს 2012 წელს** და გვერწმუნეთ, ბატონებო, „ქართული ოცნებისთვის" საჩვენებელი წითელი ბარათი ამომრჩეველს უკვე ხელში უჭირავს. რომელ ათწლიან გეგმაზე საუბრობს პრემიერი, როცა რეგიონებში, იმ რეგიონებში, რომლებიც თურმე ახლა დამოუკიდებლები და ცენტრალური ხელისუფლებისგან თავისუფლები არიან, ხალხი, უბრალოდ, შიმშილობს. ჰო, შიმშილობს და ახალარჩეულმა თვითმმართველმა ორგანოებმა ერთადერთი, ვიმეორებთ — ერთადერთი, რაც გააკეთეს, საკუთარი თავისთვის ხელფასების მომატებაა. ჩვენ დავინტერესდით და გავარკვიეთ, რომ არც ერთ მუნიციპალიტეტში ჯერჯერობით არ დაწყებულა ახალი ხელმძღვანელობის მიერ დაგეგმილი პროექტი. მუნიციპალიტეტების მერები თავიანთი წინამორბედების მიერ შესყიდული პროექტების „ჩაკორექტურებით" არიან დაკავებული და შემდეგ აპირებენ ამ პროექტის დაწყებას.



**რეალობა მწარეა — «ქართული ოცნება» სულ უფრო მეტ თანხას ხარჯავს არაფრისმომცემი ზეიმების გამართვაში, უცხოური დელეგაციების მასპინძლობასა და მათთვის დელიკატესების მირთმევაში, მაშინ, როცა მოსახლეობა შიმშილის ზღვარზეა და მთავარი ინფრასტრუქტურული პროექტები, უკვე ნახევარ წელზე მეტია, მხოლოდ ხეების გადატანას უკავშირდება**




უფრო გასაგებად რომ აგიხსნათ, **წინა გამგებლებმა პროექტები რომ შეისყიდეს, მათში ცვლილებების შეტანა შეიქნა საჭირო, რადგან ლარის ინფლაციის ფონზე ბიუჯეტი უნდა გაიზარდოს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთხელ შესყიდულ პროექტს ისევ საპროექტოს უბრუნებენ, ისევ უხდიან პროექტის თანხას, შემდეგ ორთვიანი ვადაა ტენდერის გამოსაცხადებლად, შემდეგ კიდევ — ორთვიანი სამუშაოების დასაწყებად და თურმე ეს ყოფილა მთავარი მიღწევა.**

„მას შემდეგ, რაც ჩვენ ზურგს უკან გვაქვს მნიშვნელოვანი, ძირეული რეფორმები, ვფიქრობ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა უდავოდ იკავებს პირველ ადგილს მომავალი რეფორმების სიაში, იქიდან გამომდინარე, რომ ჩვენი უმთავრესი ამოცანაა ცხოვრების დონის გათანაბრება სხვადასხვა რეგიონს შორის და ეს უთანასწორობა, რაც დღეს გვაქვს, ჩვენთვის არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევა და, რა თქმა უნდა, ასეთი ტიპის რეფორმას სჭირდება ადამიანური რესურსი. გარდა იმისა, რომ ჩვენ მიზნად გვაქვს დასახული, დაახლოებით 10 წლის განმავლობაში, მთლიანი შიგა პროდუქტის მიმართ გავაორმაგოთ ადგილობრივი თვითმმართველობების დაფინანსება, რაც იმას ნიშნავს, რომ რეგიონებში იქნება გაცილებით მეტი ჟანგბადი, გაცილებით მეტი ფინანსური რესურსი, რა თქმა უნდა, ეს ნიშნავს იმასაც, რომ უნდა იყოს გაცილებით მეტი კომპეტენცია. არ მინდა, ვინმემ ეს შეურაცხყოფად მიიღოს, მაგრამ, რა თქმა უნდა, რეგიონულ ხელისუფლებებში ჩვენ გვჭირდება ძალიან კვალიფიციური კადრები. ჩვენ, რა თქმა უნდა, გვყავს დღეს ადამიანური რესურსი, მაგრამ გაცილებით მეტი გვინდა. ჩვენი სურვილია, რომ ახალგაზრდები, რომლებიც მიიღებენ საუკეთესო განათლებას მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებში, იყვნენ მოტივირებულნი, რომ წავიდნენ და თავიანთ რეგიონს, თავიანთ სოფელს, თავიანთ რაიონს ემსახურონ. სწორედ ამ რეფორმის შედეგი იქნება ის, რომ რეგიონებში იქნება გაცილებით მეტი საშუალება მათთვის დასაქმების და მათი პოტენციალის რეალიზების", — ესეც პრემიერმინისტრის სიტყვებია.

გეცნოთ რიტორიკა? სააკაშვილმა რომ დაიწყო ევროპიდან და ამერიკიდან იქაურ დიპლომიანი ადამიანების ჩამოყვანა და, სურდათ თუ არა, მინისტრად რომ ნიშნავდა?! ასე მივიღეთ მიშას ზეობის პერიოდში თანამდებობაზე **ვერა ქობალია**, პრემიერმინისტრად — **გეგა მგალობლიშვილი**, კაცი, რომელიც ორი თვის შემდეგ თანამდებობიდან წავიდა და დღემდე პოლიტიკას აღარ გაჰკარებია.

სხვათა შორის, პრემიერი იმუქრება, თვითმმართველობები ერთმანეთს უნდა გავუთანაბროთ ფინანსურად, რათა ყველა რეგიონი ერთნაირად განვითარდესო და საინტერესოა, ყველაზე ღარიბი გურიის რეგიონის ფინანსებზე უნდა გაკეთდეს სწორება თუ შედარებით მსუყე ბიუჯეტის მქონე კახეთსა და ქვემო ქართლზე?!

რეალობა მწარეა — **„ქართული ოცნება" სულ უფრო მეტ თანხას ხარჯავს არაფრისმომცემი ზეიმების გამართვაში, უცხოური დელეგაციების მასპინძლობასა და მათთვის დელიკატესების მირთმევაში, მაშინ, როცა მოსახლეობა შიმშილის ზღვარზეა და მთავარი ინფრასტრუქტურული პროექტები, უკვე ნახევარ წელზე მეტია, მხოლოდ ხეების გადატანას უკავშირდება.** ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს წინა ხელისუფლების ბოლო წლების ნამოქმედარს და რატომღაც არ გვჯერა, რომ „ოცნების" ლიდერები ვერ ხვდებიან, როგორ დაემსგავსნენ „ნაციონალურ მოძრაობას". მოსახლეობას არავინ ეკითხება, სჭირდება თუ არა ევროპის დღეები და მისთვის გაწეული ხარჯები; ამომრჩეველს არც იმას ეკითხებიან, სურთ თუ არა ათი წლის შემდეგ მიღებული გაორმაგებული შემოსავალი, რადგან ათი წლის შემდეგ, შესაძლოა, საქართველოში ამ შემოსავლის მიმღები ფიზიკურად აღარავინ იქნეს.

ხალხს შია, ბატონებო, შია!

**ბესო ბარბაქაძე**

ბაჩურ სვანიძის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95




**სამეგრელოსა და გურიის სამთავროების ერთმანეთთან ომები, ქართლსა და კახეთს, იმერეთსა და რაჭას შორის დაპირისპირებები სწორედ რუსეთის გამოჩენამდე კარგა ხნით ადრე ხდებოდა და არა მას შემდეგ. კიდევ კარგი, ქალბატონმა „პუბლიცისტმა“ ბაზალეთის ბრძოლაც კრემლის ინტრიგებს არ დააბრალა, ხოლო დავით ულუსა და დავით ნარინის ყეენის კარზე გაქცევა და მეფის ტიტულისთვის ერთმანეთთან ცილობა — ვლადიმერ პუტინს!**

**1945 წლის 9 მაისს მსოფლიოში ფაშიზმის დამარცხება რუსული ნარატივი და საბჭოთა პროპაგანდაა. სინამდვილეში ჰიტლერი ფაშისტი სულაც არ იყო! — არ გამიკვირდება, თუ მიმდინარე კვირის მთავარ თემად სწორედ ამ აზრს გადააქცევენ ქართული მედიის წარმომადგენლები.**

# ქართველების «შავი მოძღვარი» და «რუსული ნარატივი» დავით გურამიშვილის შემოქმედებაში

უკვე რამდენიმე ათეული წელიწადია, რა პრობლემებიც საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, აქვს და ყველაფერი უარყოფითი, რაც ქართველებს გვჭირს, უაპელაციოდ ბრალდება რუსეთს, კომუნისტურს, საბჭოთას!

აბა, ნორმალურმა ადამიანებმა სცადეთ, დაინახოთ რაიმე კავშირი საქართველოში საცხოვრებლად ჩამოსულ ნიგერიელ შავკანიანსა და რუსულ ნარატივს, საბჭოთა პროპაგანდას, კრემლის იდეოლოგიას შორის. თითქმის შეუძლებლად მიგაჩნიათ, არა? აი, ქართველმა „ყოვლისმცოდნეებმა“ კი ესეც შეძლეს.

ქართველი საზოგადოების ნორმალურად მოაზროვნე ნაწილს მიაჩნია, რომ ტელეკომპანია „იმედზე“ შავკანიანი ნიგერიელის **უბანი ჩის** გამოსვლა საქართველოს მოსახლეობის მძიმე შეურაცხყოფა იყო. რა იბჟუტურა ამ ვითომ ძალიან განათლებულმა ნიგერიელმა და რა აკადრა საქართველოსა და ქართველებს, ამის შესახებ სოციალურ ქსელებში ბევრი დაიწერა და სხვადასხვა, შედარებით ეროვნულად მოაზროვნე მედიასაშუალებებშიც ბევრი ილაპარაკეს, ამიტომ ამის განხილვით თავს აღარ შეგაწყენთ და მხოლოდ იმ დეტალებზე გავამახვილებთ ყურადღებას, რომლებსაც აღშფოთებულმა საზოგადოებამ ნაკლები ყურადღება მიაქცია.

ვერ გეტყვით, ეს შეურაცხყოფით გამოწვეული აღელვების გამო „გაეპარათ“ თუ სხვა მიზეზით, მაგრამ ფაქტია, რომ უბანი ჩის მიერ ქართველი გამოჩენილი მწერლებისა და მოღვაწეების სახელების წაღმა-უკუღმა ტრიალისას დაშვებულ ძალიან უხეშ შეცდომას, ცოტამ თუ მიაქცია ყურადღება. კერძოდ, **უბანი ჩიმ ქართველები „განგვანათლა“, რომ თურმე ვაჟა-ფშაველას უთქვამს: „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა!“...** აღშფოთებული ქართველები ნიგერიელს მოუწოდებდნენ, „ვაჟას ეს სიტყვები“ ასე უადგილოდ და უაზროდ არ ეტრიალებინა... არადა, ეს ფრაზა არის **რაფიელ ერისთავის** ლექსიდან „სამშობლო ხევსურისა“!

ასე რომ, ქართველთა „განმანათლებელმა“ ნიგერიელმა არა მხოლოდ ეს ფრაზა გამოიყენა უადგილოდ, არამედ ვაჟა-ფშაველას სახელიც. სავარაუდოდ, სწორედ რომელიმე „ზეგანათლებულობაზე“ პრეტენზიის მქონე ქართველმა-ლიბერასტმა „დაატრენინგა“ ბატონი ჩი; დაარიგა, ქართველებზე შთაბეჭდილება რომ მოახდინო, სულხან-საბა და ვაჟა-ფშაველა უნდა ახსენოო, და მიაწოდა ცნობა, რომ ხსენებული ფრაზა ვაჟას კალამს ეკუთვნის. რა თქმა უნდა, **„ჯიგარო უბანის“ არც ვაჟა გადაუშლია, არც საბა და რაფიელ ერისთავის შემოქმედებაზე ხომ, საერთოდ, ზედმეტია საუბარი, მან, უბრალოდ, გაიმეორა ის, რაც „ზეგანათლებულმა“ ქართველმა ლიბერასტებმა დაარიგეს.**

**სწორედ „ლიბერასტული ლოგიკის“ შედევრია ის ტრენდიც, რომ თურმე ქართველები, საზოგადოდ, ცუდი ტიპები ვართ, ერთმანეთს ვჭამთ, ვერ ვიტანთ, მეგრელები გურულებზე არიან გადამტერებულნი, გურჯაანელები — თელაველებზე და ასე შემდეგ. ჰოდა, აი, ასეთი ხალხი, აბა, ჩვენს ქვეყანაში ნიგერიელსა და შავკანიანს ავიტანთ?!**

ასეთ „შავ“ ბრალდებაზე, რა თქმა უნდა, პასუხი შესაბამისი და გამანადგურებელი უნდა იყოს; ისეთი, რომ ამ მართლა რეგვენს არასოდეს გაუჩნდეს სურვილი ქართველების ლანძღვისა და ჭკუის სწავლების.

მაგრამ სწორედ აქ იჩენს თავს დღევანდელი ქართველი საზოგადოების ნაწილის კიდევ ერთი მძიმე დაავადების ნიშნები — **ვლანძღოთ რუსეთი ყოველთვის, ყველგან, „ადგილიანად“ თუ უადგილოდ; დავაბრალოთ ყველაფერი კრემლს და მის პროპაგანდას; არ ვაღიაროთ სიმართლე და ფეხებზე დავიკიდოთ ისტორია.**

აი, ნიგერიელი „ჯიგაროს“ ბრალდებაზე „პუბლიცისტი“ **თაკო ჩარკვიანის** მიერ გაცემული „გამანადგურებელი“ პასუხიც:

**„თქვენი გამოსვლა იყო სამარცხვინო! თქვენ რაც თქვით, მეგრელების და გურულების თემა და, საერთოდ, ეს კუთხურობის თემა არის პროვოცირებული თემა, რომელიც შემოაგდო საქართველოში ჩვენმა ერთ-ერთმა ისტორიულმა დამპყრობელმა რუსეთმა!“**

**პირდაპირ ვიტყვი: უზრდელი უცხოელის ასეთ უტიფარ ბრალდებაზე ამაზე უფრო უსუსური და უნიათო პასუხი არ არსებობს.**

თაკო ჩარკვიანი, ფაქტობრივად, აღიარებს, რომ ქართველებს მართლაც გვჭირს რაიმე განსაკუთრებული „კუთხური სიძულვილი“ ერთმანეთის მიმართ, უბრალოდ, ეს ჩვენი ბრალი კი არ არის, არამედ „რუსეთმა შემოაგდო“! განსაკუთრებით სავალალოა სოციალურ ქსელებში გავრცელებულ შესაბამის ვიდეოზე ქართველი „ფეისბუკ“-მომხმარებლების დიდი ნაწილის აღფრთოვანებული კომენტარები: „ყოჩაღ, თაკო!“ და ა.შ.

არადა, **„ყოჩაღ, თაკო“ კი არა, ამ ნიგერიელს მართლა კარგად რომ სცოდნოდა საქართველოს ისტორია, თაკო ჩარკვიანს ისეთ პასუხს გასცემდა, სირცხვილი იქნებოდა მერე ქალბატონი „პუბლიცისტისთვის“ იმ სტუდიაში დარჩენა.**

საქართველოს ისტორიის ანალებში ქექვა სულაც არ არის საჭირო იმისთვის, რომ ვიცოდეთ:

* როდესაც რუსეთის პირველი ზარბაზნები გამოჩნდა კავკასიაში, საქართველო სამეფო-სამთავროებად, კუთხური ნიშნით ერთმანეთთან დაპირისპირებულ ერთეულებად იყო დანაწევრებული. ეს საქართველოს არც ისე ძველი და სამწუხარო ისტორიაა.

*** სამეგრელოსა და გურიის სამთავროების ერთმანეთთან ომები, ქართლსა და კახეთს, იმერეთსა და რაჭას შორის დაპირისპირებები სწორედ რუსეთის გამოჩენამდე კარგა ხნით ადრე ხდებოდა და არა მას შემდეგ.**

**კიდევ კარგი, ქალბატონმა „პუბლიცისტმა“ ბაზალეთის ბრძოლაც კრემლის ინტრიგებს არ დააბრალა, ხოლო დავით ულუსა და დავით ნარინის ყეენის კარზე გაქცევა და მეფის ტიტულისთვის ერთმანეთთან ცილობა — ვლადიმერ პუტინს!**

სიმართლისა და საკუთარი პრობლემების აღიარების გარეშე ვერასოდეს ავაშენებთ ნორმალურ სახელმწიფოს, თორემ უძველო ენამ ისიც შეიძლება თქვას, რომ **დავით გურამიშვილმა** „კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს“ **სერგეი ლავროვის** უშუალო კარნახით დაწერა.

მაშ, რა უნდა ეპასუხა თაკო ჩარკვიანს ან ნებისმიერ სხვა ქართველს გათავხედებული შავკანიანისთვის?

სრულიად მარტივი რამ: კუთხური, რეგიონული ნიშნით დაპირისპირებები არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა. ეს მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში ხდებოდა, ხდება და მოხდება. სწორედ ეს იწვევდა ნებისმიერ ქვეყანაში, ცენტრალური ხელისუფლების სიძლიერის მოშლის შემთხვევაში, სეპარატისტულ დაპირისპირებას, რომელსაც არაერთი ოდესღაც ძლიერი და აყვავებული სახელმწიფო დაღუპვამდე მიუყვანია.

დღესაც არის მსოფლიოს ბევრ ქვეყანასა და ერში შეუგნებელი ნაწილი, რომელიც საკუთარი სახელმწიფოს ამა თუ იმ კუთხესა და ხალხს ვერ იტანს. მაგალითად, იტალიაში არსებობენ იტალიელები, რომლებიც წყევლიან იტალიის გამაერთიანებელსა და თანამედროვე იტალიის ფუძემდებელს — **ჯუზეპე გარიბალდის.** რამ გაგვაერთიანა ამ განუვითარებელ და ჩლუნგ ჩრდილოელებთან, ვიყავით სამხრეთელები წყნარადო! — გაიძახის სამხრეთ იტალიაში მცხოვრები ბევრი შეუგნებელი და მათ ტოლს არ უდებს ჩრდილოელთა შეუგნებელი ნაწილიც.

ეს ყველგან ხდება და **ჩემს ქვეყანაში არც ერთ ჩამოსულს უფლება არ აქვს, ჩემი ერის გარკვეული შეუგნებელი ნაწილის ასეთი აზრები მთელი ერის დამახასიათებელ ნიშნად წარმოაჩინოს.**

გარდა ამისა, ჩვეულებრივი, ერთმანეთის სიყვარულით გაჯერებული ხუმრობა და იუმორიც არ ესმის ნიგერიელ „ჯიგაროს“. მეგრელებზე ან გურულებზე რომ ვშაყირობთ ხოლმე, ამ „ზე განათლებულ“ ნიგერიელს, ეტყობა, ეს მეგრელების თუ გურულების სიძულვილად ესმის და შეიძლება ისიც ჰგონია, რომ ღამღამობით თელაველები და გურჯაანელები მართლა კეტით დასდევენ ერთმანეთს.

აი, ეს უნდა ავუხსნათ ამ ვაჟბატონს და გავაგებინოთ, რომ მისი საქმე ნამდვილად არ არის როგორი ურთიერთბა აქვთ ერთმანეთთან მეგრელბსა გურულებს, ან რაჭველბსა და ლეჩხუმელებს! ჩვენი კუთხეების წარმომადგენელთა ერთმანეთის მიმართ სიყვარულიანი იუმორი სულაც არ არის იმის მტკიცებულება, რომ „ერთმანეთს ვერ ვიტანთ და შავკანიანს ავიტანთ?!“ — ასეთი შტერული „არგუმენტით“ ქართველთა „რასისტობის“ მტკიცება ჩვეულებრივი რეგვნობაა!

რაც შეეხება იმას, რომ თურმე ნიგერიაშიც არიან ქართველები, **ბატონმა უბანიმ, იქნებ გვანახვოს ნიგერიის ტელევიზიით გამოსული რომელიმე ქართველი, რომელიც ჭკუას არიგებს ნიგერიელებს და მათი მისამართით „ფერთენზიებს“ (პრეტენზიებს) გამოთქვამს?**

ქართველი თუ სადმე არის ჩასული, მას ისიც აქვს შეგნებული, რომ იქ სტუმარია და ცდილობს, იქაურებს თვალში ზედმეტად არ შეეჩხიროს. რა თქმა უნდა, კრიმინალ ქართველებს არ ვგულისხმობ, კრიმინალი რომ ყველგან კრიმინალია და ეროვნება არ გააჩნია. ამაზე, დიდი ხანია, მსოფლიოს სამართალდამცავი ორგანოები საბოლოოდ შეთანხმდნენ.

აი, ეს არის სათქმელი, ძვირფასო ქართველებო, და არა ის, რომ ნებისმიერი შემთხვევა რუსეთის სალანძღავად და ამით ეთერში საკეკლუცოდ გამოვიყენოთ. ასეთი ტყუილებითა და უსუსური არგუმენტებით ნამდვილად ვერაფერს მივაღწევთ და მტერიც დაგვცინებს და მეგობარიც. **ჩვენ ჩვენი ქვეყნის პრესტიჟის, ღირსების დაცვა უნდა გვაინტერესებდეს და არა გაყალბებული ისტორიით რუსეთის უადგილო და არაადეკვატური ლანძღვა „პატრიოტული“ ქულების დასაწერად.**

ყველაფერს თავი რომ დავანებოთ და მხოლოდ „ტყვის სყიდვის“ სამარცხვინო პრაქტიკა გავიხსენოთ (აბა, კარგად გადახედეთ საქართველოს ისტორიას), ოსმალეთის ტყვეთა ბაზარზე ქართველების მიერ ქართველების გაყიდვა მხოლოდ მას შემდეგ შეწყდა, როცა სამეგრელოს სამთავროც საბოლოოდ შეიერთა რუსეთმა. 1840 წელს მოხდა ეს ამბავი და, რუსეთის იმპერატორის საგანგებო ▶



**ნიგერიელ «ჯიგაროს», რომელიც ასე მონადინებით სრულიად არაადეკვატურად ახსენებს რაფიელ ერისთავის სიტყვებს (რომელსაც ვაჟას მიაწერს) და «გვასწავლის», რა არის თურმე სამშობლო, გვინდა, ვკითხოთ: თუკი «სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა», მაშ, რომელია შენი ერთადერთი სამშობლო — ნიგერია თუ საქართველო?**
**და, თუ ეს ერთადერთი მისთვის საქართველოა და ამიტომ აძლევს თავს უფლებას, ჭკუა დაგვარიგოს, მაშ, რატომ დათმო თავისი ნიგერია?**

**ძიუდოისტებს პრეზიდენტად საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ვლადიმერ ნუცუბიძე სურთ. ნუცუბიძე ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაფასებული მსაჯია, მსოფლიოს ჩემპიონატების, ოლიმპიადების ფინალები აქვს განსჯილი და არცთუ ურიგოდ. სწორედ მისი საერთაშორისო კავშირების ეიმედებათ ბიჭებს და სჯერათ, რომ ნუცუბიძეა ის პიროვნება, რომელიც ქართულ ძიუდოს სხვა სიმაღლეზე აიყვანს.**

საკანდალო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ განკარგულების მიუხედავად, რომელიც მკაცრად უკრძალავდა ოდიშის დედოფალსა და მთავრებს ტყვეების გაყიდვას, 1846 წლამდე მაინც ხდებოდა ცალკეული შემთხვევები... სულ სხვა თემაა ის, რომ რუსმა დამპყრობლებმა ჯერ კიდევ მეფის რუსეთის პერიოდიდან არაერთხელ ეფექტიანად გამოიყენეს ქართველთა შორის დაპირისპირება, მაგრამ **იმის თქმა, რომ ასეთი რამ საქართველოში არ არსებულა და ის რუსეთმა დანერგა, ან უვიცობაა, ან უსინდისობა და რუსეთის ლანძღვის ხარჯზე საკუთარი „პატრიოტობის" წარმოჩენის უსუსური მცდელობა, თანაც ისე, რომ ამის გამკეთებელს სულ არ აინტერესებს, მსგავსი უაზრო საქციელით სამშობლოს სარგებელს მოუტანს თუ ზიანს.**

თუმცა ეს ფაქტები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ქართველები გამორჩეულად ცუდები ვართ (მსგავსი პრობლემები ბევრ ქვეყანას ჰქონდა მსოფლიოში); ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ვიღაც გუშინწინ ჩამოსულმა სტუმარმა ჭკუა გვასწავლოს.

შეიძლება ვინმე შემედავოს, უბანი ჩიმ საქართველოს მოქალაქეობა მიშას პრეზიდენტობის პერიოდში მიიღო და სტუმრად აღარ ითვლებაო... გაიხსენეთ, როგორ იოლად არიგებდა სააკაშვილი საქართველოს მოქალაქეობას. ეს „საარჩევნო გათვლა" იყო ნაცებისთვის და საქართველოს ყოველ „ახალ" მოქალაქეს თითო ხმად განიხილავდნენ... ამიტომ, უბანი ჩის მსგავსთა „გაქართველება" ხეირის მიღების სურვილთან უფროა დაკავშირებული, ვიდრე საქართველოს სიყვარულთან...

ისე, სხვათა შორის, **ნიგერიელ „ჯიგაროს", რომელიც ასე მონდინებით სრულიად არაადეკვატურად ახსენებს რაფიელ ერისთავის სიტყვებს (რომელსაც ვაჟას მიაწერს) და „გვასწავლის", რა არის თურმე სამშობლო, გვინდა, ვკითხოთ: თუკი „სამშობლო, როგორც უფალი, ერთია ქვეყანაზედა", მაშ, რომელია შენი ერთადერთი სამშობლო — ნიგერია თუ საქართეველო?**

და თუ ეს **ერთადერთი** მისთვის საქართველოა და ამიტომ აძლევს თავს უფლებას, ჭკუა დაგვარიგოს, მაშ, რატომ დათმო თავისი ნიგერია? აჰ! აქ უკეთესად მოეწყო? აქ უფრო კარგად არის, ვიდრე ნიგერიაში? აქ ტელევიზიაში თოქშოუებში გამოჰყავთ და იქ კი ზედაც არავინ უყურებდა? აქ უფრო მეტი ფული, საჭმელი და სასმელი აქვს?...

გასაგებია, მაგრამ იქნებ ამ „ზეგანათლებულმა" შავკანიანმა დიდაქტიკოსმა პირველი-მეორე სტრიქონის იქითაც წაიკითხოს რაფიელ ერისთავის ეს შედევრი და, როდესაც ამოიკითხავს სიტყვებს **„არ გავცვლი სალსა კლდეებსა, უკვდავებისა ხეზედა, არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედა!"** იქნებ ნამუსმა შეაწუხოს, სინდისიც გაეღვიძოს და სხვებისთვის „ჭკუის დარიგების" სურვილი საბოლოოდ დაკარგოს...

და კიდევ: „სადაც წახვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხურო" — ესეც ქართული სიბრძნეა, ნიგერიელო „ჯიგარო"!

# სად გაქრა ძიუდოს ფედერაციისთვის გამოყოფილი 15 მილიონზე მეტი ლარი?

## რით დასრულდება მწვავე დაპირისპირება ძიუდოისტებსა და ფედერაციის პრეზიდენტს შორის


ვარლამ ლიპარტელიანი


დავით ქევხიშვილი

**საქართველოს ძიუდოს ფედერაცია სპორტის სახეობების ფედერაციებიდან ერთ-ერთია, რომელიც სახელმწიფოსგან სოლიდურ დაფინანსებას იღებს. თანხა 15 მილიონ ლარს აჭარბებს, თვეში ფედერაციას მილიონზე მეტი აქვს. ჰოდა, ორი კვირის წინათ თელ-ავივში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე ძიუდოისტები თავიანთი ხარჯით რომ გაემგზავრნენ, გაჩნდა კითხვა: ჯერ ნახევარი წელიც არ გასულა და სად გაქრა 15 მილიონზე მეტი ლარი?**

ძიუდოისტებმა ისრაელში მედალი ვერ მოიპოვეს, რაც ქართული ძიუდოს ისტორიაში უპრეცედენტო შემთხვევაა. საქართველოში დაბრუნებულმა სპორტსმენებმა ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის, **დავით ქევხიშვილის,** წინააღმდეგ გაილაშქრეს და მისი გადადგომა მოითხოვეს. სანამ ძიუდოისტები განცხადებას გააკეთებდნენ, ქევხიშვილმა დაასწრო და ნაკრების მთავარი მწვრთნელი, **ირაკლი ცირეკიძე,** თანამდებობიდან გაუშვა, მაგრამ...

„საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს სჭირდება მხარდაჭერა ფედერაციის მხრიდან, როგორც სავარჯიშო პირობების უზრუნველყოფა, ასევე, მწვრთნელების სწორად შერჩევით. საერთაშორისო ასპარეზზე თანადგომისა და სხვა მრავალი მნიშვნელოვანი მიმართულებით, რაზეც დღეს შეგნებულად შევიკავებთ თავს და არ ვისაუბრებთ ამ ფორმატში. ნაკრების გადაწყვეტილებით, ფედერაციაში არსებული ჩვენთვის მიუღებელი და სპორტისთვის დამაზიანებელი მდგომარეობის გამო ვაცხადებთ, რომ არ მივიღებთ მონაწილეობას არც ერთ შეჯიბრებაში და ვწყვეტთ ვარჯიშს, სანამ ფედერაციის პრეზიდენტი არ გადადგება დაკავებული თანამდებობიდან. იგი იკავებს სამ სხვადასხვა თანამდებობას, მათ შორის, ყვარლის საკრებულოს თავმჯდომარის და ფაქტია, რომ ვერ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს. მისი მმართველობის პერიოდში სპორტის ამ სახეობას მომავალი არ აქვს ამ ქვეყანაში, რაც დასტურდება მისი 6-წლიანი მმართველობით და შედეგებით, რომლებიც მხოლოდ ჩვენი სპორტსმენების თავდაუზოგავი შრომით მიიღწეოდა და არასდროს — ფედერაციის მხარდაჭერით. ამ წლების განმავლობაში ჩვენ არასდროს გვქონია მხარდაჭერა საერთაშორისო ასპარეზზე. მაშინ, როდესაც ძიუდო არის სპორტის სახეობა, რომელსაც რეალურად მოაქვს შედეგები სამშობლოსთვის და აქვს საუკუნოვანი ტრადიციები საქართველოში. დიდი ხანია, სხვადასხვა გზით ვცდილობთ ამ პრობლემის მოგვარებას, როგორც ძიუდოს ერთი დიდი ოჯახი. ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და უდიდესი სიამაყეა ქართული დროშის ღირსების დაცვა შეჯიბრებებზე, თუმცა უკვე შეუძლებელია ასეთ პირობებში გაგრძელება. ვითხოვთ დავით ქევხიშვილის გადადგომას, რადგან ის ერთპიროვნულად იღებს გადაწყვეტილებებს და ვთხოვთ ყველა იმ ადამიანს, რომლებსაც შეუძლიათ ამ სიტუაციაში პრობლემის მოგვარება, გულთან ახლოს მიიტანოს ქართული ძიუდოს გასაჭირი", — ეს განცხადება ძიუდოისტთა სახელით, ნაკრების კაპიტანმა **ვარლამ ლიპარტელიანმა** გააკეთა, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტმა დავით ქევხიშვილმა გადადგომაზე უარი განაცხადა. ამის შემდეგ ბრალდებები უფრო დამძიმდა.

„ის, რომ საკუთარი ხარჯებით წავედით ევროპის ჩემპიონატზე, არაფერია იმასთან შედარებით, რაც იქ ხდებოდა. ფედერაციის ხარჯებით რამდენიმე ათეული გულშემატკივარი წამოვიდა ისრაელში, ჩვენთვის სრულიად უცნობი ადამიანები, მაგრამ ქევხიშვილის მეგობრები. უსახსრობის გამო თბილისში დარჩა ნაკრების მასაჟისტი და ევროპის ჩემპიონატზე არ გვყავდა. მეტი რა უნდა მოხდეს, რომ ქევხიშვილმა გადადგომაზე იფიქროს?!" — განაცხადეს ძიუდოისტებმა.

სხვათა შორის, ქევხიშვილი ფედერაციაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ზურაბ ზვიადაურმა** ხელისუფლების ცვლილების შემდეგ მიიყვანა, „ქართული ოცნების" ლიდერებთან დააახლოვა და პრეზიდენტის პოსტიც ჩააბარა. ახლა კი სწორედ ზვიადაური გაიძახის: შემეშალა და შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობა მომეცითო. მოგეხსენებათ, **ქევხიშვილი, ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტობის გარდა, ყვარლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეა და, როგორ უთავსებს ამ ორ საპასუხისმგებლო პოსტს ერთმანეთს, ნამდვილად ვერ გეტყვით. მან ისიც თქვა, — ფედერაციის პრეზიდენტობა ზვიადაურს სურსო, მაგრამ ძიუდოისტებმა ხმამაღლა განაცხადეს: თუ ზვიადაური ფედერაციის პრეზიდენტი გახდება, ნაკრებიდან ყველა წავალთო**, რაც ზვიადაურმაც მოიწონა და აღნიშნა: ფედერაციაში ვერ მიხილავთო.

ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციით, ძიუდოისტებს პრეზიდენტად საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი **ვლადიმერ ნუცუბიძე** სურთ. ნუცუბიძე ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მიერ დაფასებული მსაჯია, მსოფლიოს ჩემპიონატების, ოლიმპიადების ფინალები აქვს განსჯილი და არცთუ ურიგოდ. სწორედ მისი საერთაშორისო კავშირების ეიმედებათ ბიჭებს და სჯერათ, რომ ნუცუბიძეა ის პიროვნება, რომელიც ქართულ ძიუდოს სხვა სიმაღლეზე აიყვანს.

„ეს არის დემარში, ბოიკოტი ან, რაც გინდათ, ის დაარქვით. ასე გაგრძელებას აზრი არ აქვს და სწორედ ამიტომ ბოსნიაში გასამართი ევროპის თასიდან ჩემი განაცხადი გამოვიტანე, იქ აღარ მივდივარ", — განაცხადა მსოფლიოს კიდევ ერთმა ჩემპიონმა **ავთანდილ ჭრიკიშვილმა** და შინ, პრაქტიკულად, აეროპორტიდან დაბრუნდა.

„ქევხიშვილს ხელისუფლების იმედი აქვს. მას პარლამენტშიც და პარტიაშიც ჰყავს მხარდამჭერები, სხვანაირად მას პარალელურ რეჟიმში ყვარლის საკრებულოს თავმჯდომარედ არ დანიშნავდნენ. რეალურად, ქევხიშვილი ვერც საკრებულოში დადის და საქმეს ვერ აკეთებს და რას დაამსგავსა ფედერაცია, თავადაც ხედავთ. ახლა მთავარი ის კი არ არის, რას იზამს გადადგომის შემდეგ ქევხიშვილი, არამედ ის, გამოიძიებენ თუ არა 15 მილიონი ლარის გაქრობის ამბავს. წინ მსოფლიოს ჩამპიონატია და ფული, უბრალოდ, აღარ არის. როგორ უნდა მოემზადოს ნაკრები, არავინ იცის", — გვითხრა ფედერაციაში მომუშავე ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა.

**7 მაისს ძიუდოისტები გულშემატკივრებთან ერთად ფედერაციაში მივიდნენ და ქევხიშვილთან კამერების თანდასწრებით საუბარი მოითხოვეს, მაგრამ ფედერაციის პრეზიდენტი კაბინეტში არ დახვდათ.**

აი რა განაცხადა **დავით ქევხიშვილმა,** როდესაც მას კომენტარისთვის დავუკავშირდით:

**„10 მაისს ყრილობაა დანიშნული და ყველა კითხვას იქ გაეცემა პასუხი. პირდაპირ ვაცხადებ, რომ ბრალდებები აბსურდულია და მათ არ ვეთანხმები. ისინი ბრალს მდებენ, მე ჩემი სიმართლე მაქვს და ამ სიმართლეს დავამტკიცებ. თანამდებობაზე გამოკიდებული და გამოკერებული არავინაა, მაგრამ ასე წასვლას არ ვაპირებ — თითქოს ყველაფერი გავაფუჭე და ყველაფერი ჩემი ბრალია. ჩემს სიმართლეს დავამტკიცებ და დავამტკიცებ დოკუმენტებით და არა ჰაერზე",** — გვითხრა ქევხიშვილმა.

**„ითქვა, თითქოს ვიტყუები, თითქოს ჩემი ხარჯით არ წავსულვარ ისრაელში. მე მაქვს ინვოისები, მაქვს მეილზე გამოგზავნილი ბილეთი, ჩემი ბარათიდან არის გადარიცხული ბილეთის ფული, ყველა დოკუმენტი მაქვს და ამ დოკუმენტებს დავდებ. ის, რომ ქევხიშვილი მართალია და ყველა ტყუილს ვამბობთ, თეორიულადაც კი აბსურდია. დათო უნდა გადადგეს, სხვა გზა, უბრალოდ, არ არსებობს",** — ეს კი ძიუდოისტთა ნაკრების კაპიტნის, **ვარლამ ლიპარტელიანის,** პოზიციაა.

შეგახსენებთ, რომ ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა 10 მაისს არის დანიშნული, თუმცა, მივლენ თუ არა ყრილობამდე ძიუდოისტები, ძნელი სათქმელია, რადგან ვითარება უკიდურესად დაძაბულია.

**ბესო ბარბაქაძე**

თავისუფლება თუ განუკითხაობა?
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**კანონები ხომ იმიტომ არის შექმნილი ნორმალურ სახელმწიფოში, რომ, როცა ვინმეს რამე „არ ესმის“, ზღვარს არ უნდა გადავიდეს და, თუ რეგვენია და ვერ შეიგნებს, დაისაჯოს და პასუხი აგოს, რათა მეორე რეგვენმა იგივე არ გაიმეოროს. ეგრე, ზოგს ისიც არ ესმის, რატომ არ შეიძლება ქურდობა, თაღლითობა, ადამიანების ფიზიკური შეურაცხყოფა და ა. შ., მაგრამ, როცა საქმე კანონს ეხება, იქ უკვე ნაკლებად საინტერესოა, ვის რა „ესმის“ და ვის რა „არ ესმის“.**

# ქონდომების დედოფალო, მარტი გაგვიმ-«აიის»-ე

**მარტი რომ ატეხვის თვეა ცხოველებში, ყველამ ვიცით. ალბათ, ამიტომაც იყო სიმბოლური, რომ ორფეხა ცხოველებმაც სწორედ მარტში მოინდომეს ქართულ სინამდვილეში ყველაზე ხმაურიანი სკანდალის აგორება. როგორც ჩანს, მათ ვერაფრით ძლიეს მოძალებულ ცხოველურ ჰორმონებს და ერთი ამბავი ატეხეს, — მაინცდამაინც მეფეებისა და წმინდანების გამოსახულებიანი ქონდომები (პრეზერვატივის ოფიციალური სახელია) გვინდაო.**

ამასთანავე, „ქონდომების დედოფლის“ ტიტულისთვის მებრძოლმა **ანანია გაჩეჩილაძემ** „მძიმე კაცის“ მეშვეობით, ტელეეთერიდან ისიც გვაუწყა, რომ მისი საყვარელი საქმიანობა პორნოს ცქერა ყოფილა... კარგი, ჯანდაბას, არ შევიცხადებთ, — არიქა, პორნოს ყურება ქალისთვის როგორ შეიძლებაო, მაგრამ საქმე ისაა, რომ ანანიას თურმე გეიპორნო იზიდავს ყველაზე მეტად. ვინმემ, დედამიწაზე რომელიმე ფსიქოლოგმა, ახსნას იქნებ, ქალს, თუნდაც ლესბოსელი იყოს, მამაკაცის მამაკაცთან ბღლარძუნი რატომ იზიდავს?!

ქონდომების დედოფალ ანანია გაჩეჩილაძის სახით რომ უიშვიათეს დაავადებასთან გვაქვს საქმე, ნათელია. თუმცა, მაინც გასაოცარია მისი ის უაზრო ფრაზები, რომლებიც კომპანია „აიისას“ მფლობელმა ანანიამ სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ თქვა. მოგეხსენებათ, სასამართლომ „აიისას“ მფლობელი 500 ლარით დააჯარიმა, ფირმას კი პრეზერვატივების შეფუთვაზე ასეთი გამოსახულებების დატანა აუკრძალა.

**„არ მესმის, რატომ არ შეიძლება პრეზერვატივებზე მეფეებისა და წმინდანების გამოსახვა? ამიხსენით, რატომ არ მაქვს ამის უფლება? თუ მინდა, ღმერთს დავახატავ პრეზერვატივზე!“ — გაოცებულმა განაცხადა ქონდომების დედოფალმა.**

**მაგრამ კანონები ხომ იმიტომ არის შექმნილი ნორმალურ სახელმწიფოში, რომ, როცა ვინმეს რამე „არ ესმის“, ზღვარს არ უნდა გადავიდეს და, თუ რეგვენია და ვერ შეიგნებს, უნდა დაისაჯოს და პასუხი აგოს, რათა მეორე რეგვენმა იგივე არ გაიმეოროს. ეგრე, ზოგს ისიც არ ესმის, რატომ არ შეიძლება ქურდობა, თაღლითობა, ადამიანების ფიზიკური შეურაცხყოფა და ა. შ., მაგრამ, როცა საქმე კანონს ეხება, იქ უკვე ნაკლებად საინტერესოა, ვის რა „ესმის“ და ვის რა „არ ესმის“.**

სწორედ შეუგნებლებმა და ხეპრეებმა, რომლებსაც რაღაცები „არ ესმით“, თავიანი უგუნური და უზნეო ქმედებებით სახელმწიფო რომ არ ჩამოშალონ და დაანგრიონ, არსებობს კანონი და ზნეობის ელემენტარული ნორმები. როგორც ჩანს, ზოგიერთს, ვისაც ძალიან ინტელექტუალურობასა და განათლებულობაზე აქვს პრეტენზია, ლექციის წაკითხვა სჭირდება იმაზე, თუ რა არის საზოგადოება და სახელმწიფო. საზოგადოება ის მთავარი ინსტრუმენტია, რომელიც ქმნის სახელმწიფოს. საზოგადოება თანხმდება, როგორი უნდა იყოს ამ კონკრეტულ სახელმწიფოში მცხოვრები ადამიანების, ინდივიდების ცხოვრების ძირითადი წესები. აი, სწორედ ამას ჰქვია (უხეშად) კანონი. საზოგადოება, აგრეთვე, აწესებს ზნეობის მინიმალურ ნორმებს. მართალია, არავის აქვს ვინმეს პირად ცხოვრებაში ჩარევის უფლება, მაგრამ საზოგადოების ყველა წევრი ვალდებულია, ზნეობის ეს მინიმალური ნორმები დაიცვას და მით უფრო არავის აქვს უფლება, საზოგადოებას უზნეობა უქადაგოს და თავს მოახვიოს; ხოლო ვინც ვერ ჯდება საზოგადოების მიერ დაწესებულ მინიმალურ ნორმებში, ან კანონით დაისჯება, ან საზოგადოებისგან გაირიყება. დღეს მოდური პოზა „საზოგადოების მიმართ პროტესტისა და არდამორჩილებისა“ სწორედ სახელმწიფოს რღვევისკენ არის მიმართული. **თავისუფლება განუკითხაობას არ უნდა ნიშნავდეს.** ყოველივე ამის დეტალურად ახსნას გაზეთის რამდენიმე ნომერიც არ ეყოფა, ამიტომ ვეცდები, ბიბლიიდან ერთი მარტივი მაგალითით გაჩვენოთ, რასაც ვგულისხმობ. ამ მაგალითით არ ვცდილობ რელიგიური შინაარსისთვის ხაზგასმას. უბრალოდ, მიიღეთ ეს, როგორც ფაქტი. ძველი აღთქმის ერთი ეპიზოდის თანახმად, **მოსემ** ებრაელი ჯარისკაცების იმ ნაწილს, რომელსაც ამდენი შეგნება არ ჰქონდა, აუკრძალა


ანანია გაჩეჩილაძე

სამხედრო ბანაკის ტერიტორიაზე მოსაქმება. დიახ! ამ ჯარისკაცებს „არ ესმოდათ“, რატომ არ ჰქონდათ უფლება, მოესაქმებინათ ბანაკში. მათ არ აწუხებდათ სიმყრალე და სიბინძურე და სხვა ჯარისკაცებსაც არად დაგიდევდნენ, ამიტომ მათთვის მკაცრი სასჯელი დაწესდა.

მოსე ამ ერთი შეხედვით ელემენტარულ აკრძალვასაც კი ებრაელთა მომავალი „აღთქმული ქვეყნის“ სახელმწიფოებრივ სიძლიერეს უკავშირებდა... რატომ? ამაზე პასუხი გნებავთ?

ქონდომების დედოფალო, რას იტყვი: სახელმწიფო ან ვინმე ვალდებულია, აგიხსნას, რატომ არ შეიძლება მოისაქმო იქ, სადაც ჭამ? იქ, სადაც გძინავს? იქ, სადაც სხვებიც არიან? როგორ ფიქრობ, **„ბანაკის შიგნით მოსაქმება“ თავისუფლება და თავისუფალი არჩევანია თუ თავხედობა, უკულტურობა და განუკითხაობა?** თუმცა, ერთი ბრძენი კაცისა არ იყოს, ამის ახსნა რომ დავიწყოთ, თქვენ გასაგებად მარადისობა დაგჭირდებათ...

**ქონდომების დედოფალო, რას იტყვი: სახელმწიფო ან ვინმე ვალდებულია, აგიხსნას, რატომ არ შეიძლება მოისაქმო იქ, სადაც ჭამ? იქ, სადაც გძინავს? იქ, სადაც სხვებიც არიან? როგორ ფიქრობ, «ბანაკის შიგნით მოსაქმება» თავისუფლება და თავისუფალი არჩევანია თუ თავხედობა, უკულტურობა და განუკითხაობა? თუმცა, ერთი ბრძენი კაცისა არ იყოს, ამის ახსნა რომ დავიწყოთ, ამის გასაგებად მარადისობა დაგჭირდებათ...**

**ბაკურ სვანიძე**

**P.S. მე მაინც მგონია, რომ განხილული ეპიზოდი კიდევ ერთი შეგნებული მცდელობაა მართლმადიდებლური ფასეულობების წაბილწვის, საქართველოს ახალგაზრდების ზნეობრივი გადაგვარებისა და ქართული სახელმწიფოს, ქართველი ერის ზნეობის ძირის გამოთხრისა. წესით, მოცემული საკითხით აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ კომპეტენტური ორგანოები.**

# ქართული ღვინის ექსპორტმა მოიმატა. ყველაზე მეტი ღვინო რუსეთმა იყიდა



## ღვინის ექსპორტშია ჭეშმარიტება

**2018 წლის იანვარ-აპრილში საქართველომ მსოფლიოს 43 ქვეყანაში 59,2 მილიონი დოლარის ღირებულების 25 მილიონი ბოთლი ღვინო გაიტანა გასაყიდად.**

**„ქართული ღვინის მომხმარებელთა შორის კვლავ ლიდერობს რუსეთი — 2018 წლის ოთხ თვეში ქართული ღვინის ექსპორტმა რუსეთში 47%-ით მოიმატა და 16,2 მილიონი ბოთლი შეადგინა“, — ნათქვამია ღვინის ეროვნული სააგენტოს განცხადებაში.**

წლის დასაწყისიდან საქართველომ მსოფლიოს 43 ქვეყანაში 25 მლნ ბოთლი (0,75 ლ) ღვინო გაიტანა, რაც 36%-ით აღემატება 2017 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს. სულ ექსპორტირებულია 59,2 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო. ქართული ღვინის შემსყიდველ ქვეყნებს შორის მეორე ადგილი დაიკავა **უკრაინამ,** სადაც 2,4 მილიონი ბოთლი ღვინოა ექსპორტირებული. უკრაინაში ექსპორტის ზრდამ 27% შეადგინა. მესამე ადგილზეა **ჩინეთი** — 1,8 მლნ ბოთლზე მეტი, ამასთანავე, ღვინის ექსპორტი ჩინეთში 24,6%-ით შემცირდა. ქართული ღვინის ძირითად იმპორტიორთა ხუთეულში შევიდა **ყაზახეთი** (1,1 მილიონ ბოთლზე მეტი) და **პოლონეთი** (1 მლნ ბოთლზე მეტი). პირველ კვარტალში ექსპორტმა ყაზახეთში 84%-ით მოიმატა, პოლონეთში — 24%-ით. ქართული ღვინის პოპულარობა იზრდება როგორც ტრადიციულ, ისე ევროპის, აშშ-ისა და აზიის ბაზრებზე: ღვინის ექსპორტმა **იაპონიაში** 139%-ით მოიმატა, **ჩეხეთში** — 90%-ით, **დიდ ბრიტანეთში** — 89%-ით, **ნიდერლანდებში** — 83%-ით, **სამხრეთ კორეაში** — 76%-ით, **ბელარუსში** — 75%-ით, **გერმანიაში** — 66%-ით, **ლიტვაში** — 51%. იანვარ-აპრილის პერიოდში, აგრეთვე, ექსპორტირებულია 5 მილიონი ბოთლი ბრენდი (0,5 ლ) და 84 000 ბოთლი (0,5ლ) ჭაჭა.

**ლუკა მაისურაძე**

**P.S. როგორც ხედავთ, ქართული ღვინის ძირითადი მომხმარებელია უზარმაზარი ბაზრის მქონე რუსეთი, რომელთან ურთიერთობაც ვერა და ვერ მოაგვარა საქართველოს ხელისუფლებამ. მოაგვარა კი არა, გარე ძალების წაქეზებით „ცხელი თავები“ ამ ურთიერთობას სულ უფრო ამწვავებენ, მაგრამ იმაზე არ ფიქრობენ, რომ შესაძლოა, რუსეთმა საპასუხო ნაბიჯები გადადგას და ქართული ღვინის, საერთოდ, ქართული პროდუქტების შეძენაზე უარი თქვას. და რას მოუტანს ეს საქართველოს ეკონომიკას, სულაც არ ანალვლებთ.**

# ხელისუფლების გასაგონად



## უნგრეთის პრემიერმინისტრი: ჩვენ დავიცავთ ქრისტიანულ კულტურას

**უნგრეთის პრემიერმინისტრ ვიქტორ ორბანის განცხადებით, უნგრელი ხალხი ქრისტიანულ დემოკრატიას აშენებს და არ აპირებს, ქვეყანა უცხოელებს დაუთმოს.**

მას შემდეგ, რაც არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა, უნგრეთის პრემიერმინისტრი ვიქტორ ორბანი საიმიგრაციო წესების გამკაცრებასა და ქრისტიანული კულტურის დაცვაზე ალაპარაკდა, — იუწყება ვებგვერდი breitbart.com-ი.

„ჩვენ ვაშენებთ ქრისტიანულ დემოკრატიას, ძველებურ ქრისტიანულ დემოკრატიას, რომლის ფესვებიც ევროპულ ტრადიციაში მიდის, ჩვენ დავიცავთ ქრისტიანულ კულტურას და არ დავუთმობთ ქვეყანას უცხოელებს“, — განაცხადა ორბანმა.

**„ჩემს ინტერვიუებში აღვნიშნე, რომ ბ. კერატიშვილი ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ, ეტყობა, სერიოზულად შევცდი, რადგან ჭკვიანი კაცი დავას არ დამიწყებდა ისეთ რამეზე, რისი დადასტურებაც მე, მის მიერ „ჯოჯოხეთის მსაჯულად“ წოდებულს, შემიძლია ფაქტებით და არა ცრუპენტელობის დონეზე, ისე, როგორც ამას თავდაცვის მიზნით კერატიშვილი კადრულობს“.**

ახლესი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საპატრიარქო კარის თამაშები

**განვაგრძობთ საუბარს გენერალ-მაიორ ვახტანგ გვარამიასთან. ის ამჯერად წილკნელი მიტროპოლიტ გაიოზის (ბიძინა კერატიშვილის) კრიმინალურ საქმიანობაზე გვესაუბრება. თემა ამჟამადაც ძალიან აქტუალურია. 1970-იანი წლების ბოლოს პატრიარქისა და საპატრიარქოს წინააღმდეგ ისევე იბრძოდნენ, როგორც დღეს. ჩანს, პატრიარქის ტახტისთვის ბრძოლა ახალი ამბავი არ არის, არც ის არის ახალი, რომ ზოგიერთი მიტროპოლიტი სახელს უტეხს ეკლესიას.**

## როგორ ებრძოდა საქართველოს პატრიარქს მიტროპოლიტი გაიოზი და როგორ ცდილობდა ოქროს ჯვრისა და ზურმუხტების გაყიდვას

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №12-15 (436-439)



მიტროპოლიტი გაიოზი

**«ზვიად გამსახურდიამ იცოდა, რას წარმოადგენდა ბ. კერატიშვილი და ოფიციალურ საჩივრებშიც ამხელდა მას, როგორც ქურდს, და არატრადიციული ორიენტაციის მქონე პიროვნებას. თუ იგი არ იყო სწორი და ცილს სწამებდა, მაშინვე რატომ არ გამოეხმაურა მის საჩივრებს, არ უარყო ბრალდებები და არ დააყენა პასუხისმგებლობის საკითხი ცილისწამებისთვის? მოხდა პირიქით — ზვიად გამსახურდიას საჩივრების საფუძველზე მხილებული იქნა ბ. კერატიშვილი ქურდობაში და ღვთისა და ერის წინაშე ჩადენილ დანაშაულებში»**

„ბატონი“ ბიძინა აცხადებს: „ალადაშვილმა იმაზე კი არ უნდა ილაპარაკოს დღეს, თუ ვინ დააჭერინა ჩემი თავი 1978 წელს, ის უთხრას ქართველ საზოგადოებას, ვინ შეუკვეთა და რისთვის გამომიტანა 15-წლიანი პატიმრობის განაჩენი და მთელი ქონების კონფისკაცია იმ საქმეზე, რომელზეც განაჩენის გამოტანის წინ თავად იძახდა ჩემს გასაგონად: „ვერაფერს ვხედავ გამამტყუნებელს, არ ვიცი, რაზე მოვაწერო ხელი“...

აქედანაც ჩანს ბიძინა ტიტიკოს ძის პიროვნება, რომ იგი ცრუპენტელაა. ერთი წუთითაც ეჭვი არ მეპარებოდა, რომ იგი იყო ქურდი და მას ჰქონდა ჩადენილი მძიმე დანაშაული, რისთვისაც ვცანი დამნაშავედ. ასეთ სისულელეს მხოლოდ აქედან გამომდინარეც არ ვიტყოდი, მით უფრო, ხალხით გადატენილ დარბაზში. დღესაც მიმაჩნია, რომ მის მიმართ სამართლიანი განაჩენი დავადგინე.

ბ. კერატიშვილი საყვედურს გამოთქვამს ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნებულ ჩემს ინტერვიუზე და აცხადებს: **„გაზეთში გამოქვეყნებული ინტერვიუს დასაწყისშივე ცნობას ავრცელებს, ვითომც ასამდე საეკლესიო ნივთზე მედებოდა ბრალი. მისი ხელმოწერით გამოტანილი განაჩენით კი 74 ნივთზეა საუბარი, რაც დიდი სხვაობაა“.** კერატიშვილი იმუქრება, რომ არასწორი ინფორმაციისთვის პასუხს მომთხოვს.

რაც შეეხება იმას, რომ ასამდე ნივთის მოპარვაში ედებოდა ბრალი, ეს ჟურნალისტის ნათქვამია. ამ უზუსტობაში, თუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს ბ. კერატიშვილისთვის, სოლიდარობას ვუცხადებ „ბატონ“ ბიძინას და არ ვეთანხმები ჟურნალისტის მიერ მითითებული ნივთების რაოდენობას, ვინაიდან მათი რიცხვი აშკარად შემცირებულია.

ამის დადგენა ძალიან მარტივია. საკმარისია, წავიკითხოთ სისხლის სამართლის საქმე და 1979 წლის 27 მარტის განაჩენი, რომელშიც შავით თეთრზე წერია, რომ ბ. კერატიშვილის დროებით საცხოვრებელი ბინიდან ამოღებულია საქართველოს საპატრიარქოს, სიონის, ქვაშვეთისა და სვეტიცხოვლის ტაძრებიდან, მცხეთის სასულიერო სემინარიიდან, დედათა და შიო მღვიმის მონასტრიდან გატაცებული ნივთები; 108 დასახელების ნივთი, რომლებიც ექსპერტიზის დასკვნით შეფასებულია, როგორც სამუზეუმო, და მათ ჰქონდა ეროვნულ-ისტორიული მნიშვნელობა, გადაეცა საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმს, 200-ზე მეტი საეკლესიო ნივთი, კათალიკოს **კალისტრატე ცინცაძის** 264 ცალი ბეჭდიანი წიგნი, რომლებიც არ წარმოადგენდა სამუზეუმო ექსპონატს, დაუბრუნდა საქართველოს საპატრიარქოს; ძველი ხელნაწერები, საქმეზე თანდართული სიის მიხედვით გადაეცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტს.

ამდენად, ვეთანხმები კერატიშვილს, რომ უნდა ვუჩივლოთ გაზეთის ჟურნალისტს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კერატიშვილი თანახმაა 74 ნივთზე, ხოლო მე, ზემოთ ჩამოთვლილი რაოდენობის გარდა, კორესპონდენტს „შევედავები“ კიდევ სამჯერ მეტი ნივთის გატაცებაში, რომელიც აღწერილია განაჩენში. ეტყობა, კერატიშვილს აქაც ამნეზია დაემართა, ოღონდ თავის სასარგებლოდ. სასურველია, გამოქვეყნდეს განაჩენი და მაშინ მაინც დაითვალოს კერატიშვილმა, რამდენი ნივთი იქნა გატაცებული მის მიერ.

**ბ. კერატიშვილი ამბობს: „მოვითხოვ ალადაშვილისგან მისგან შერჩეულ რედაქციაში ან სადაც უნდა, გამოითხოვოს ეს ნივთები და აჩვენოს ქართველ საზოგადოებას, თუ რის გამო მომისაჯა 15 წელი“.**

დიდი სიამოვნებით შემიძლია მხოლოდ ნაწილობრივ დავაკმაყოფილო „ბატონ“ ბიძინას მოთხოვნა. რაც შეეხება იმას, რომ გამოვითხოვო და ვაჩვენო საზოგადოებას მის მიერ გატაცებული ნივთები, ამის გაკეთება არ შემიძლია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს ნივთები უკლებლივ გადაეცა საპატრიარქოს და მუზეუმს. მე მაქვს ამ ნივთების ნაწილის ფერადი ფოტოსურათები.

**ჩემს ინტერვიუებში აღვნიშნე, რომ ბ. კერატიშვილი ნიჭიერი კაცი იყო, მაგრამ, ეტყობა, სერიოზულად შევცდი, რადგან ჭკვიანი კაცი დავას არ დამიწყებდა ისეთ რამეზე, რისი დადასტურებაც მე, მის მიერ „ჯოჯოხეთის მსაჯულად“ წოდებულს, შემიძლია ფაქტებით და არა ცრუპენტელობის დონეზე, ისე, როგორც ამას თავდაცვის მიზნით კერატიშვილი კადრულობს. კიდევ ერთს ვურჩევ, კარგად წაიკითხოს განაჩენი და თავის გასამართლებლად ნუ იყენებს მის მიერ მოგონილ არგუმენტებს, რომლებიც ეწინააღმდეგება ფაქტობრივ გარემოებებს. მაგაზეა ნათქვამი: „მელას რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო“.**

კერატიშვილმა თავის ინტერვიუში დამისვა შეკითხვა: „ვინ და რა მიზნით გააქრო თუ გაანადგურა ქალაქის სასამართლოს არქივიდან ჩემი ბრალდების 15-ტომიანი საქმე?“

ძნელია პასუხის გაცემა ამ არასერიოზულ შეკითხვაზე. კერატიშვილი ცდილობს, შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი, როდესაც აცხადებს, რომ დაინტერესებულმა პირებმა გააქრეს მისი ბრალდების სისხლის სამართლის საქმე. კერატიშვილს, რა თქმა უნდა, ხელს აძლევს, რომ მისი სისხლის სამართლის საქმე მართლა დაკარგული იყოს. არ გამოვრიცხავ, მან ისევე მოიპარა ეს საქმე, როგორც გაძარცვა საპატრიარქო და ტაძრები. იგი ცდილობს, „სასურველი სინამდვილედ წარმოაჩინოს“. დარწმუნებული ვარ, ეს საქმე არ არის დაკარგული. ვურჩევდი კერატიშვილს, სწორი ადრესატი შეარჩიოს. ამ შეკითხვით კერატიშვილმა უნდა მიმართოს სასამართლოს არქივს, რომელშიც ინახება ეს სისხლის სამართლის საქმე. **თუ კარგად წავიკითხავთ განაჩენს, იქ ჩანს, რა ნივთები, წიგნები და მეცნიერული ნამოღვაწარი იქნა ამოღებული ჩხრეკის შედეგად და რა ბედი ეწია ამ ნივთებს. განაჩენით, ამ ამოღებული უნიკალური ნივთების კონფისკაცია უნდა მომხდარიყო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ,** რაც იმას ნიშნავდა, რომ მისი დიდი ნაწილი გაიგზავნებოდა მოსკოვში და სამუდამოდ დაიკარგებოდა ჩვენი ქვეყნისთვის. მიუხედავად ამისა, ნივთების დიდი ნაწილი ხელოვნების მუზეუმს გადავეცი, სადაც მათი დაცვა გარანტირებული იყო, ხოლო სხვა ნაწილი საპატრიარქოს. მუზეუმს გადაეცა მათ მიერ მოთხოვნილი ნივთები, რომლებიც წარმოადგენდა ეროვნულ საგანძურს. ეს ჩამონათვალი ასახულია განაჩენში.

კერატიშვილი სვამს რიტორიკულ შეკითხვას: „რა მიზეზითა და მოტივაციით იქნა იგი (ალადაშვილი) გამოძევებული უზენაესი სასამართლოდან, სადაც ჩემი გასამართლების შემდეგ, როგორც შეკვეთილი სასამართლო პროცესების კარგი შემსრულებელი, კი არ დაქვეითდა, დაწინაურდა და უზენაეს სასამართლოში მოკალათდა უზენაესი მსაჯულის მანტიამოსხმული?“

აქაც ცრუობთ, „ბატონო“ ბიძინა. მინდა, განგიმარტოთ: **თქვენი საქმის განხილვის გამო მე არ დავწინაურებულვარ. განაჩენი დავადგინე 1979 წლის 27 მარტს, ხოლო უზენაესი სასამართლოს მოსამართლედ 1991 წლის იანვარში ამირჩიეს, როდესაც კომუნისტური ხელისუფლება აღარ იყო. უზენაესი სასამართლოდან გავედი პენსიაზე 2001 წლის იანვარში. იმედია, ამით თქვენი ცნობისმოყვარეობა დავაკმაყოფილე.**

კერატიშვილი მსაყვედურობს: „აი, რა არის, ბატონო მორიელო ალადაშვილო, ჩვეულებრივ ქურდობაზე უფრო დიდი ქურდობა-ყაჩაღობა, 20 წლის წინათ ციხიდან გათავისუფლებულ, გნებავთ, დანაშაულის ჩამდენ პირს, ღირსებისა და პატივისგან უნამუსოდ რომ მძარცვავ! თქვენ არ შეიძლება არ გცოდნოდათ, რომ სასულიერო პირის დაპატიმრება, მაშინდელი სსრკ მინისტრთა საბჭოს სპეციალური დადგენილებით, ამ სახით, რა სახითაც პატიმრობაში თქვენნაირმა არამზადებმა ამიყვანეს, არ შეიძლებოდა, ვინაიდან კანონი მოითხოვდა, ჯერ გავეფრთხილებინე, თუ რამეს ვაშავებდი, და მხოლოდ ამის შემდეგ, უკეთუ განმეორდებოდა მსგავსი ქმედება რეგისტრაციიდან ჩემი მოხსნის მერე, მივცემულიყავი სისხლის სამართლის პასუხისგებაში. ან, **თუკი ეკლესიას ჰქონდა რაიმე პრეტენზია ამ საგნების კუთვნილებაზე, მე ხომ ულაპარაკოდ შემეძლო, ყოველივე ეს მიმერთმია მისთვის ყოველგვარი ციხისა და ტანჯვა-წამების გარეშე?! ასე ითხოვდა და ითხოვს საეკლესიო კანონები, მაგრამ შენმა კანონმა, რომელიც, სინდისსა და გონებაზე კი არა, შენს მუცელსა და ჯიბეზე გადიოდა, სხვანაირად გაჭრა“.**

„ბატონო“ ბიძინა, როდესაც ზოგიერთ ადამიანს მსჯელობისა და დავის დროს არგუმენტები შემოაკლდება, გადადის ლანძღვაზე. ამ შემთხვევაში თქვენ გავხართ იმ ქუჩის ქალს, რომელსაც ჰგონია, რაც მეტს იყვირებს თავის პატიოსნებაზე და გალანძღავს ოპონენტს, მით უფრო დამაჯერებელი იქნება მისი მსჯელობა.

მაშინ, როდესაც თავს თვლით განათლებულ და მწიგნობარ პიროვნებად, **გთხოვთ, მიუთითოთ მინისტრთა საბჭოს იმ დადგენილებაზე ან კანონზე, რომლითაც სასულიერო პირის დაპატიმრება დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში არ შეიძლებოდა, თუ იგი წინასწარ არ იქნებოდა გაფრთხილებული, არ ჩაედინა სამართალდარღვევა და მხოლოდ ამის შემდეგ, უკეთუ განმეორდებოდა მსგავსი ქმედება, რეგისტრაციიდან მისი მოხსნის მერე მიეცემოდა სისხლის სამართლის პასუხისგებაში.** თქვენი ლოგიკით, **გამოდის, რომ თქვენ მიერ დანაშაულის ჩადენის შემდეგ პოლიციას უნდა გაეფრთხილებინეთ, შეგეწყვიტათ ტაძრების ძარცვა და ნაძარცვი შეგრჩებოდათ, თუ ასე არ გააგრძელებდით, იქნებოდით მიცემული პასუხისგებაში. მე ასეთი დადგენილების ან კანონის შესახებ არ მსმენია, ასეთი ბუნებაში არ არსებობდა არც ერთი ფორმაციის დროს და არც ამჟამად არის.** თქვენი მოკლე ჭკუითა და დემაგოგიით, ცდილობთ, შეცდომაში შეიყვანოთ მკითხველი და გგონიათ, რომ ქართველი ხალხი ისეთი უწიგნურია, რომ ვერ გაარჩევს თქვენნაირ ქურდს პატიოსანი სასულიერო პირისგან. თუ ვცდები, დამისახელეთ მთავრობის ის დადგენილება ან კანონი, რომელზეც თქვენ აპელირებთ. სხვათა შორის, გამოქვეყნდა საპატრიარქოსა და წმინდა სინოდის შეხედულება და შეფასება თქვენ მიერ ჩადენილ უმძიმეს დანაშაულობებზე, რომელიც გააჟღერა 1979 წლის 14 მარტს სასამართლო სხდომაზე საზოგადოებრივმა ბრალმდებელმა, ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა **ნიკოლოზმა.**

თავის ინტერვიუში კერატიშვილი ასევე ლაპარაკობს **ზვიად გამსახურდიაზე** და კგბ-ს აგენტებზე. „მართლია, მე ინაურის აგენტი ვყოფილვარ თურმე, მაგრამ გამსახურდიაზე მიმაგრებული ინფორმატორი ვერ ვიქნებოდი, ვინაიდან ყველანაირი კავშირი გვქონდა გაწყვეტილი მის მერე, რაც საჩივრების წერა დაიწყო ჩემზე და რასაც ძალიან დიდხანს არ ვპასუხობდი“.

ბ. კერატიშვილი აქაც წინააღმდეგობაში მოდის თავის თავთან. იგი ვერ იქნებოდა უშუალოდ ზვიადთან მიმაგრებული, ვინაიდან მათ, არათუ ახლო, არამედ საერთოდ არ ჰქონიათ არანაირი ურთიერთობა. იგი უსინდისოდ აცხადებს, რომ მას ზვიად გამსახურდიასთან თავდაპირველად კარგი ურთიერთობა ჰქონდა, რაც სიცრუეა. **ზვიად გამსახურდიამ იცოდა, რას წარმოადგენდა ბ. კერატიშვილი და ოფიციალურ საჩივრებშიც ამხელდა მას, როგორც ქურდს, და არატრადიციული ორიენტაციის მქონე პიროვნებას. თუ იგი არ იყო სწორი და ცილს სწამებდა, მაშინვე რატომ არ გამოეხმაურა მის საჩივრებს, არ უარყო ბრალდებები და არ დააყენა პასუხისმგებლობის საკითხი ცილისწამებისთვის? მოხდა პირიქით — ზვიად გამსახურდიას საჩივრების საფუძველზე მხილებული იქნა ბ. კერატიშვილი ქურდობაში და ღვთისა და ერის წინაშე ჩადენილ დანაშაულებში.** ახლა, როდესაც ზვიადი ცოცხალი არ არის, მან ისარგებლა ამ მდგომარეობით და ცდილობს თავის მართლებას.

**(გაგრძელება იქნება)**

მოამზადა
**ეკა ნასყიდაშვილმა**

დიადი გამარჯვების დღე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიდ სამამულო ომზე ბრიტანულ-ამერიკული ისტორიული და სამხედრო ისტორიული ლიტერატურა ასეულობით წიგნსა და ათასობით სტატიას ითვლის. ამ წიგნებისა და სტატიების ძირითადი ნაწილი, რომლებიც შორსაა ჭეშმარიტებისგან, მეორე მსოფლიო ომის გამჩაღებლებისა და ახალი მსოფლიო ომის მოსურნეთა შეკვეთით დაიწერა და მიზნად ისახავს ამ ომში სსრკ-ის როლის დაკნინებას, ქვეყნისა, რომელმაც ჰიტლერელთა წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე საკუთარი მხრებით ზიდა. დასავლელ ისტორიკოსებს სურთ, წარმოაჩინონ, რომ თითქოს აშშ და დიდი ბრიტანეთი იყო მთავარი ძალა, რომელმაც ფაშიზმი გაანადგურა.**

# ვინ და რატომ ცდილობს საბჭოთა კავშირის როლის დაკნინებას ფაშიზმზე გამარჯვებაში

**მეორე მსოფლიო ომი (1939 წლის 1 სექტემბერი — 1945 წლის 2 სექტემბერი) კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე სისხლისმღვრელი და დამანგრეველი ომია, რომელიც გააჩაღა ფაშისტურმა გერმანიამ იტალიასა და მილიტარისტულ იაპონიასთან ერთად და რომელშიც ჩართული იყო 62 სახელმწიფო (დაახლოებით 1,7 მლრდ ადამიანი) იმხანად არსებული 73-დან. საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა ევროპის, აზიისა და აფრიკის ტერიტორიებზე და ყველა ოკეანის წყლებში. ეს არის ერთადერთი ომი, რომელშიც გამოიყენეს ატომური იარაღი.**



მეორე მსოფლიო ომის დაწყების მთავარი მიზეზი იყო ნაცისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების სურვილი — ძალის გამოყენებით გადაენაწილებინათ მსოფლიო. 1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია შეიჭრა პოლონეთში, 2 დღის შემდეგ, 3 სექტემბერს, დიდმა ბრიტანეთმა და საფრანგეთმა გერმანიას ომი გამოუცხადეს. 1940 წლის აპრილ-ივნისში გერმანიამ დაიპყრო დანია და ნორვეგია, 10 მაისს შეიჭრა ბელგიაში (ამ ქვეყანამ კაპიტულაცია გამოაცხადა 28 მაისს), ნიდერლანდებსა (კაპიტულაცია გამოცხადდა 14 მაისს) და ლუქსემბურგში, შემდეგ კი ამ ქვეყნების ტერიტორიებიდან შეიჭრა საფრანგეთში (კაპიტულაცია გამოცხადდა 22 ივნისს), 1940 წლის 10 ივნისს გერმანიას მხარი დაუჭირა იტალიამ. 1941 წლის აპრილში კი **ჰიტლერმა** დაიპყრო საბერძნეთი და იუგოსლავია. ამრიგად, მეორე მსოფლიო ომის პირველი პერიოდის ბოლოს დასავლეთი და ცენტრალური ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა გერმანიისა და იტალიის მიერ იყო ოკუპირებული.

მეორე მსოფლიო ომის უმნიშვნელოვანესი და გადამწყვეტი ნაწილია 1941-45 წლების დიდი სამამულო ომი (1941 წლის 22 ივნისი — 1945 წლის 9 მაისი) ეს იყო სისხლისმღვრელი ბრძოლა საბჭოთა კავშირსა და მის ტერიტორიაზე მუხანათურად შეჭრილ გერმანიასა და მის ევროპელ მოკავშირეებს (უნგრეთი, იტალია, ხორვატია) შორის, რომელშიც საბჭოთა კავშირმა 26 მლნ-ზე მეტი ადამიანი დაკარგა დაღუპულების, ტყვედ ჩავარდნილების, დაავადებებისგან გარდაცვლილებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა სახით, მათ შორის, 12 მლნ-მდე სამხედრო მოსამსახურე.

სულ კი მეორე მსოფლიო ომმა 71,1 მლნ ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საბჭოთა კავშირის ფინანსურ-ეკონომიკურმა დანაკარგმა შეადგინა 610 მლრდ დოლარი.

კავკასიისა და სტალინგრადის დასაცავად გამართული გმირული ბრძოლების, ლენინგრადის ბლოკადის გარღვევისა და კურსკის რკალზე გერმანელი ფაშისტების განადგურების შემდეგ (ამ ბრძოლაში 6 ათასი ტანკი, 19 ათასამდე საარტილერიო დანადგარი, 4 ათასზე მეტი თვითმფრინავი და მილიონამდე ჯარისკაცი მონაწილეობდა) უპირატესობა მოიპოვეს საბჭოთა კავშირის შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებმაც ჯერ ქვეყანა აღადგინეს კანონიერ საზღვრებში, შემდეგ გაათავისუფლეს პოლონეთი, ბულგარეთი, რუმინეთი, უნგრეთი, იუგოსლავია, ჩეხოსლოვაკია, 1945 წლის გაზაფხულზე კი, გერმანელი ფაშისტების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, ბერლინში შეიჭრნენ. 1945 წლის 1 მაისს, დაახლოებით 3 საათზე, საბჭოთა არმიის მეომრებმა: **მიხეილ ეგოროვმა** და **მელიტონ ქანთარიამ** რაიხსტაგის თავზე გამარჯვების დროშა ააფრიალეს. ფაშისტური გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის აქტს ჯერ 7 მაისს მოაწერეს ხელი რეიმსში (საფრანგეთი), შემდეგ კი, როდესაც **სტალინს** არ მოეწონა არც ხელმომწერთა რანგი და არც ხელმოწერის ადგილი, 8 მაისს — ბერლინის გარეუბან კარლსჰორსტში. კაპიტულაცია ძალაში შევიდა 8 მაისს, 23 საათსა და 1 წუთზე ცენტრალური ევროპის დროით, როცა საბჭოთა კავშირში (მოსკოვში) უკვე 1-ელი საათი და 1 წუთი იყო. შესაბამისად, სსრკ-ში ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღე 9 მაისს აღინიშნება, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში — 8 მაისს.

**ყოველ 9 მაისს მსოფლიოს რამდენიმე ქვეყნისა და საბჭოთა კავშირის ყოფილი რესპუბლიკების ომგამოვლილი ვეტერანები, უკვე თითზე ჩამოსათვლელნი, ზეიმობენ დიდ სამამულო ომში გამარჯვებას და პატივს მიაგებენ დაღუპული თანამებრძოლების ხსოვნას.** ისტორიის დასავლელი ფალსიფიკატორები კი, რომლებიც საკმაოდ არიან დასავლეთშიც და ყოფილ საბჭოთა კავშირშიც, ამ თარიღის აღნიშვნის წინ ხშირად ჩნდებიან ტელეეკრანებსა თუ ბეჭდურ მედიაში, რათა „შეაფასონ“ მეორე მსოფლიო ომის შედეგები. მათ ინტერვიუებსა და სტატიებს რეფრენად გასდევს მართლაც საჭირო ლოზუნგი: **„მეორე მსოფლიო ომის ისტორია ტყუილისა და ცილისწამებისგან, ანუ ფალსიფიკაციისგან უნდა გაიწმინდოს!“.** ამისკენ ზოგიერთი ავტორიტეტული ისტორიკოსი გულწრფელად, კეთილშობილური მიზნით მოუწოდებს, მაგრამ არცთუ ცოტაა ისეთი, ვისაც მერკანტილური ინტერესი ამოძრავებს — **ცდილობენ, მეორე მსოფლიო ომში სსრკ-ის როლის დაკნინებასა და ბრიტანელთა და ამერიკელთა წვლილის შთამბეჭდავად წარმოჩენას, საბჭოთა არმიისთვის აგრესორის იარლიყის მიწებებას.** მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნებში ფაშისტებისგან გათავისუფლებას საბჭოთა ოკუპაციას უწოდებენ; უკრაინელებმა კი, რომლებმაც ფაშისტების ოკუპაციის დამანგრეველი შედეგები საკუთარ თავზე იწვნიეს, გამარჯვების დღის აღნიშვნა 8 მაისს დაიწყეს(?!). ნიშანდობლივია, რომ თანამედროვე დასავლეთის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა არ იცის, ვინ დაამარცხა ფაშიზმი და თვლის, რომ საბჭოთა კავშირი მხოლოდ ეხმარებოდა აშშ-ს ჰიტლერელთა განადგურებაში, მეტიც — ევროკავშირისა და აშშ-ის მოქალაქეები დარწმუნებული არიან, რომ „საბჭოთა კავშირი დაესხა თავს გერმანიას“ და არა პირიქით; რომ პირველი კოსმონავტი ამერიკელი იყო; რომ მეორე მსოფლიო ომი მოიგო არა საბჭოთა კავშირმა, არამედ აშშ-მა და მისმა მოკავშირეებმა და, საერთოდ, აშშ რომ არ ყოფილიყო, ჰიტლერი სსრკ-ს პირისაგან მიწისა აღგვიდა. გასაოცარია, სადამდე მიიყვანა ამ ანტისაბჭოთა და შემდეგ ანტირუსულმა პროპაგანდამ ამერიკელები. აი მაგალითი: ამერიკელები ყოველი მაისის ბოლო ორშაბათს აღნიშნავენ ხსენების დღეს, გადიან სასაფლაოებზე, მემორიალურ ადგილებზე და ოჯახებით პატივს მიაგებენ ბრძოლის ველზე დაღუპულ ჯარისკაცებს, ნათესავებს. 2017 წლის მაისის ბოლო ორშაბათს ტელეარხ Fox-ის ჟურნალისტმა **ჯესი უოტერსმა** ჩაატარა გამოკითხვა, რომლის შედეგების მიხედვით გაირკვა, რომ გამოკითხულთა უმრავლესობამ არ იცოდა, ვის ეომებოდა მეორე მსოფლიო ომში ამერიკა. ზოგიერთის აზრით, ამერიკა ებრძოდა ჩინეთსა და საფრანგეთს, „ცივ ომს“ კი ასე იმიტომ ეწოდა, რომ რუსეთში ცივი კლიმატია, ხოლო მაისის ბოლო ორშაბათი — ეს არის „მხიარულების დღე“...



ფაქტების დამახინჯებისა და, საერთოდ, მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ფალსიფიკაციასთან ერთად, დასავლელი ისტორიკოსების ძალისხმევით შეიცვალა ტერმინებიც. მაგალითად, „ფაშისტური გერმანია“ — „მესამე რაიხით“, „ფაშისტური ბლოკი, ფაშისტების სატელიტები“ — „ღერძის“ ქვეყნებად, გერმანიის მოკავშირეებად“, „ფაშისტების ხელშემწყობები“ — „კოლაბორაციონისტებად“ და ა.შ. ამას გარდა, კომუნიზმსა და ფაშიზმს ერთ საფეხურზე აყენებენ.

ეს ყველაფერი მიზანმიმართულად კეთდება დასავლეთის, კერძოდ, დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ის ძალისხმევით, რომლებიც ყველანაირ ხერხს იყენებდნენ საბჭოთა კავშირის დასანგრევად 1917 წლიდან, ანუ შექმნის მომენტიდანვე, ახლა კი რუსეთს უპირისპირდებიან ამ უზარმაზარი ქვეყნის სიმდიდრეების ხელში ჩასაგდებად. ▶

**რომელმა ქვეყანამ რა წვლილი შეიტანა და რა დანაკარგები განიცადა მეორე მსოფლიო ომში, ამაზე ციფრებიც მეტყველებს: საბჭოთა კავშირმა მეორე მსოფლიო ომში დაკარგა დაახლოებით 26 მლნ ადამიანი, მათ შორის, 17 მლნ მშვიდობიანი მოქალაქე; გერმანიამ — 7,4 მლნ ადამიანი, დიდმა ბრიტანეთმა — 300 ათასი ჯარისკაცი და 92 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე; ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — 405 ათასი ჯარისკაცი. აღსანიშნავია, რომ დიდ სამამულო ომში 700 ათასი ქართველი მონაწილეობდა, მათგან 300 000-მა ფაშიზმთან ბრძოლას შესწირა სიცოცხლე, ანუ იმდენმა, რამდენმა ბრიტანელმაც, აგრეთვე, ამერიკელმა**

დიადი გამარჯვების დღე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**1998 წელს არქივების გახსნის შემდეგ მსოფლიოს საზოგადოებრიობისთვის ცნობილი შეიქნა იმ გეგმის შესახებ, რომლის განხორციელებასაც უინსტონ ჩერჩილი აპირებდა 1945 წელს; უკვე გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ — 1945 წლის 1 ივლისს ბრიტანელთა დახმარებით გერმანელი ჯარისკაცები თავს უნდა დასხმოდნენ ევროპაში განლაგებულ საბჭოთა არმიის ქვედანაყოფებს. ამ გეგმის განხორციელებას საბჭოთა დაზვერვის მიერ ინფორმირებულმა სტალინმა შეუშალა ხელი. საერთოდ, კი ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, ჰიტლერმა სსრკ-ზე თავდასხმის გეგმის განხორციელება DRANG NACH OSTEN („შეტევა აღმოსავლეთზე“) მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, როდესაც მიიღო გარანტია, რომ დიდი ბრიტანეთი ამ ომში არ ჩაერეოდა.**

◀ დიდ სამამულო ომზე ბრიტანულ-ამერიკული ისტორიული და სამხედრო ისტორიული ლიტერატურა ასეულობით წიგნსა და ათასობით სტატიას ითვლის. ამ წიგნებისა და სტატიების ძირითადი ნაწილი, რომლებიც შორსაა ჭეშმარიტებისგან, მეორე მსოფლიო ომის გამჩაღებლებისა და ახალი მსოფლიო ომის მოსურნეთა შეკვეთით დაიწერა და მიზნად ისახავს ამ ომში სსრკ-ის როლის დაკნინებას, ქვეყნისა, რომელმაც ჰიტლერელთა წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე საკუთარი მხრებით ზიდა. დასავლელ ისტორიკოსებს სურთ, წარმოაჩინონ, რომ თითქოს აშშ და დიდი ბრიტანეთი იყო მთავარი ძალა, რომელმაც ფაშიზმი გაანადგურა. სწორედ ასე ასწავლიან აშშ-ისა და ბრიტანეთის სკოლებში. ჰიტლერელებთან დაპირისპირების ეპიზოდებს შორის, რომელთა ფალსიფიცირებისკენ არის მიმართული ამერიკელი და ინგლისელი ისტორიკოსების, ჟურნალისტებისა და მემუარისტების ძალისხმევა, ერთ-ერთია გერმანელთა შეტევის პერიპეტიები დასავლეთის ფრონტზე — არდენზე (ბელგიის სამხრეთი დასავლეთი) 1944 წლის დეკემბერში.

ამ მოვლენის მონაწილე **დუაიტ ეიზენჰაუერი** (აშშ-ის არმიის გენერალი, მოგვიანებით — 34-ე პრეზიდენტი) თავის წიგნში „ჯვაროსნული ლაშქრობა ევროპაზე“ ქებადიდებას არ იშურებს ინგლისელი და ამერიკელი ჯარისკაცებისა და გენერლების მიმართ, მაგრამ არაფერს ამბობს საბჭოთა მეომრებზე. ეიზენჰაუერის დაწყებული საქმე განაგრძეს ბრიტანეთისა და აშშ-ის არმიების ყოფილმა ხელმძღვანელებმა და რანგით დაბალმა სამხედროებმაც, მათ მხარი აუბეს ინგლისელმა და ამერიკელმა ისტორიკოსებმა — **ჯონ ფულერმა, შუგმა** და **რალფ ინგერსოლმა.** ისინი თავიანთ „ნაშრომებში“ დაწვრილებით აღწერენ არდენის ბრძოლას და ერთი სიტყვითაც არ მოიხსენიებენ 1945 წლის იანვარში საბჭოთა არმიის შეტევას, რომელმაც ინგლისელები და ამერიკელები კატასტროფას გადაარჩინა. ამ სამხედრო ოპერაციის შედეგად საბჭოთა არმიამ მწყობრიდან გამოიყვანა გერმანიის მოკავშირეები — რუმინეთი და ბულგარეთი, შემდეგ — უნგრეთი.

დასავლელი ე. წ. ისტორიკოსები სტალინს მიაწერენ ციტატას: „თუ ამერიკის დამხობა გსურთ, უნდა გაანადგუროთ სამი რამ: მისი სული, მისი პატრიოტიზმი და მისი მორალი“, მაგრამ ეს ხომ დემაგოგიაა, ეს ხომ სწორედ რუსეთზე თქვა **ალენ დალესმა.** ამ ციტატას, ოღონდ რუსეთზე, ხელს მოაწერდნენ სსრკ-ისა და მართლმადიდებლობის მოძულე **ზბიგნევ ბჟეზინსკი** ან **მადლენ ოლბრაიტი.**

აი მხოლოდ რამდენიმე „შეფასება“, რომელთა „ჩაბეჭდვასაც“ ცდილობენ თანამედროვე ადამიანების გონებაში ისტორიის ფალსიფიკატორები:

* ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვება მოიპოვეს მოკავშირეებმა და ამ გამარჯვებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის აშშ-სა და დიდ ბრიტანეთს.

**სსრკ-ისთვის დასავლელი მოკავშირეების — აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის — დახმარება დიდი სამამულო ომის წლებში გადამწყვეტი არ ყოფილა. საბჭოთა კავშირის ხალხებს თავიანთი ძალებითაც შეეძლოთ ფაშისტების დამარცხება. ბრიტანელებმა და ამერიკელებმა მეორე ფრონტი მხოლოდ მაშინ გახსნეს, როცა დაინახეს, რომ წითელი არმია უკვე ბერლინს უახლოვდებოდა და გამორიცხული არ იყო, სტალინს გამარჯვების აღსანიშნავ სუფრასთან დასავლელი მოკავშირეები აღარ მიეწვია.**

* ბევრი დასავლელი „ისტორიკოსი“ ცდილობს, მიჩქმალოს ის ფაქტი, რომ მეორე მსოფლიო ომის წინ და მის საწყის პერიოდში დიდი ბრიტანეთის პოლიტიკა აგებული იყო იმაზე, რომ ჰიტლერის ფაშისტურ გერმანიას გაელაშქრა საბჭოთა კავშირზე.

* ბევრს წერენ ლიუფტვაფეს (გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალები) მიერ ინგლისის ქალაქების დაბომბვაზე, ქალაქ კოვენტრის დანგრევაზე, მაგრამ თითქმის არაფერს — გერმანიის ქალაქებზე ბრიტანეთის ავიაციის ბარბაროსული თავდასხმების შესახებ, რომელიც დაიწყო 1942 წელს ქალაქ კელნისა და მისი მოსახლეობის განადგურებით. საერთოდ კი, ბრიტანეთის სამხედრო საჰაერო ძალების სტრატეგია, ე.წ. ლინდემანის დოქტრინა, უწინარესად, მოწინააღმდეგე ქვეყნის მოსახლეობის განადგურებას ისახავდა მიზნად.

* დასავლელი ისტორიკოსები წერდნენ და წერენ ბრიტანელი სამხედროების მიერ ჩატარებული ოპერაციების მნიშვნელობაზე სსრკ-გერმანიის ფრონტზე განვითარებულ მოვლენებში, ოპერაციაზე ჩრდილოეთ აფრიკაში, იტალიაში და ა.შ., ანუ ყველანაირად ცდილობდნენ „ნისლიანი ალბიონის“ წარმოჩენას ნათელ ფერებში, მაგრამ ცნობილია ისიც, რომ 1939-1945 წლებში დიდ ბრიტანეთს არა მხოლოდ არაერთხელ მოუმზადებია, არამედ განუხორციელებია კიდეც თავისი აგრესიული გეგმები ევროპის სახელმწიფოებისა და სსრკ-ის წინააღმდეგ.

მაგალითად, 1940 წლის აპრილში მხოლოდ შემთხვევამ შეუშალა ხელი დიდ ბრიტანეთს, გერმანელებზე ადრე განეხორციელებინა სკანდინავიის ქვეყნების ოკუპაცია: ნორვეგიის სანაპიროს დანაღმვა და ნორვეგიაში დესანტის გადასხმა, რომელიც დაგეგმილი იყო 5 აპრილს, ტექნიკური მიზეზებისა და ტრანსპორტის გაუმართაობის გამო გადაიდო 8 აპრილისთვის. გერმანელებმა კი შეძლეს დაესწროთ ინგლისელებისთვის — ისინი 9 აპრილს შევიდნენ ნორვეგიაში. საინტერესოა, რომ ნორვეგიაში შეჭრის შემდეგ ინგლისელები ფინელებთან ერთად აპირებდნენ სსრკ-ზე თავდასხმას. საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის პერიოდში (1939-1940) და მისი დასრულების შემდეგაც ბრიტანელი სამხედროები ფრანგ კოლეგებთან ერთად ადგენდნენ საბჭოთა კავშირთან ომის გეგმებს. 1940 წელს სწორედ დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის თავდაცვის შტაბების ხელმძღვანელებმა მიიღეს გადაწყვეტილება, დაებომბათ სსრკ-ის ნავთობით მდიდარი რაიონები — ბაქო, გროზნო, მაიკოპი. ოპერაცია უნდა დაწყებულიყო 1940 წლის ივლისში. ამ ოპერაციას დასავლეთ ფრონტზე გერმანიის გააქტიურებამ შეუშალა ხელი.

* აღსანიშნავია ბრიტანელთა აგრესია თვით ფრანგი მოკავშირეების მიმართ: 1940 წლის 3 ივლისს ბრიტანეთის ფლოტი თავს დაესხა ორანსა (ალჟირი) და დაკარში (სენეგალი) განლაგებულ საფრანგეთის ფლოტს და გაანადგურა გემები იმ საბაბით, რომ გერმანელებს არ ჩავარდნოდათ ხელში. 1944 წელს კი ბრიტანეთმა სამხედრო გზით მოახერხა ოკუპაცია საბერძნეთისა, რომელიც უკვე დატოვებული ჰქონდათ ჰიტლერელებს. ამ ოკუპაციის მიზანი იყო ის, რომ საბერძნეთში მემარცხენე ძალებს არ გაემარჯვათ.

* 1998 წელს, არქივების გახსნის შემდეგ, მსოფლიოს საზოგადოებრიობისთვის ცნობილი შეიქნა იმ გეგმის შესახებ, რომლის განხორციელებასაც **უინსტონ ჩერჩილი** აპირებდა 1945 წელს, უკვე გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ — 1945 წლის 1 ივლისს ბრიტანელთა დახმარებით გერმანელი ჯარისკაცები თავს უნდა დასხმოდნენ ევროპაში განლაგებულ საბჭოთა არმიის ქვედანაყოფებს. ამ გეგმის განხორციელებას საბჭოთა დაზვერვის მიერ ინფორმირებულმა სტალინმა შეუშალა ხელი. საერთოდ, კი ზოგიერთი ისტორიკოსის აზრით, ჰიტლერმა სსრკ-ზე თავდასხმის გეგმის განხორციელება Drang nach Osten („შეტევა აღმოსავლეთზე“) მხოლოდ მას შემდეგ დაიწყო, როდესაც მიიღო გარანტია, რომ დიდი ბრიტანეთი ამ ომში არ ჩაერეოდა.

* ბრიტანელთა მხრიდან ფაშისტებისთვის მიცემული გარანტიების შესახებ ოფიციალური დოკუმენტები არ არსებობს, მაგრამ ფაქტია, რომ დიდი ბრიტანეთი, სსრკ-სა და აშშ-თან შეთანხმების მიუხედავად, 1944 წლის ზაფხულამდე(!) თავს იკავებდა მეორე ფრონტის გახსნისგან დასავლეთ ევროპაში.



Разведчики 756-го полка 150-й стрелковой дивизии М. А. Егоров (справа) и М. В. Кантария со Знаменем Победы. Берлин. Май 1945.

სსრკ-ის მოკავშირეებმა — აშშ-მა და დიდმა ბრიტანეთმა — მეორე ფრონტი გახსნეს (ოპერაცია „ოვერლორდი“) 1944 წლის 6 ივნისს, როდესაც დესანტი გადასხეს საფრანგეთის ჩრდილო-დასავლეთში — ნორმანდიაში. ამ ოპერაციას მოკავშირეების მხრიდან 280 ათასი კაცის სიცოცხლე შეეწირა, დაიჭრა — 153 ათასი.

რომელმა ქვეყანამ რა წვლილი შეიტანა და რა დანაკარგები განიცადა მეორე მსოფლიო ომში, ამაზე ციფრებიც მეტყველებს: საბჭოთა კავშირმა მეორე მსოფლიო ომში დაკარგა დაახლოებით 26 მლნ ადამიანი, მათ შორის, 17 მლნ მშვიდობიანი მოქალაქე; გერმანიამ — 7,4 მლნ ადამიანი, დიდმა ბრიტანეთმა — 300 ათასი ჯარისკაცი და 92 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე; ამერიკის შეერთებულმა შტატებმა — 405 ათასი ჯარისკაცი.

**აღსანიშნავია, რომ დიდ სამამულო ომში 700 ათასი ქართველი მონაწილეობდა, მათგან რამდენიმე ასეულმა ათასმა ფაშიზმთან ბრძოლას შესწირა სიცოცხლე, დაახლოებით იმდენმა, რამდენმა ბრიტანელმაც, აგრეთვე, ამერიკელმა.**

დღეს დიდი სამამულო ომის ვეტერანები მივიწყებული არიან ხელისუფლებისგან, ხოლო დასავლეთისგან დაფინანსებული და წაქეზებული ე.წ. ლიბერალები ეწევიან პროპაგანდას, რომ ჩვენი თანამემამულეები, ქართველები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ სამშობლოს გასათავისუფლებლად ფაშისტთა ურდოებისგან, თურმე „სხვის ომში“ იბრძოდნენ, მაგრამ არავინ ლაპარაკობს, დღეს ვის ომში იბრძვიან ქართველი ბიჭები, რომლებიც ნატოს ე.წ. სამშვიდობო მისიებში მონაწილეობენ ავღანეთში, ერაყში, ცენტრალურ აფრიკაში. ვის ინტერესებს ეწირებიან ქართველები, რომლებსაც საზარბაზნე ხორცად იყენებენ?

საბჭოთა საქართველოს, ქართველების მიერ შეტანილი წვლილი ნაციზმის დამარცხებაში საამაყოა და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმ ადამიანების პატივსაცემად, რომლებმაც ვალი მოიხადეს სამშობლოს წინაშე, სისხლისმღვრელი ბრძოლებით გაათავისუფლეს ევროპა ფაშისტებისგან და ბერლინში, საკუთარ ბუნაგში, მოახრჩვეს ჰიტლერელთა ურდოები.

**გიორგი გაჩეჩილაძე**

**ცნობისთვის: 9 მაისი გამარჯვების დღედ ოფიციალურად არის გამოცხადებული აზერბაიჯანში, სომხეთში, ბელარუსში, ყაზახეთში, ყირგიზეთში, მოლდოვაში, რუსეთში, ტაჯიკეთში, თურქმენეთში, უზბეკეთში, საქართველოში, დიდ ბრიტანეთში, ისრაელში, სერბეთში, ბოსნია-ჰერცეგოვინაში.**





**დღეს დიდი სამამულო ომის ვეტერანები მივიწყებულნი არიან ხელისუფლებისგან, ხოლო დასავლეთის დაფინანსებული და წაქეზებული ე.წ. ლიბერალები ეწევიან პროპაგანდას, რომ ჩვენი თანამემამულეები, ქართველები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად გმირულად იბრძოდნენ სამშობლოს გასათავისუფლებლად ფაშისტთა ურდოებისგან, თურმე «სხვის ომში» იბრძოდნენ, მაგრამ არავინ ლაპარაკობს, დღეს ვის ომში იბრძვიან ქართველი ბიჭები, რომლებიც ნატოს ე.წ. სამშვიდობო მისიებში მონაწილეობენ ავღანეთში, ერაყში, ცენტრალურ აფრიკაში. ვის ინტერესებს ეწირებიან ქართველები, რომლებსაც საზარბაზნე ხორცად იყენებენ?**



გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



„ხალხი გადაასახლეს და კულტურულად მთელი საფეხურით უკან დასწიეს“, — ამბობს სტალინი სპარსელებზე (ლაპარაკი ეხება ფერეიდნელებს). და განა ასევე არ დაემართა ყველას, ვინც კი ირანისა თუ ოსმალეთის კულტურა გაიზიარა, სამცხე-საათაბაგო, აჭარა... და დანარჩენი ქართველები ან აზერბაიჯანი... „მაჰმადიანობამ დასძლია ქრისტიანობა... სიმარტივით, სიცხადით, პრაქტიკული ხასიათით“.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №13-14 (437-438)

# სტალინი და საქართველო

## როგორ იწერებოდა საქართველოს ისტორია



**«ფენომენალურია სტალინის აზროვნებისთვის დამახასიათებელი განსჯის სისწრაფე. ყოველი ახალი ცნობა, რა დარგისაც უნდა იყოს, მას ელვის სისწრაფით გადააქვს მეცნიერული და პრინციპული კრიტიკის საცდელ ქურაში და ჭეშმარიტების ულმობელობით ამ ცნობის უტყუარ შეფასებას იძლევა»**

**„22.10.** 5 საათზე უსტალინოდ ვისაუზმეთ. კორიდორში გამოვედი და შემთხვევით ამხ. სტალინს შევეყარე. ხელში გაზეთი მეჭირა. შემომხედა, გამიღიმა, მკითხა: „რა ამბავია, ქვეყანაზე?“ — „მშვიდობა-მეთქი“, — მოვახსენე მეც ღიმილით. „სჭამეთ რამე?“ — „დიახ, გეახელით-მეთქი“. „არ მჯერა“, — მიპასუხა და დაურთო: „А где документ?“ — გაიცინა და წავიდა. აინტერესებს ამხ. სტალინს **სიმღერა.** მოსწონს განსაკუთრებით გურული სიმღერა. აღნიშნავს, რომ **სიმონიშვილი** გურული სიმღერის კარგი მცოდნეა, მაგრამ სწუხს, რომ სახალხო სიმღერა გურულებს კამერულ სიმღერად გადაუქცევიათ... მოსწონს **პაჭკორიას** თაოსნობა გუნდის ორგანიზებაში. აინტერესებს ამხ. სტალინს ქართული **ეთნოგრაფია** (სახნავი იარაღის ისტორია). ისტორიული პრობლემების გადაწყვეტისას ეთნოგრაფიის დიდ მნიშვნელობას აღიარებს... აინტერესებს ჩვენი არქეოლოგია. დიდად მოეწონა ნივთები. ყურადღებით ისმენს ბაგინეთის გათხრების შესახებ ცნობებს, საჭიროდ სცნობს არქეოლოგიური გათხრების კიდევ უფრო მეტ ინტენსივობას, კერძოდ, დასავლეთ საქართველოში....

ოსმალეთის საქართველო, ჩანს, ღრმად სტკივა... იშხანს ეძებს რუკაზე (სურათი ვაჩვენეთ)... აქ სიტყვაძუნწობს. **ე. თაყაიშვილის** წიგნს — „არქეოლოგიური ექსპედიცია თორთომის ხეობაში“ — ათვალიერებს... „ეს ყველაფერი ახლა განადგურებული იქნება“... ლაპარაკობს ლაზთა შესახებ. მათი ენის შესახებ კითხულობს. აღნიშნავს მათ ზღვაოსნობას, გამრჯეობას... აღნიშნავს ქართულ მოსახლეობას სმირნის ახლოს, სტამბოლის ახლო...

ახასიათებს ქართველ ტომებს: ქიზიყელებს, ქართლელებს, განსაკუთრებით უყვარს გურულები. 1902 წლიდან იგონებს გურული მუშების გამბედაობას, 1905 წლიდან გურული გლეხების გულწრფელობას, მენშევიკთა გურულ შედგენილობას (იგონებს **ნოე ჟორდანიას:** „ნოე-პეტრეს“, „ნოე-ხუნხუზას“, **ბენია ჩხიკვიშვილს, კარლო ჩხეიძეს** — პატიოსნების ნიმუშად, **კაკი წერეთელს, ლორთქიფანიძეს, არსენიძეს).**

იგონებს კამათს გურიაში (ჩოხატაურში, ხიდისთავში). იგონებს თაგუნას, ნიჭიერ კაცად სთვლის: „Да, он только юрист был“, — შენიშნავს ამხ. ჩარკვიანს, რომელიც თაგუნას იუმორისტობას აღნიშნავს მხოლოდ... კუე-ს ლექსს (თაგუნას მიაწერს) იხსენებს იმის საილუსტრაციოდ, როგორი მოქნილი და მომჭირნეა ქართული ენა, ქართული ზმნა: გავა, ჩავა, წავა, ავა, მივა, დავა... იგონებს თავის ბავშვობას, ხელის ტკივილს, ხალხურ მკურნალობას (თურმანიძეს), სასულიერო სასწავლებელში შესვლის მიზეზს (ჩარკვიანი ხუცესი ცხრამუხიდან და სტალინის მამა).

იგონებს სემინარიაში ცხოვრებას. ქელბაქიანს, ქოქიაშვილს...

იგონებს თავის ავადმყოფობას (ტიფს შებრუნებითს) ციხეში, გადასახლებაში... იგონებს ტურუხანსკის მხარეში ცხოვრებას. გაყინვას, 18 საათს ძილს... იქაური გლეხების ცხოვრებას. მეფის მოხელის მისვლას, წელიწადში ერთხელ გამოთრობას... იგონებს ანეკდოტს იმის შესახებ, გლეხი როგორ უფრო ძვირად აფასებს ოთხფეხ საქონელს, ვიდრე ქალს. აჯავრებს მოხისელებს (დანა ერდოზე, ძროხა დასაკლავად კიბეზე მიჰყავთ. ჩვენი მამა-პაპა ასე შვებოდაო)... იგონებს **მოპასანის** მოთხრობას იმის შესახებ, რომ საფრანგეთშიც გლეხი ხბოს უფრო ძვირად აფასებს, ვიდრე საკუთარ ქალს... ახასიათებს პოლიტმოღვაწეებს: **კარლო ჩხეიძეს, ხომერიკს, რამიშვილს, ჟორდანიას, წერეთელს... ახასიათებს რუზველტს, ჩერჩილს, ეტლის, ტრუმენს, ბერნსს...**

აღნიშნავს რუსის ჯანმრთელობა-გაუტეხლობას, გერმანელთა ჯანსაღობას, ინგლისელ-ამერიკელების ჯანსაღობას (მათ კარგ კვებას, რეჟიმს, ჰიგიენას — აბაზანა დღეში სამჯერ), ამერიკელთა მოუხეშაობას (ტექნიკაში), იტალიელთა ჩიაობას, ხოლო ტექნიკაში წარმატებულობას. გერმანელთა დიდ დამშევას, სუროგატებით კვების შედეგად დასუსტებას. სტალინგრადელი გერმანელების ტყვეების ნახევარი გაწყდა: ნაშიმშილევზე საჭმელი ვერ იგუეს...

რუმინეთს დიდ მომავალს უქადის; მდიდარი ქვეყანა (ტყე, პური, ღვინო, ნავთი, ნახშირი).

აინტერესებს საქართველოში **სარწყავები** (რუკაზე ეძებს), დადებითად უყურებს სამგორის პრობლემას (მოითხოვს, რომ ბამბა საქართველოშიც სთესონ)... აინტერესებს მეტალურგიია, ავტომობილების ქარხანა ქუთაისში, ელექტროენერგიის საკითხები... ჩაი და ჩაის რაიონები, მათი მომარაგება.

აინტერესებს მეცნიერ-მუშაკთა ცხოვრების და მუშაობის პირობები... ამისთვის მოვიცლით ეხლაო... „Мы не могли уделить должного внимания научным работникам, много их потеряли, они тихо гибли“.

იგონებს (არ ვიცი, რასთან დაკავშირებით) **ლადო კეცხოველის** ძმას **ვანოს**, სძულს ის „უსინდისო“, თავს რომ ბოლშევიკს უწოდებდა, „რახუნა“.

ეთანხმება ჩარკვიანს, რომ დღეს კახეთი ისევ უმდიდრეს კუთხედ რჩება საქართველოში, მაგრამ ციტრუსების განვითარებით, უნდა ვიფიქროთ, რომ დასავლეთი საქართველო ჩამოართმევს მას პირველობას...

სწუხს **ზაქათალის** შესახებ. **სერგოს** ამტყუნებს. — ეროვნული საკითხისადმი კომსომოლური მიდგომის შედეგიაო, ბორჩალოს გადაცემა სურდა სომხებისთვისო...

როგორ უყვართ ამხ. სტალინი. როგორ ეხუმრება ხოლმე სუფრის გამშლელ ქალს. როგორ ზრუნავენ, რომ არ შეაწუხონ ამხ. სტალინი...

იკითხავს რასმე. უპასუხებ. თითქო არც გისმენს. ბასრი პასუხი უმალ მზადაა...

ღია ქართლური სიცილი... დაუნდობელი კრიტიკული გონება სამართებელივით სჭრის... „აბსოლუტიზმი პროგრესის თვალსაზრისით უფრო მისაღებია — სახალხო ძალებს აერთიანებს, კლასთან ბრძოლის არეს აფართოებს, კლასთა ბრძოლას აღრმავებს... „საწყალი **ივანე მრისხანე** — „ორ კაცს სიკვდილით დასჯიდა, ორ თვეს ლოცულობდა... რომ გაბედულად დაეკრა, შეიძლება 1605-1613 წლის ამბები არც კი დატრიალებულიყო...“

**„ქრისტიანობა მონობას ანგრევდა და ფეოდალურ ურთიერთობას ასაფუძვლებდა. აზნაურთა როლი — სამხედრო, სამეურნეო (მეურნეობის წამყვანნი, გაუმჯობესების შემომტანნი), საზოგადოების შემდუღაბებელნი...**

### სტალინი და ეკლესია:

„ომს (ანათემას) ვუპასუხეთ ომით. დღეს სამღვდელოება სულ სხვა რიგად იქცევა და ჩვენც ჩვენი პროგრამის თანახმად სარწმუნოების თავისუფლების შესახებ თავისუფლება მივანიჭეთ ეკლესიასაც“...

იგონებს ამხ. სტალინი გურულებს: **ანთაძეს** (დემონსტრაცია რომ დახვრიტა), **გუნთაიშვილს** — ვაჟკაცსა და გულწრფელ კაცს. მისი გადარჩენა სასურველი იყო (ის ჩვენ დროს დახვრიტეს).

სამწუხაროდ, სტალინის არც სახე (სურათი), არც მთავარი რამ მისი ხასიათისა არ იცის ფართო მასამ. არც არავინ ცდილა, გადმოეცა მისი ეს ნიშნები, რომლებიც, ჩემი აზრით, ყველაზე დამახასიათებელია...

ფენომენალურია სტალინის აზროვნებისთვის დამახასიათებელი განსჯის სისწრაფე. ყოველი ახალი ცნობა, რა დარგისაც უნდა იყოს, მას ელვის სისწრაფით გადააქვს მეცნიერული და პრინციპული კრიტიკის საცდელ ქურაში და ჭეშმარიტების ულმობელობით ამ ცნობის უტყუარ შეფასებას იძლევა.

სტალინს ფოლადს ადარებენ, ასევე არ ილუნებაო. და აქ უფრო სტალინის ხასიათის სიმტკიცეს, მის პრინციპულობას უსვამენ ხაზს... მაგრამ ეს მხოლოდ ერთი მხარეა. შეიძლებოდა შედარების უფრო შორს წაყვანა: სტალინი არა მხოლოდ ფოლადივით უდრეკია, არამედ ფოლადივით ელასტიკურიცაა, მისი გონებრივი აპარატი იმ ფოლადს უფრო ჰგავს, რომელიც იმისათვის მოიდრიკება, რომ უმალვე გასწორდეს, რომელიც მოდრეკილი არასოდეს დარჩება... **ფოლადური მედგრობა, ფოლადური პრინციპულობა, ფოლადური ელასტიკურობა... მიუმატეთ ყველა ამას სტალინი ოხუნჯი (დაუნდობელი, როგორც საკუთარი თავის მიმართ, ასე სხვის მიმართ), სიცოცხლით სავსე, ეპიკურად მარტივი და თქვენ წინ წარმოდგება გენიოსი, რომელიც ისე შვენის მომავალ მსოფლიოს, როგორც დიდი რეჟისორი მის მიერ დადგმულ ხელოვნების შედევრს...**

„რამდენი მიწა მოდის კოლმეურნეობის წევრზე საქართველოში?“ ამხ. კანდიდი მოახსენებს: „რიცხვი ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ მეტად მცირე, 1-3 ჰექტარამდე“. ამხ. სტალინი აღნიშნავს, რომ სარატოვის ოლქში კოლმეურნეზე 23 ჰა მოდის, ხოლო ციმბირში ზოგან — 170 ჰექტარიც (ამიტომ, თუ ტერიტორია გვექნება, ჩვენ თამამად შეგვიძლია დავასახლოთ იმდენივე ტერიტორია, რამდენიც ეხლა გვიჭირავს).

იგონებს რაჭველებს (ორჯონიკიძესთან ერთად 1926 წელს შოვიდან რომ მოდიოდნენ): — „ჩვენ ეხლა დავიწყეთ, საით მივეჩქარებითო“ — და ეს 5 საათის სმის შემდეგ...

**მე-19 საუკუნის საქართველოს ისტორია სტალინის მიხედვით:** საქართველოს საზოგადოებრივი ზრდა და ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ. პირველი ფორმულა შეიცავს საქართველოს განვითარებას „ქართლ-კახეთ-იმერეთ-სამეგრელოდან“ — საქართველომდე, საქართველოდან (საქრისტიანოდან) — საქართველომდე (ეროვნული მომენტით), ფეოდალური ურთიერთობიდან ბურჟუაზიულ ურთიერთობამდე, ყმა-გლეხიდან — პროლეტარიატამდე, ხელოსან-ვაჭრიდან — კაპიტალისტამდე...

მეორე ფორმულა შეიცავს ქართველი საზოგადოების ბრძოლის სხვადასხვა ეტაპს ცარიზმის წინააღმდეგ. ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ ქართველი ფეოდალებისა. ბატონიშვილები, თავადები (ხალხის სახელით ცდილობენ გამოვიდნენ... „ფეოდალურ მონარქისტული“ ოპოზიცია) ამ მოძრაობის დასასრული 1832 წლის მარცხი... გლეხთა ბრძოლა ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ (წამყვანია გლეხური მოძრაობა 1841 წ., 1856 წ.).

თერგდალეულთა ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ...

ერის (ბურჟუაზიულ- ▶

გრიგოლ ონიანის საავტორო გვერდი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# სტალინი შეკუმშული ენერგიაა, უშრეტი ენერგია. ის არ ზის (ჯდომა მისთვის დამახასიათებელი არაა), დგას (მოხდენილად), მიმოდის მჩატე ნაბიჯით (ჩანს, მუხლი მოსდევს), კვლავ დადგება, ხშირად აბოლებს ყალიონს, ოხუნჯობს, მსჯელობს, სულ დგას. იშვიათად დაჯდება სავარძელში, ერთი-ორი წუთით, უმალვე წამოდგება (თითქოს წასცდა დაჯდომაო).

◀ ის) შექმნისას (ბურჟუაზია და მისი ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ), პროლეტარიატი (ინტერნაციონალიზმი) და მისი ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ.

**ბურჟუაზიულ კლასს რომ გაემარჯვა, მივიღებდით დამოუკიდებელ ბურჟუაზიულ საქართველოს, პროლეტარიატმა გაიმარჯვა და მივიღეთ დამოუკიდებელი სოციალისტური საქართველო საბჭოთა კავშირში... ერეკლეს ანდერძის გამრუდება იქნებოდა, ბურჟუაზიას რომ გაემარჯვა: „ნამდვილი დამოუკიდებელი ბურჟუაზიული საქართველო ვერ იქნებოდა და თავისი შემოქმედებითი ძალების გაშლას ქართველი ხალხი ვერ შეძლებდა.**

ისტორია პატრიოტული უნდა იყოს (ღრმა სიმართლეა. პატრიოტიზმისა და ისტორიის ურთიერთობის შესახებ სადღაც მაქვს შენიშვნა, სადაც ეს დებულებაა ნავარაუდევი (ლაპარაკი ეხება „უმცირეს ბოროტებას“ — საქართველოს რუსეთთან შეერთებას, რუსეთის პროგრესულ როლს (ობიექტურად). და ასე გაშუქებული საქართველოს ისტორია — „Разве недостаточно патриотично будет?“ და დაურთო: „ამავე დროს უნდა მოცემული იყოს ქართველი საზოგადოების ზრდა ცარიზმთან განუწყვეტელი ბრძოლის პირობებში (ლეიტმოტივი)“.

ამხ. სტალინის ისტორიული შეხედულებებიდან — „ჩამორჩენილს სცემენ“ (ცარისტული რუსეთის მიმართ აქვს გამოთქმული) — ყველაზე ნათლად ჩვენს ისტორიაში გამოდგება – მე-19 საუკუნის ისტორიაში...

**ისტორია პატრიოტული მეცნიერებაა.**

იმ გაგებით, რომ პატრიოტია საზოგადოების წამყვანი კლასი, მოწინავე კლასი, შემოქმედი კლასი.

**უმცირესი ბოროტება (ის მაინც ბოროტებაა, თუმცა უმცირესი). ერეკლეს უმჯობესი გამოსავალი არ ჰქონდა...**

დასკვნა: თუ ეს იყო ბოროტება, მაშ, ერეკლეს ანდერძი ყოფილა ბრძოლა იმისათვის, რათა ეს ბოროტება, რომელიც თან ახლდა (უკეთ, თან მოყვა) ქართველთა მრავალსაუკუნოვან ლტოლვას რუს ხალხთან კავშირისას, თავიდან მოიცილონ. ესე იგი, ბრძოლა თავისუფლების მოპოვებისათვის რუსეთთან კავშირის შენარჩუნებით. ერეკლეს ეს ანდერძი დიდმა **ბარათაშვილმა** განჭვრიტა, ხოლო პროლეტარიატმა პრაქტიკულად განახორციელა.

**სააკაძე** — პრინციპს, უცხო ძალის მოხმარების მიუღებლობა-მისაღებლობას, განსაზღრავს მიზანი. თუ ის პროგრესულ მიზანს ემსახურება, მისაღებია და — პირუკუ...

**აზნაურობის როლი:** „Централизирующий элемент феодального общества воинство, носители феодальной культуры“.

**ქრისტიანობის როლი ემსახურებოდა ფეოდალური ურთიერთობის განმტკიცებას და მონობის მოსპობას. აქედან დასკვნა: ქრისტიანობა ახალი (პროგრესული) საზოგადოების რელიგია, დიდი პროგრესული ძალაა.**

ქართველი საზოგადოების განვითარება და მისი ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ.

**დავით აღმაშენებელი** — „Абсолютизм на час“ (მეც ამ აზრის ვიყავი).

ეჭვობს, რომ ტფილისში იმ ტიპის კომუნა იყო მე-11 საუკუნეში, როგორც დასავლეთ ევროპის ქალაქ-კომუნები. (დიახაც, საეჭვოა: ტფილისი და ქართული ქალაქები რომ ასეთები ყოფილიყო, დავითის აბსოლუტიზმი ერთსაათიანიც არ იქნებოდა)...

„Я за абсолютизм“ — **მარქსის** შეცდომას აღნიშნავს. მარქსი ქალაქ-კომუნების მხარეზე ჩანს მათი ბრძოლის დროს აბსოლუტიზმთან. ქვეყნის გაერთიანება კლასთა



## «სტალინი არა მხოლოდ ფოლადივით უდრეკია, არამედ ფოლადივით ელასტიკურიცაა. მისი გონებრივი აპარატი იმ ფოლადს უფრო ჰგავს, რომელიც იმისათვის მოიდრიკება, რომ უმალვე გასწორდეს, რომელიც მოდრეკილი არასოდეს დარჩება... ფოლადური მედგრობა, ფოლადური პრინციპულობა, ფოლადური ელასტიკურობა... მიუმატეთ ყველა ამას სტალინი ოხუნჯი (დაუნდობელი, როგორც საკუთარი თავის მიმართ, ასევე სხვის მიმართ), სიცოცხლით სავსე, ეპიკურად მარტივი და თქვენ წინ წარმოდგება გენიოსი, რომელიც ისე შვენის მომავალ მსოფლიოს, როგორც დიდი რეჟისორი მის მიერ დადგმულ ხელოვნების შედევრს»



ნიკო ბერძენიშვილი

ბრძოლის გაფართოებასა და გაღრმავებას უწყობს ხელს....

**ოსმალური და ირანული კულტურისა არა სწამს** (მარქსს ეთანხმება: ბარბაროსული საფეხური ფეოდალური ურთიერთობისა). მართლაც და ფეოდალური ურთიერთობის დაბალი საფეხურია, მაშ რა, როდესაც მიწის კერძო საკუთრებაც კი (რა თქმა უნდა, ფეოდალური) ვერ შემუშავებულა და სადაც ხანი თუ ფაშა მოხელეს ვერ გასცილებია, ფეოდალი ვერ გამხდარა, სადაც ფეოდალური ეტიკეტიც კი ვერ შემუშავებულა).

**„ხალხი გადაასახლეს და კულტურულად მთელი საფეხურით უკან დასწიეს“, — ამბობს სტალინი სპარსელებზე (ლაპარაკი ეხება ფერეიდნელებს).** და განა ასევე არ დაემართა ყველას, ვინც კი ირანისა თუ ოსმალეთის კულტურა გაიზიარა, სამცხე-საათაბაგო, აჭარა... და დანარჩენი ქართველები ან აზერბაიჯანი...

**„მაჰმადიანობამ დასძლია ქრისტიანობა... სიმარტივით, სიცხადით, პრაქტიკული ხასიათით...“**

მოიგონა, თუ როგორ გაიგეს აჯანყების შესახებ მოწოდება ქართლში (დროის გარეშე). რევოლუცია დამარცხდა და ქართველები შეიძრნენ, სტალინი მოვიდა მათთან და ურჩია გამოსვლისთვის თავი მოერიდებინათ, რომ ეხლა ამის დრო აღარაა. ნაწყენები აყვედრიან: შენც თავადების მხარეზე გადასულხარო... არაფერი დაიჯერეს; გამოვიდნენ, მწარედ დაისაჯნენ...

* * *

გვეხუმრება: სომხებმა გაჯობეს. ამ ომში მათ გენერალი **ბაგრატიონი** ჰყავთ. თქვენ, ქართველებს, კი... კანდიდი ეუბნება, რომ ჩვენ უფრო დიდი გენერლები გვყავს. წინამძღვრიშვილი მზადაა, უთხრას, რომ ეს დიდი გენერალი თვითონ სტალინია. ამხ. სტალინი მაინც ჰკითხულობს (ხუმრობით): „თქვენ ვინა გყავთ?“ მე ვეუბნები: „ამას ჩვენ სომხებს დავუსახელებთ“. ეამა პასუხი. გაიღიმა... და ლაპარაკი **ლესელიძეზე** გადაიტანა. ნანობს მის სიკვდილს. ჩვენ ის იქ გვინდოდა მთავარსარდლად. ჭკვიანი იყო, ნებისყოფაც ჰქონდა. ქვეითი არტილერიიდან იყო გამოსული. ცუდუბრალოდ დაიღუპა თავი. ნაადრევად ადგა... შემდეგ ჰკითხულობს, თუ ჩამოვიდაო **ჩანჩიბაძე...**

ებრაელთა ქცევა ამ ომისას: ყველაზე ნაკლები საბჭოთა კავშირის გმირები (პროპორციულად) ამათგანაა. სამეურნეო ორგანიზაციებს უფრო ეწყობიან... სადაც ერთი გაჩნდება, სხვებს („თავისიანებს“) შემოიკრებს. ომის საქმეს სხვებს მიულოცავენ, თბილი და უშიშარი ადგილის დაჭერას ვერავინ მოასწრებს, უნდა ითქვას, მათ შორის შეხვდები უშიშარ მეომრებს, გმირებს, მაგრამ იშვიათად, საერთოდ კი...

* * *

ესაუბრება კანდიდს მეტალურგიულ კომბინატზე, ავტომობილების ქარხანაზე ლაპარაკი შეექნათ ძარაზე – ხის იქნება თუ ლითონის. კანდიდი იცავს ლითონს, დაგეგმილიც აგრეაო. სტალინმა, — ლითონი ჩვენ მილებისათვის გვჭირდებაო. კანდიდი ტყის ნაკლებობაზე მიუთითებს ჩვენში... სტალინი ტყის წესიერი მეურნეობის საჭიროებაზე მიუთითებს: დროა, „ღვთისაგან გაჩენილი“ ტყის ამარა აღარ ვიყოთო“. „Что Бог посадил“.

კითხულობს მორწყვის შესახებ. მოხაზავს რუკაზე მოსარწყავ რაიონებს საქართველოში... სამგორზე შეჩერდება საუბარი... სტალინი მზადაა, დაიცვას სახკომსაბჭოში ეს წამოწყება, თუ საქართველო ბამბის თესვას შეუდგება...

„Не могу же я утверждать, что дважды два 72. Дайте мне достаточно оснований для защиты“. ესე იგი, ბამბის კულტურა საქართველომაც იტვირთოს, ისე, როგორც სხვა სამხრეთელმა რესპუბლიკამო. ამხ. კანდიდიც სთმობს.

* * *

იგონებს ერთს შემთხვევას ავადმყოფობისას (საუბარი ეხებოდა ორგანიზმის გამძლეობას). ამხ. სტალინი გადასახლებაში გაეგზავნათ. გზაში ავად შექმნილიყო. სადღაც ქალაქის (ვოლგის აუზში) სატუსაღოში იწვა. ოდნავ როგორც კი მომჯობესდა, წამოდგა, თუმცა არ ურჩევდნენ, და გზა განაგრძო. „ადგილზე მისვლა მეჩქარებოდა: უკან გამოქცევას ვეშურებოდი სამუშაოდ...“ საშინელ პირობებში მივდიოდითო. „ერთ ქალაქში გაგვაჩერეს. სატუსაღოში, 25-ადგილიან საკანში 75 კაცი მოგვათავსეს. დასაწოლი არ იყო. ვისხედით იატაკზე. მე 40 გრადუსი სიცხე მქონდა... უცბად ოფლი მომივიდა, სულ ერთიანად დავსველდი. ჩანს, კრიზისმა გაიარა. გადავრჩი. გზა განვაგრძეთ... იმ გადასახლებიდან მალე გამოვიპარე“. **თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის მთელ სიგრძეზე ამხ. სტალინი განუხრელად ქართველი პატრიოტი იყო.**

**სტალინი შეკუმშული ენერგიაა, უშრეტი ენერგია. ის არ ზის (ჯდომა მისთვის დამახასიათებელი არაა), დგას (მოხდენილად), მიმოდის მჩატე ნაბიჯით (ჩანს, მუხლი მოსდევს), კვლავ დადგება, ხშირად აბოლებს ყალიონს, ოხუნჯობს, მსჯელობს, სულ დგას, იშვიათად დაჯდება სავარძელში. ერთი-ორი წუთით, უმალვე წამოდგება (თითქოს წასცდა დაჯდომაო).** ქართულ ლიტერატურაზე საუბრობდა. **კოწია გამსახურდიას** „დიდოსტატის მარჯვენიდან“ რაღაც ადგილი გაახსენდა „Я Вам сейчас покажу“-ო და უმალ წავიდა. მეორე სართულიდან პირველში ჩავიდა და თავისი საწოლი (თუ სამუშაო) ოთახიდან წიგნი ამოიტანა. ამასობაში სულ ორი წუთი თუ გავიდა, მეტი არა, საინტერესო ადგილი წიგნისა უკვე ეპოვა. გადაშალა და წაგვიკითხა და იოხუნჯა: „ზასილიე“.

## «ქართულ ლიტერატურაზე საუბრობდა. კოწია გამსახურდიას «დიდოსტატის მარჯვენიდან» რაღაც ადგილი გაახსენდა «Я ВАМ СЕЙЧАС ПОКАЖУ»-ო და უმალ წავიდა. მეორე სართულიდან პირველში ჩავიდა და თავისი საწოლი (თუ სამუშაო) ოთახიდან წიგნი ამოიტანა. ამასობაში სულ ორი წუთი თუ გავიდა, მეტი არა, საინტერესო ადგილი წიგნისა უკვე ეპოვა. გადაშალა და წაგვიკითხა და იოხუნჯა: «ზასილიე»

**(დასასრული შემდეგ ნომერში)**

სოციუმი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გაფიცული მშრომელები და მათი უფლებების დამცველები ამბობენ, რომ ძალოვანები დღესაც ცდილობენ, მათზე გავლენა მოახდინონ, თუმცა ამას გაცილებით ფრთხილად აკეთებენ და, ძირითადად, თვალთვალით ან ფსიქოლოგიური ზეწოლით შემოიფარგლებიან.**

# როდის გააჩერებენ გაფიცულები თბილისის მეტროს?

**მაისის პირველ დეკადაში საზოგადოების ყურადღება გაფიცვების თემამ მიიპყრო. ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის ტრასის მშენებლობაზე დასაქმებულმა მუშებმა ხელფასების მომატება და შრომის პირობების გაუმჯობესება მოითხოვეს, ისევე, როგორც თბილისის მეტროპოლიტენის მემანქანეებმა. მათ მიერ 3 მაისისთვის დაანონსებული გაფიცვა, მართალია, გადაიდო, მაგრამ მეტროს შესაძლო პარალიზების გამო კონფლიქტმა გარკვეული რეზონანსი შეიძინა. 1 მაისის აქციაზე კი პროფკავშირებმა კვლავ ჩამოთვალეს ის პრობლემები, რომელთა გადაწყვეტას ხელისუფლება წლების განმავლობაში ვერ ახერხებს.**



ხაშურთან საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობაზე დასაქმებულები ჩინური კომპანია „სინო ჰიდროსგან“ დღეში საშუალოდ 20 ლარს იღებენ: მუშები — 16-18 ლარს, მძღოლები — რამდენიმე ლარით მეტს. მათი განცხადებით, **სამუშაო კვირა 70 საათს გრძელდება, დასვენების ან ბიულეტენზე ყოფნის დღეები არ უნაზღაურდებათ, სამედიცინო დაზღვევა არ აქვთ, ღამის საათებში მუშაობისთვის დამატებით თანხას არ უხდიან და უხეშადაც ეპყრობიან.** ცხადია, ყოველივე ჩამოთვლილი შრომის კოდექსთან გადაულახავ წინააღმდეგობაში მოდის.

სამუშაოები ამ მონაკვეთზე დეკემბერში დაიწყო — 14-კილომეტრიანი ოთხზოლიანი გზა, რომელიც ჩრდილოეთიდან გვერდს აუვლის ხაშურსა და სურამს და რიკოთის გვირაბამდე გავა, 2020 წლისათვის უნდა აშენდეს. სამუშაოების ნაწილს ჩინური „სინო ჰიდრო“ (113,5 მილიონი ლარის კონტრაქტი), ნაწილს კი იტალიური „ასტალდი“ (363,7 მილიონი ლარის კონტრაქტი) ასრულებს.

თბილისის მეტროპოლიტენის მემანქანეები, უპირველესად, ხელფასების მომატებას ითხოვენ და ამბობენ, რომ, ინფლაციის მიუხედავად, ბოლო 5 წლის განმავლობაში ის არ შეცვლილა. მემანქანეებს სურთ, რომ მათი მუშაობის საათობრივი ანაზღაურება 7-დან 10 ლარამდე გაზარდონ და ხაზს უსვამენ ჯანმრთელობისთვის საშიშ შრომის პირობებს. თბილისის სატრანსპორტო კომპანიის დამოუკიდებელ პროფკავშირულ ორგანიზაციაში „ერთობა 2013“-ში, რომელიც ამ საკითხს 2016 წლიდან აყენებს, აცხადებენ, რომ ორგანიზაციაში გაწევრიანებული არიან მემანქანეთა 80%-ზე მეტი, ხოლო დანარჩენები მათ მოთხოვნებს უერთდებიან.

ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ხელფასები საერთოდ არ გაზრდილა, თბილისის სატრანსპორტო კომპანია უარყოფს, მან შესაბამისი მონაცემები გამოაქვეყნა. მის განცხადებაში, აგრეთვე, ნათქვამი იყო: „კომპანიაში დაინერგა წელთა ნამსახურეობისა და ღამის სამუშაოების ტარიფების ზრდა, რომელიც დადებითად აისახა თანამშრომლების შემოსავლებზე. სატრანსპორტო კომპანია მოუწოდებს მეტროს მემანქანეების კონკრეტულ ჯგუფს, უფრო მეტად გაითავისოს ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათ გააჩნიათ საზოგადოების წინაშე“.

**დედაქალაქის მერიაში, აგრეთვე, თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში, გაფიცვის საფრთხის მიუხედავად, იმთავითვე განაცხადეს, რომ ხელფასების 40-50%-ით გაზრდის რესურსი არ აქვთ.**

**თბილისის მეტროპოლიტენს დღეში 400 ათასამდე მგზავრი გადაჰყავს. მემანქანეების გაფიცვის საფრთხემ მედია დედაქალაქის პარალიზებაზე აალაპარაკა.** თუმცა 30 აპრილს თბილისის მერმა **კახა კალაძემ** განაცხადა, რომ მეტრო მუშაობას გააგრძელებს და დასძინა, რომ მეტროპოლიტენის თანამშრომლებს ხელფასი 1300-1400 ლარი აქვთ, მაშინ, როდესაც სხვა დასაქმებულებს — გაცილებით ნაკლები: „არანაირი პარალიზება არ მოხდება, მეტრო იმუშავებს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ მეტროს გაჩერება არ მოხდეს. გაფიცვა მათი კონსტიტუციური უფლებაა. უბრალოდ, ადამიანურად, ასეთი მიდგომები გულდასაწყვეტია და ძალიან ცუდი. ჩვენ გვყავს ადამიანები, რომელთაც არანაკლები პასუხისმგებლობა აქვთ და იმ ადამიანებს აქვთ გაცილებით ნაკლები ხელფასი. თუმცა, მომდევნო წლების განმავლობაში, როდესაც უკეთესი ეკონომიკური ზრდა და უფრო მეტი შესაძლებლობები იქნება, რა თქმა უნდა, ხელფასის მომატება იქნება ყველა მიმართულებით“ **(ინტერპრესნიუსი).**

**მოლაპარაკებები მხარეთა შორის საკმაოდ რთულად და ნერვული დაძაბულობის ფონზე მიმდინარეობდა, კომპრომისის მიღწევა ვერ მოხერხდა. 2 მაისს, როდესაც წინასაგაფიცვო პერიოდი დასასრულს მიუახლოვდა, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება გაფიცვის 1 თვით გადავადების შესახებ და ეს მეტროპოლიტენის სასიცოცხლო მნიშვნელობითა და ქალაქის სატრანსპორტო პარალიზების საფრთხით დაასაბუთა.**

აშკარაა, რომ ბოლო წლებში გაფიცვები ქვეყნის ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა. მათ არ აქვთ საყოველთაო, არც დარგობრივი ხასიათი; როგორც წესი, ჩერდება მხოლოდ ერთი კონკრეტული საწარმო. გაფიცულები, ჩვეულებრივ, მხოლოდ მცირე წარმატებებს აღწევენ — ამის თვალსაჩინო მაგალითია ტყიბულელი მეშახტეების 2016 წლის გაფიცვის ფინალი. მიუხედავად ამისა, **სააკაშვილის მმართველობის წლებთან შედარებით, სიტუაცია აშკარად შეცვლილია — გაფიცვა აღარ განიხილება, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აქტი.**

ამ ცვლილებების საილუსტრაციოდ, ჩვენ შეგვიძლია გავიხსენოთ 2011 წლის გაფიცვა ინდური კომპანიის კუთვნილ ქუთაისის მეტალურგიულ

**სააკაშვილის მმართველობის წლებთან შედარებით, სიტუაცია აშკარად შეცვლილია — გაფიცვა აღარ განიხილება, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აქტი**

ქარხანა „ჰერკულესში“. პროფკავშირები სიტუაციას საწარმოში მაშინ ასე აღწერდნენ: „ქარხანაში არ მოქმედებს ტუალეტი, არ არის სასადილო, არ არის ადგილი გამოყოფილი იმისთვის, რომ მუშებმა სახლიდან მოტანილი საკვებით წაიხემსონ, მედპუნქტი მხოლოდ დღისით ფუნქციონირებს, მაშინ, როდესაც საწარმოო ტრავმების მიღების რისკი ღამით უფრო მაღალია... პრობლემაა შესაბამისი სპეცტანსაცმლისა და აღჭურვილობის მომარაგება; თუმცა ყველაზე დიდ პრობლემას ამ საწარმოში დასაქმებულთა შრომითი კონტრაქტები, სამუშაო დრო, ცვლიანობის გრაფიკი და დატვირთვის შესაბამისი ხელფასის, შვებულებისა და ბიულეტენის თანხის მიღება წარმოადგენს; უკვე სამი წელია, არ მომხდარა დასაქმებულთა ხელფასების ინდექსაცია“.

**დასაქმებულთა ნაწილი კვირაში 60 საათს მუშაობდა, ნაწილი კი — 94 საათს, რაც გაცილებით მეტი იყო შრომის კოდექსით გათვალისწინებულ 41 საათზე, მიუხედავად ამისა, ზეგანაკვეთური საათების შესაბამისი ანაზღაურება არ ხდებოდა. როდესაც მუშები პირველადი პროფკავშირული ორგანიზაცია შექმნეს, 6 მათგანი სამსახურიდან გააგდეს და შეუთვალეს, რომ აღდგენა მხოლოდ მაშინ გახდებოდა შესაძლებელი, თუ ისინი „მოინანიებდნენ, რომ ადმინისტრაციასთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შექმნეს იატაკქვეშა ორგანიზაცია(!) და ამისთვის ბოდიშს მოიხდიდნენ“.** როდესაც „ჰერკულესის“ თანამშრომლებმა ხელფასის დაგვიანება გააპროტესტეს და მუშაობა შეწყვიტეს, 7 მათგანი დააკავეს და ხულიგნობისთვის 20-დღიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ამის შემდეგ კი „მთელი თვის განმავლობაში მეტალურგებს საქამრეში იარაღგარჭობილი, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიციის მუშაკების ზედამხედველობით უწევდათ მუშაობა“ (მეტალურგიული, სამთო და ქიმიური მრეწველობის მუშაკთა პროფესიული კავშირის ინფორმაცია).

როდესაც ქარხანა გაიფიცა, პოლიცია გაფიცულებს აკავებდა და, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ცნობით, აწერინებდა ე. წ. ხელწერილებს, რომ ისინი ქარხანაში არსებულ პირობებს აღარ გააპროტესტებდნენ და მუშაობას განაგრძობდნენ. პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე **ირაკლი პეტრიაშვილი** მაშინ ასეთ ინფორმაციას ავრცელებდა: „პოლიცია და „ჰერკულესის“ ხელმძღვანელობა მუშებს სახლში აკითხავს და ქარხანაში მისვლას აიძულებს... და ისინი მუშობას პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ აგრძელებენ“. მნიშვნელოვანი რეპრესიული როლი სასამართლომაც შეასრულა — მათ, ვინც პროტესტს გამოთქვამდა, დამნაშავედ სცნობდნენ ხულიგნობასა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევაში. ასეთი წნეხის მიუხედავად, ადმინისტრაციამ პროტესტი სრულად ვერ ჩაახშო და იძულებული გახდა, ცალკეულ დათმობებზე წასულიყო.

გაფიცული მშრომელები და მათი უფლებების დამცველები ამბობენ, რომ ძალოვანები დღესაც ცდილობენ, მათზე გავლენა მოახდინონ, თუმცა ამას გაცილებით ფრთხილად აკეთებენ და, ძირითადად, თვალთვალით ან ფსიქოლოგიური ზეწოლით შემოიფარგლებიან.

**გაჩნდა კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც ხელი შეუწყო სიტუაციის ნაწილობრივ დარეგულირებას — ევროკავშირის წინაშე აღებული ვალდებულებებიდან გამომდინარე, ხელისუფლებამ ამა წლის მარტში მიიღო კანონი „შრომის უსაფრთხოების შესახებ“. ექსპერტების უმრავლესობა თვლის, რომ ის არასრულყოფილია, თუმცა სიტუაციას შედარებით გააუმჯობესებს, განსაკუთრებით ტყიბულის შახტებსა და სხვა საწარმოებში, სადაც დასაქმებულებს სახიფათო, მძიმე და მავნეპირობებიანი სამუშაოს შესრულება უწევთ.**

მიუხედავად ამისა, მთავარი პრობლემები — სამარცხვინოდ დაბალი ანაზღაურება და შრომის სათანადო პირობების არარსებობა ქართული საწარმოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის კვლავინდებურად აქტუალურია. სწორედ ამაზე საუბრობდნენ 1 მაისს გამართულ აქციაზე, რომელიც პროფკავშირების ორგანიზებით ჩატარდა. ისინი არც ისე ბევრნი იყვნენ და ამას ხელი, სავარაუდოდ, ორმა გარემოებამ შეუწყო. ჯერ ერთი, სააკაშვილის ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ბრძოლა მშრომელთა უფლებებისთვის რადიკალურ მემარცხენეობასთან და კომუნისტურ წარსულთან დაეკავშირებინა. ამასთანავე, სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის სერიოზული კონკურენცია გამოიხატა. მიმართვაში, რომელიც პროფკავშირების გაერთიანებამ 1 მაისის აქციის წინ გაავრცელა, ნათქვამი იყო: „ჩვენი, როგორც მშრომელთა ლეგიტიმური წარმომადგენლების, მიერ ორგანიზებული პროტესტი, არაერთხელ გამხდარა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციისა თუ პარტიის ვიწრო მერკანტილური ინტერესებისთვის გამოყენების ობიექტი გრანტების მოზიდვის მიზნით კამერების წინ პოზირება, მუშათა მოძრაობების დეზორგანიზება და დასუსტება უმეცრებით ან დაკვეთით, პროფესიული კავშირების მიერ ჩამოყალიბებული და მრავალგზის გაჟღერებული ინიციატივების პლაგიატური გამოყენება ჩვენი ორგანიზაციის სახელის სრული იგნორირებით... მოვუწოდებთ იმ ჯგუფებს, რომლებიც არ იზიარებენ ჩვენს სულისკვეთებას, ღირებულებებსა და მოთხოვნებს, ნუ შემოუერთდებიან პროფკავშირების გაერთიანების მიერ ორგანიზებულ მსვლელობას“.

სავარაუდოდ, საუბარია იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც ბრალს სდებენ პროფკავშირების გაერთიანებას კონფორმიზმსა და ხელისუფლებასთან ფარულ თანამშრომლობაში, თუმცა აქ მთავარია სხვა რამ: **მსგავსი დაპირისპირება საზოგადოებაში სოლიდარობის გაღრმავებასა და მასშტაბური აქციების გამართვას ნამდვილად არ უწყობს ხელს. ასეთ ვითარებაში საპროტესტო აქციებსა და გაფიცვებს, დიდი ალბათობით, მხოლოდ ლოკალური მნიშვნელობა ექნება, შესაბამისად, ბიზნესსა და ხელისუფლებას შეეძლება, მოთხოვნები უგულებელყოს ან მინიმალური დათმობებით შემოიფარგლოს.**

**ლუკა ნემსაძე**

**დედაქალაქის მერიაში, აგრეთვე, თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში, გაფიცვის საფრთხის მიუხედავად, იმთავითვე განაცხადეს, რომ ხელფასების 40-50%-ით მომატების რესურსი არ აქვთ**

„ისევ გამოყვეს თაღლითებმა ენა ყურიდან!
ერის გაქრობის, ამოძირკვის მიწყივ მცდელობით!
— მე მშიერი ვარ, მშიერი ვარ „არა პურითა“,
მე მშიერი ვარ ერთგულებით და ქართველობით!“

მინაწერი წიგნის გვერდებზე
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მესმის ანგელოსთ ჩურჩული,
მიდგას მირონით ჭურჭელი...
— ვერ დამამუნჯებ,
ვერ წამშლი!
კლარჯი ვარ, არტანუჯელი!..

რეზო ამაშუკელი
2008 წლის 14 დეკემბერი

# «სხვაა პატრონი სისხლით მორწყულ კარ-მიდამოსი»

ვერ დაამუნჯეს, ვერ წაშალეს, სიტყვა ვერ გააწყვეტინეს პოეტს, ვერ დაუჩლუნგეს ლექსის ორლესული მახვილი.

ვერ შეჰბედეს და, ვითარცა გარეწრებს სჩვევიათ, ქვეგამხედველთა მეთოდით შეუტიეს, შემოვლით, ფარულად — მისავიწყებლად გაიმეტეს, უწინარესად, ახალგაზრდობის მიერ, რომლის სომნაბულთა თაობად აღზრდა მოინდომეს, უწარსულო, უჯიშო, უეროვნებო, უსქესო არსებებად.

უპრიანია ამიტომ, დროდადრო მივუბრუნდეთ მისი შემოქმედების „სისხლში ჩამხრჩვალი ვარდების“ პერიოდს, რაგინდ უზრდელობად მოეჩვენოს მავანს წარსულისკენ „ფირის გადახვევა“.

გუშინ არ იყო?

ლექსის წერას გადამაჩვიესო, ამბობს პოეტი 2005 წლის 29 ოქტომბრით დათარიღებულ ლექსში **„თანდათან ქრება საქართველო“.**

დროის მითითება საჭიროდ ჩავთვალე იმიტომ, რომ, როცა ზოგი მკერდს უშვერდა (მტრის ტყვიას კი არა) მედროვე ხელისუფალს „ბრწყინვალების ორდენის“ დასაკიდებლად, რეზო ამაშუკელი, რომელსაც დაგეშილი პრესა მიუქსიეს, აღდგა, აბობოქრდა და შეუტია „გაპუდრულ არლეკინს“, რომელიც უბედავდა ხელისხლებით დაჯაჯგურებოდა იმას, „ვინც ჩემი ქართველობის გადამრჩენია“:

**„შენ,**
**ვინც ჩემს რწმენას,**
**მომხდურივით,**
**თანდათან ბზარავ.**
**ფულს უთვლი ერის**
**სიამაყეს,**
**სჯი და აფასებ...**
**როცა ძერწავდი,**
**ხუნვეიბინებს**
**ჩორკნიდი „კმარას“,**
**ვინ,**
**ვინ გიხდიდა, იქნებ ბრძანო,**
**მაშინ ათასებს?“**

ამ სტრიქონების დაწერიდან გავა 7 წელიწადი, რომელიც ყოფილი ხელისუფლების ზეობის პერიოდის საქართველოს ისტორიაში სირცხვილის გაკვეთილად ჩაიწერება, და მაშინ გაირკვევა, რომ ის დამფინანსებელი „ვინ“ ბრძანდებოდა ჯორჯ **სოროსი,** რომელმაც ერთ-ერთი უცხოური ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუში აღიარა, რომ სააკაშვილი „მისი პროექტი“ იყო.

ლექსების მეტაფორულ სიუხვეში პერსონაჟები განსაკუთრებულად გამოკვეთილად ჩანს, იმდენად ზუსტად არიან დახასიათებული, რომ სახელითა და გვარით მოხსენიება ისეთივე ზედმეტობა იქნებოდა, როგორც სტროფებს შორის პროფკავშირული კრების ოქმიდან ამონაწერის ჩაკვეხება, თუმც არც დაზუსტებას ერიდება:

**„გაზრდილ ხაზინით**
**თავს გვამადლის,**
**დაგებულ გზებით,**
**თავიდან ყვება**
**ასჯერ ნათქვამს,**
**როგორც სჩვევია!**
**მაშ, რატომ ანგრევს**
**ქვეყნის წარსულს**
**ასეთი გზნებით**
**ან გოგებაშვილს**
**ლომაია რად ურჩევნია?“**

ყიამყრალები მიუსიეს-მეთქი პოეტს, ისეთი ყოვლისმომცველი იყო და სახელმწიფოებრივად ორგანიზებული ეს შეტევა, შურითა და ბალღამით სავსე, რომ თვითმკვლელობით სიცოცხლის დასრულების სურვილი ისე შეეპარა, როგორც თოვლსა და ყინვაში ტკბილად ჩაძინებულს ხელს დარევს თეთრი სიკვდილი.

**„გაყიდულ მამულს**
**შავად მჭნარი ვარდით**
**ბარდნიან**
**და მეორდება, მეორდება**
**„ოცდაჩვიდმეტი“.**
**ამ დიდმარხვაში**
**წამით ავცდი**
**უმძიმეს ცოდვას**
**— გამთენიისას**
**როცა წამცდა**
**თოკისკენ ხელი“.**
**„და ფარდის უკან სავარძელში ხითხითებს მკვლელი“.**
**2007 წლის 19 მარტი**

მაგრამ, მადლობა ღმერთს, „არსებობს სულიერი სამყარო, რომელშიც კომპრომისები შეუძლებელია“, მით უფრო, სიკვდილთან კომპრომისის მიღწევა:

**„მაცხოვრის ხატთან**
**ტოტი მოცხარის**
**სინათლის შუქზე**
**წითლად ინთება...**
**დიდება უფალს,**
**რომ ვარ ცოცხალი!**
**— ვერ შევძელ თოკზე**
**ჩამოკიდება“.**
**„სდიე მაცხოვარს“.**
**2009 წლის 16 ივლისი**

ჩაივლის კიდევ ერთი ბობოქარი ხუთწლედი და ახალი თვალით შეხედავს იმედგადაწურულობას რეზო ამაშუკელი. 2014 წლის 8 თებერვალს დაწერილ ვერლიბრში (ბრწყინვალე თეთრ ლექსში) „კბილებჩამტვრეულმა გორგასალმა ბრძანა, ვახტანგმა: ეძიებდეთო ქრისტესთვის სიკვდილს!“ დაწერს:

**„ვისაც ჰგონია, თავის**
**მოკვლა მხდალის ხვედრია,**
**ძალიან ცდება, მაგრამ,**
**როდესაც ცალი ხელით**
**გიჭირავს ჯვარცმა, ხოლო**
**მეორეთი საფეთქელზე**
**მიიდგამ ლულას,**
**დაცემული ხარ,**
**წამხდარი ხარ,**
**მოღალატე ხარ!..“**

მოდი, აქ დავსვათ წერტილი სიკვდილ-სიცოცხლესთან გათამაშების.

უწმინდურობასთან („როცა „ჯიჯგნის მიწას უცხო თესლით მაძღარი ჯიში“ და „მყრალი ხორხოცით სასაფლაოს თხრიან აფთრები“) შებმული პოეტი აცხადებს, რომ ის ლექსი, რომლისთვისაც ამ ვითარებაში იგი იხარჯება, არ არის პოეზია: „ვიცი, არ არის პოეზია, მაგრამ სათქმელი ნაღვერდალივით გულს ღადრავს და ხორხში ხრიალებს“, თუმც სათუოა ამის ხელაღებით მტკიცება, მაგრამ უფლება აქვს, თქვას ამ სტრიქონების ავტორმა, მთვარეზე, უხსოვარი დროის ქართული რწმენის ტოტემზე:



**„მოვედი, ხელი მოგხვიე,**
**გულზე პერანგი მოგხიე...**
**მთვარე, მე, შენ და არაგვი**
**მთვრალი ვიყავით**
**ოთხივე...“**

და ამბობს კიდეც:

**„...და მოსვა მთვარემ**
**სიცხიანი პოეტის ბოდვა...**
**და მთვარეს ჰქონდა**
**ბაგე ცივი,**
**ცივი და სველი...“**
**„და ფარდის უკან, სავარძელში ხითხითებს მკვლელი“**

ან:

**„შავი მთოვარი**
**გიშერივით ჩააშრა გუგას,**
**მალე სიბერე**
**სამუდამოდ**
**დაუშვებს ფარდას...**
**...გაქრა სიზმარი,**
**ედემიდან დავბრუნდი უკან,**
**ყოველდღიური**
**ჯოჯოხეთის**
**მოღრეცილ კართან!..“**
**„აპრილის პატორალი“**
**2007 წლის 21 აპრილი**

წაიკითხავ და არ დაეთანხმები, რომ მისი ლექსების ეს ციკლი არ არის პოეზია. პირიქით — მეტაფორების ალლუმია:

**„უჭირავს სიზმარს**
**ბასრი დანა,**
**როგორც ავაზაკს,**
**და ბაგეებთან**
**გარდიგარდმო**
**ამომჭრის ღიმილს“.**
**„ქალბატონებო“ და „ბატონებო“**
**2008 წლის 6 ოქტომბერი**

ან — მიყოლებით: „სადაც ჰაერი უკვე შიშით არის მაძღარი“, „ხვატით დამსკდარი ბროწეულის ტკბილი შხეფები“, „შუა აპრილში მოდის თოვლი, მოდის და მღერის, და სველი ფიფქი ალუბლების ყვავილებს კოცნის“, „ჩანს გიშერივით შავი მთვარე თვალების ჭრილში“, „ქარები ხეებს თოვლით არხევენ“, „აქა-იქ ბოლავს თოვლისფერი კვამლით ხეხილი“, „ღია ალუბლით გადაღებული ნისლების ფარა“, და, რა თქმა უნდა, ეპიგრაფად ატანილი სტროფი — ალიტერაციის ზეიმი:

**„...მუნ ყორანივით ჩხაოდა**
**ჯუჯა,**
**ტყის გადამრუჯველი...**
**— გადმოხვეწილი ტაოდან,**
**კლარჯი ვარ,**
**არტანუჯელი!..**
**მესმის ანგელოსთ**
**ჩურჩული,**
**მიდგას მირონით**
**ჭურჭელი...**
**— ვერ დამამუნჯებ,**
**ვერ წამშლი!**
**კლარჯი ვარ,**
**არტანუჯელი!“**

ქართული ეროვნულობის დაცვა რეზო ამაშუკელის „სისხლში ჩამხრჩვალი ვარდების“ პერიოდის უმთავრესი თემა და სატკივარია. ცრუ და ყალბ ნეოლიბერალიზმს ებრძვის, უცხო ჯიშისა და ჯილაგის მიერ ქართული ტრადიციული მეობის, ჩვენი გადაგვარების ყოველგვარი მცდელობის საწინააღმდეგოდ ხმას იმაღლებს, მოურიდებლად მიმართავს ქვეყნის თავგასულ მმართველს, „წვერგაბურძგნულ საჭურისს“, და ეს ხდება ყოფილების ზეობის ჟამს, როცა ციხეები პატიმრებს ვერ იტევდა და, ამ თვალსაზრისით, წინ ვუსწრებდით მთელ ევროპას:

**„წვერგაბურძგნულო**
**საჭურისო,**
**სულით საპყარო!..**
**ჩემს ფესვს და წარსულს**
**ზნეს და რწმენას გინდა**
**გამყარო,**
**რომ ჩამოთესლო უცხო**
**ჯიში**
**და ახარხარო!“**
**„დაღმართი“**
**2008 წლის 7 სექტემბერი**

ან კიდევ:

**„დღეს ბაბილონში**
**მიმათრევენ**
**ყელზე საბელით,**
**უნდათ, ამთქვიფონ**
**უცხო ჯილაგს,**
**ზნეს და საქციელს!..“**
**„აპრილის პასტორალი“**

დაბოლოს (თუმცა მაგალითების მოტანა დაუსრულებლად შეიძლება):

**„ისევ გამოყვეს**
**თაღლითებმა**
**ენა ყურიდან!**
**ერის გაქრობის,**
**ამოძირკვის**
**მიწყივ მცდელობით!**
**— მე მშიერი ვარ,**
**მშიერი ვარ „არა პურითა“,**
**მე მშიერი ვარ**
**ერთგულებით და**
**ქართველობით!“**
**„შეიშრე ცრემლი, სახიერო“**
**2009 წლის 21 აგვისტო**

და იქვე:

**„როგორ ხორხოცებს უცხო**
**თესლი,**
**ჯილაგი სხვისი,**
**ვდგავართ და ვისმენთ,**
**თავდახრილნი,**
**კვლავ ამის სისინს!..**
**მირონმდინარე სახიერო,**
**შეიშრე ცრემლი,**
**არა ვყოფილვართ,**
**დედოფალო,**
**ჩვენ შენი ღირსი!“**

თითქოს დღესა თქვა, დღევანდელობას მოარგოო!

პოეტის მოვალეობაც ესაა. დანიშნულებაც.

რეზო ამაშუკელის პოეზია, განსახილველი პერიოდისაც და საერთოდაც, იმ ძლიერი ენერგეტიკის მატარებელია, რომელიც ხალხში გადადის, უნდა გადავიდეს, რადგან უამისოდ ერი ვერ იგრძნობს ეროვნულობას თავისას, ღატაკდება სულიერად, უქვეითდება რწმენა, უჩლუნგდება ვითარების ადეკვატურად აღქმის უნარი.

პოეტურობასაც ჰკარგავს („ყველა ქართველი პოეტია“), რადგან, როგორც ცნობილია, ჭეშმარიტი პოეტი ვერ შედგება, თუ არ ეყოლება მკითხველი.

ისიც ცნობილია, რომ ყველა რეჟიმს ესაჭიროებაო მთავარი პოეტი, ანტიპოდი, რომელიც უპირისპირდება ხელისუფლებას, მაგრამ აწონასწორებს მას, ამიტომ ტოტალიტარიზმიც კი ვერ იტანსო პოეტის ვაკანსიას, მიუხედავად იმისა, რომ

**„სძულთ პოეტები**
**პატარა კაცებს,**
**ისევე, როგორც**
**ყივილი მამლის**
**გამთენიისას**
**მსტოვარს და გამცემს“.**

მე მგონი, ეს ადგილი საქართველოში დაკავებულია.

**არმაზ სანებლიძე**

## P.S.-ის ნაცვლად — ცხოვრების პროზა

**შაბათია. 5 მაისის დილა.**

**ყვითელი ავტობუსი №33, რომელიც ჯერ კიდევ წამლავს „თანამედროვე თბილისს“ სააკაშვილისდროინდელი გამონაბოლქვით, ნახევრად ცარიელია.**

**მილოლავს თამარ მეფის (ყოფილი ჩელუსკინელების) პროსპექტზე.**

**— აჩქარდი, კაცო! 20 წუთია, მოვდივარ და ვერ მივაღწიე! — იფეთქებს ქალი მეოთხე რიგის მეორე სავარძლიდან. სად ვერ მიაღწია, არ აზუსტებს.**

**— მანქანებს ვერ გადავაფრინდები, ქალბატონო, —- სასხვათაშორისოდ უპასუხებს შოფერი.**

**თავიდან მოსაცილებლად.**

**— ნუ აუშალე, ქალო, ნერვები მაგ კაცს. მთელი დღე უნდა იმუშაოს.**

**— დაუთმოს ადგილი ახალგაზრდებს.**

**სხვა:**

**— არ გადამრიოთ, ხალხო! მშვიდობით მიმიყვანეთ ბაზრამდე.**

**— ბაზრის ქალო!**

**— რაოო!**

**თითქოს ნაღმი შეუგდეს განხეთქილების ვაშლის დარად და, როგორც ჩვენს ყოველდღიურობაშია მიღებული, ავტობუსის საზოგადოებაც ორად გაიპო, გაიხლიჩა, დაუპირისპირდა, გაიწია ერთმანეთზე. გაწიწმატდნენ ქალები, აჰყვნენ კაცები:**

**— ხმა გაკმინდე, შე აფრიანო ვირო!**

**— ძროხა ხარ შენ!**

**— ავადმყოფო! საგიჟედან დროებით გამოშვებული პაციენტი!**

**და წავიდააა!**

**სადაცაა თმებში ჩააფრინდებიან ერთმანეთს და გულღვიძლს ამოკორტნიან.**

**მაგრამ ავტობუსის გაჩერება, როგორც კონსესუსი, ჩააცხრობს საზოგადოებრივი აქტივობის ვნებათაღელვას.**

**ჩამსვლელები ჩადიან.**

**ვინმე ბერიკაცი ძლივსძლივობით შემოათრევს ცარიელი ბოთლებით სავსე ორ ტომარას და ავტობუსის კარში გაეჩხირება.**

**მიეხმარება ვიღაც გულჩვილი გაღიზიანებულთა ფრონტის ნარჩენებიდან:**

**— რამდენი წლისა ხარ, კაცო? (ამ ტვირთს რომ ათრევო, იგულისხმა).**

**— 87-ის!**

**— შენ რისთვისღა წვალობ?! (ქვეტექსტი: ჩვენ, ჰო, მაგრამ შენ სულის გაწმენდაზე უნდა ფიქრობდეო).**

**— შენ არჩენ? — წამოიწყო ვიღაცამ ახალი დისკუსია.**

**არავინ აჰყვა...**

**რედაქციის წინ, გაქუცულ სკვერში, ღამენათევ ძაღლებს ეძინათ.**

**ა. ს.**

წყევლაკრულვიანი საკითხავი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**არ არის გამორიცხული, რომ 17 მაისს, ოჯახის სიწმინდის აღნიშვნის დღეს, დედაქალაქის ქუჩებში ვერცხლს დახარბებულმა სამშობლოს გამყიდველებმა მოაწყონ ლგბტ-თა აქცია, შეკრიბონ ადამიანები, შეაჩეჩონ ხელში ის ლოზუნგები, რომლებიც უნდათ, მომართონ ვინმეს წინააღმდეგ (სავარაუდოდ, პატრიარქის) და ასე შექმნან ბრბო, რომელიც ყველაფერზე იქნება წამსვლელი.**

# დარტყმა რწმენაზე, მართლმადიდებლობაზე — აი რა არის დღეს ყველაზე დიდი საფრთხე

**ქრისტიანობის შესანარჩუნებლად თავგანწირული ბრძოლა ქართველ ერს გამუდმებით უწევდა, რასაც, უპირველესად, ძლიერი მუსლიმანური სახელმწიფოების გარემოცვაში ყოფნა განაპირობებდა. მათთან ბრძოლას არაერთხელ დავუყენებივართ ყოფნა-არყოფნის ზღვარზე, მაგრამ ღვთის შეწევნითა და უფლის მადლით განსაცდელი დაძლეულა. მამული, ენა, სარწმუნოება შეგვინარჩუნებია. ეს სამი საუნჯე, რომელიც მამა-პაპათაგან მემკვიდრეობით გვერგო, XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძემ და თერგდალეულთა მთელმა პლეადამ თავიანთ უმთავრეს საზრუნავად გამოაცხადეს.**

ამ ბოლო დროსაც კვლავ მიდის შეტევა მართლმადიდებლობაზე, პატრიარქზე, პრეზერვატივსაც კი დაახატეს ჩვენი წმინდა მეფე. საბედნიეროდ, გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებმაც საჭიროდ მიიჩნიეს, რომ ქვეყანაში რელიგიური გრძნობების დასაცავად უნდა ამოქმედდეს კანონი, ანუ რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება გახდებს.

რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფას საკმაოდ სერიოზული არეულობის გამოწვევა რომ შეუძლია, ახლო წარსულში მსოფლიოში მომხდარი ტერორისტული აქტებითაც ნათელია. ღმერთმა ნუ ქნას, ჩვენს ქვეყანაშიც იგივე განმეორდეს.

საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის წევრებმა იდეის დონეზე მხარი დაუჭირეს პროექტს, რომლითაც რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება ხდება.

დარტყმა რწმენაზე, მართლმადიდებლობაზე — აი რა არის დღეს ყველაზე დიდი საფრთხე. არ არის გამორიცხული, რომ 17 მაისს, ოჯახის სიწმინდის აღნიშვნის დღეს, დედაქალაქის ქუჩებში ვერცხლს დახარბებულმა სამშობლოს გამყიდველებმა მოაწყონ ლგბტ-თა აქცია, შეკრიბონ ადამიანები, შეაჩეჩონ ხელში ის ლოზუნგები, რომლებიც უნდათ, მომართონ ვინმეს წინააღმდეგ (სავარაუდოდ, პატრიარქის) და ასე შექმნან ბრბო, რომელიც ყველაფერზე იქნება წამსვლელი. სწორედ ამ „ლიბერალი" გამყიდველების დამსახურებაა, მართლმადიდებლობის ამოსაძირკვად აჭარაში წლების წინათ უამრავი თურქი რომ ჩამოასახლეს და რომ დღეს ბათუმს დილაობით მუეძინი უხმობს სალოცავად. არადა, საქართველოს ისტორიაში **აჭარაა სწორედ ის კუთხე, რომლიდანაც ჯერ კიდევ I საუკუნიდან დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება წმინდა ანდრია მოციქულმა, აქედან მოეფინა ქრისტიანობა საქართველოს.**

ქრისტიანობის გადარჩენისთვის დიდი ბრძოლა გასწია აჭარამ. „სამწუხაროდ, აღნიშნული საკითხი ქართულ ისტორიოგრაფიაში სათანადოდ დღემდე არ არის შესწავლილი", — წერს ისტორიკოსი **ავთანდილ დიასამიძე** წერილში **„ქრისტიანობისთვის ბრძოლის ისტორიიდან აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში (XVI საუკუნის 70-იანი წლები-XIX საუკუნის 70-იანი წლები)",** რომელიც 2013 წელს ჟურნალ „ისტორიულ მემკვიდრეობაში" დაიბეჭდა, და რომელსაც მკითხველებს ქვემოთ ვთავაზობთ.

## ქრისტიანობისთვის ბრძოლის ისტორიიდან აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდში

ცნობილია, რომ XVI საუკუნის დასასრულსა და XVII დასაწყისში ოსმალეთმა სამხრეთი საქართველო, რომელშიც აჭარაც შედიოდა, მიიტაცა და დაიწყო ოსმალობის პერიოდი, რომელიც XVI საუკუნის 70-იანი წლებიდან XIX საუკუნის 70-იან წლებამდე გრძელდებოდა. დამპყრობელმა საქართველოს ამ მხარეში დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა მართლმადიდებლობას, ქართულ ენას, კულტურას, ზნეჩვეულებებს. ძალით, ცეცხლითა და მახვილით დაიწყო მაჰმადიანური სარწმუნოების შემოტანა-დამკვიდრება. თავის მხრივ, სამხრეთ საქართველოს ამ ძირძველი მხარის მოსახლეობა ძალ-ღონეს, სიცოცხლეს არ იშურებდა ქრისტიანობის შესანარჩუნებლად, მაგრამ მტრის მრავალრიცხოვნებამ, სისასტიკემ და დაუნდობლობამ, აგრეთვე ამ მიმართებით მის მიერ მიზანმიმართულად გატარებულმა სხვა ღონისძიებებმა თავისი გაიტანა. ქრისტიანობა ძლეულ იქნა — მრავალი ქრისტიანული ტაძარი დაინგრა, განადგურდა ან მეჩეთად გადაკეთდა, მხოლოდ ზოგიერთი გადაურჩა მოძალადე მტერსა და დროის ქარტეხილს, რომლებშიც მალულად ადიდებდნენ უფალს. 1877 წლის 28 აპრილის გაზეთ „ივერიაში" გამოქვეყნებულ სტატიაში „ოსმალოს საქართველო" ილია ჭავჭავაძე წერდა:

**„დღესაც იციან იქაურმა ქართველებმა, რომ ზოგის დედა, მამა, პაპა ჯერ კიდევ მათ ხსოვნაში ქრისტიანები ყოფილან, ამბობენ, რომ იქ ზოგიერთი დღესაც იდუმალად აღიარებს ქრისტიანობასო, რომ დღესაც ათსა თუ თორმეტის წლის ყმაწვილები საჩვენოში გადმოჰყავთო მოსანათლავად, ზოგი ჩვენებურათ ჯვარსაც იწერს ოსმალების იდუმალად თურმე".**

საინტერესო ცნობებს ვპოულობთ ილია ჭავჭავაძის, ასევე XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის მოგზაურ-მკლევარების: დავით ბაქრაძის, გიორგი ყაზბეგის, პეტრე უმიკაშვილის, თედო სახოკიას, ექვთიმე თაყაიშვილის ნაშრომებში. აღნიშნულ საკითხს თავიანთ შრომებში მეტ-ნაკლებად ეხებიან, აგრეთვე, ცნობილი მეცნიერები, ისტორიკოსები და ფილოლოგები: ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი, ხარიტონ ახვლედიანი, ჯ. ნოღაიდელი, ვ. იაშვილი, შ. მეგრელიძე, შ. ფუტკარაძე, ნ. შენგელია და სხვები. მათ ნაშრომებში სათანადოდაა გაანალიზებული ოსმალთა ბატონობის დამყარება სამხრეთ საქართველოში და, მათ შორის, აჭარაში.



ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია მოგზაურის, ისტორიკოსისა და ეთნოგრაფის — **ზ. ჭიჭინაძის** ნაშრომი **„ქართველების გამაჰმადიანება, ანუ გათათრება"**, რომელიც 1915 წელს გამოიცა. მასში ცალკეულ პირთა მოგონებებსა და ფაქტებზე დაყრდნობით დეტალურადაა შესწავლილი ოსმალეთის მიერ მიტაცებულ მხარეებში და, მათ შორის, აჭარაში, მოსახლეობის მიერ ქრისტიანობის შენარჩუნებისთვის ბრძოლის და საბოლოოდ იძულების გზით მისთვის უცხო სარწმუნოების — მაჰმადიანობის მიღების ფაქტები. ასევე საყურადღებოა ზ. ჭიჭინაძის სხვა ნაშრომებიც, მათ შორის **„ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება" (1916წ). „მუსლიმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში"(1913წ.)** და სხვ.

აჭარაში ქრისტიანული სარწმუნოების შენარჩუნებასა და ოსმალთა ძალადობაზე საყურადღებო მასალებს გვაწვდის ისტორიკოსი ხარიტონ ახვლედიანი. ხოლო აჭარაში ოსმალთა ბატონობის დროს ქრისტიანობისთვის ბრძოლის ისტორია ასახული აქვს ისტორიკოსსა და ჟურნალისტს — **ი. ბექირიშვილს** ნაშრომში **„ქრისტიანობა აჭარაში" (1991წ.)**.

1946 წლის 8 იანვარს გაზეთ „კომუნისტში" დაიბეჭდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის — კალისტრატეს „წერილი რედაქციის მიმართ", რომელიც აჭარაში ოსმალობის უარყოფით შედეგებს ეხება.

ზ. ჭიჭინაძის შემდგომ ამ თემის სპეციალური შესწავლა და მითუმეტეს, მონოგრაფიის გამოცემა არავის უცდია. ამ მხრივ ქართული ისტორიოგრაფია ვალშია ქვეყნისა და ქართველი საზოგადოების წინაშე.

## აჭარა – ქრისტიანობის აკვანი საქართველოსი

საქართველოს ისტორიაში აჭარას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. სწორედ ამ მხარიდან ჯერ კიდევ I საუკუნიდან დაიწყო ქრისტიანობის ქადაგება წმინდა ანდრია მოციქულმა, აქედან მოეფინა ქრისტიანობა საქართველოს. საამისოდ უტყუარ ცნობას გვაწვდის ლეონტი მროველი, რომელიც აღნიშნავს:

**„მოვიდა... ანდრია ქალაქ ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა, სადა იგი დაჰყო ჟამი მცირედი... და შევიდა ქვეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდ-აჭარა ეწოდების, და იწყო ქადაგება სახარებისა...**

**შეწევნითა ღრმთისათა და წმინდისა მის ხატისათა ყოველნივე მადლობით მოითმინა, ვიდრემდის ყოველივე მოაქცია და მოიყვანა სარწმუნოებად. და დაადგინა მღვდელნი და დიაკონნი, და დაუდვა წესი და საზღური სარწმუნოებისა. და აღაშენეს ეკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლად-წმინდისა ღვთისმშობლისასა".**

ამიტომაც სამართლიანად წერდა ი. ჭავჭავაძე: „პირველად ქრისტიანობამ იქ, სამცხე-კლარჯეთში (რომელშიც აჭარაც შედიოდა. — ა. დ.) მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებითა, მაშინ, როდესაც ქართლ-კახეთში ჯერ კიდევ კერპთმსახურება სუფევდა".

IV საუკუნიდან (317 წ.) ქრისტიანობა საქართველოში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. მას შემდეგ საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში ფართოდ დაიწყო ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლობა: აშენდა ეკლესია-მონასტრები, განვითარდა ქრისტიანული კულტურა. ეს მნიშვნელოვანი პროცესი ოსმალო დამპყრობლებმა შეაჩერეს, როცა აჭარაში გაბატონდნენ.

## ოსმალთა ბატონობა აჭარაში

„ოსმალთა წესისა მათისაებრ იწყეს მძლავრებად ქუეყანათა"(ვახუშტი ბატონიშვილი).

1453 წელს ოსმალებმა კონსტანტინეპოლი აიღეს, ხოლო 8 წლის შემდეგ ტრაპიზონის საკეისრო შემუსრეს და უშუალოდ მოადგნენ საქართველოს სამხრეთ სამანებს. ვახუშტი ბატონიშვილი აღნიშნავს: **„დაიპყრა ხონთქარმან ტრაპიზონ-აზრუმი და ეკირთებოდენცა ოსმალნი მცირედ-მცირედ კლარჯეთსა და ჭანეთსა".** 1561 წლიდან აჭარის ხეობა უკვე ოსმალეთის იმპერიის შემადგენელი ნაწილი ხდება, ახალციხის (ჩილდირის) ვილაეთს უერთებს და მასში ზემო და ქვემო აჭარის სანჯაყები არსდება. 1582 წელს აჭარა ოსმალთა წინააღმდეგ აჯანყებულ მანუჩარ II ათაბაგს მიემხრო. 1587 წელს ოსმალებმა აჭარა ხელახლა დაიპყრეს. 1609 წელს გურიელმა აჭარიდან ოსმალები გარეკა და ის გურიის სამთავროს შეუერთა, მაგრამ შემდგომ მათთან ომის გაგრძელება ვერ შეძლო და 1614 წელს გურიელი იძულებული გახდა, აჭარა ოსმალეთისთვის დაეთმო.

ეხება რა ოსმალთა ბატონობის დამკვიდრებას, აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ **„ოსმალთა გაბატონებამ მცირე აზიასა და კონსტანტინეპოლში მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, მეტადრე ეს უკანასკნელი მონაპირე კუთხე, საშინელს განსაცდელში ჩააგდო, საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთი დაუცხრომელი სიმედგრით საქართველოს ამ ძვირფასი და მშვენიერი ნაწილის ჩაყლაპვას ლამობდა. ყოველგვარი საშუალებით, პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი დევნით და ეკონომიკური შევიწროებით იგი ცდილობდა, რომ ქრისტიანობა აქაურ ქართველთა შორის ამოეძირკვა და ქვეყანა გაემაჰმადიანებია".** ოსმალთა დროს ახალციხის საფაშო კლავინდებურად მთელი ჭოროხის მხარესაც მოიცავდა და 24 თემად, ანუ სანჯაყად იყოფოდა. აკადემიკოსები სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი წერდნენ: „თურქები... მხეცურად არაადამიანურად სდევდნენ ქართველი ხალხის წმინდათა-წმინდას — მის ენას, მის კანონებს და ტრადიციებს, მამა-პაპათა კულტურას და სარწმუნოებას, ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ თურქულ ენას და ისლამს".

**„ოსმალეთმა შეუძლებელი გახადა მის მიერ მიტაცებული ქართული ოლქების შემდგომი განვითარება. დამახასიათებელია, რომ ქართულმა საზოგადოებრივმა აზროვნებამ დამპყრობელთა მიერ შემოღებულ წესებს, ყოვლად უცხოს და შეუფერებელს ქართული ცხოვრებისათვის, უწოდა ოსმალობა, რომელიც უსამართლობის სინონიმად გადაიქცა",** — წერდა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე 1946 წელს.

თურქებმა მის მიერ დაპყრობილ აჭარაში სასტიკი და გაუსაძლისი რეჟიმი დაამყარეს.

**აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი მიუთითებს, რომ «ოსმალთა გაბატონებამ მცირე აზიასა და კონსტანტინეპოლში მთელი დასავლეთი და სამხრეთ-დასავლეთი საქართველო, მეტადრე ეს უკანასკნელი მონაპირე კუთხე, საშინელს განსაცდელში ჩააგდო, საუკუნეთა განმავლობაში ოსმალეთი დაუცხრომელი სიმედგრით საქართველოს ამ ძვირფასი და მშვენიერი ნაწილის ჩაყლაპვას ლამობდა. ყოველგვარი საშუალებით, პოლიტიკური თუ სარწმუნოებრივი დევნით და ეკონომიკური შევიწროებით იგი ცდილობდა, რომ ქრისტიანობა აქაურ ქართველთა შორის ამოეძირკვა და ქვეყანა გაემაჰმადიანებია»**

**დასასრული შემდეგ ნომერში**

რუბრიკას უძღვება
**დარეჯან ანდრიაძე**

## ივანე ჯავახიშვილი: წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ყოველ ჩვენგანს ისეთ დაწესებულებად მიგვაჩნია, რომელსაც თითოეული ქართველი თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდეს.

ისტორიანი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**XIX საუკუნის 60-70-იანი წლები ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ინტენსიური განვითარების ეპოქა იყო. საგლეხო რეფორმა, მიუხედავად მრავალი ნაკლისა, მნიშვნელოვან მოვლენად იქცა და დასაწყისი მისცა ხალხთა შემოქმედებისა და ბრძოლის გზას. ჩვენს ქვეყანაში გლეხობის განთავისუფლებისათვის ილვწოდა ქართველ სამოციანელთა შესანიშნავი თაობა. სწორედ რეფორმის შედეგი იყო ჟურნალ „საქართველოს მოამბის“ და შემდეგ გაზეთ „დროების“ დაარსება, ქართული თეატრის განახლება, გეოგრაფიულ, სამედიცინო, არტისტთა საზოგადოებების ჩამოყალიბება და სხვ.**

# დიდ წინაპართა ღვაწლი

## 1879 წლის 15 მაისს შედგა «ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების» პირველი სხდომა


დიმიტრი ყიფიანი


დავით კარიჭაშვილი


გიორგი ყაზბეგი

სამოციანელთა წრეში ჩაისახა იდეა სახალხო განათლებისა, სახალხო სკოლების შექმნისა, რაც კერძო ინიციატივით დაიწყო და შემდეგ კი, 70-იანი წლების დასასრულისთვის, ოფიციალური სახე მიეცა. **პირველი სახალხო სკოლა ქართულ ენაზე სწავლებით სოფელ ხოვლეში შეიქმნა გიორგი ჯავახიშვილისა და მისი მეუღლის, მარიამ იოსების ასულ მამაცაშვილის,** აქტიური მონაწილეობითა და ქართველ მოწინავე ადამიანთა ხელშეწყობით, მას, როგორც კერძო წამოწყებას, იურიდიული უფლებები არ ჰქონდა.

**აზრი საგანმანათლებო საზოგადოების დაარსებისა, როგორც იაკობ გოგებაშვილი და ანტონ ფურცელაძე გადმოგვცემენ მოგონებებში, იმ კერძო სასწავლებლის არსებობამ წარმოშვა, რომლის ბედით, ხსენებულ პირთა გარდა, დაინტერესებული იყვნენ ნიკო ცხვედაძე, ვახტანგ თულაშვილი, ბესარიონ ღოღობერიძე, ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილისა და სხვანი.**

1877 წელს ამ ჯგუფმა დაიწყო ზრუნვა მომავალი საზოგადოების წესდების შესამუშავებლად. მათ შეუერთდა დიმიტრი ყიფიანი, შემდეგ — ილია ჭავჭავაძე. 1878 წლის დასაწყისისთვის წესდების პროექტი უკვე მზად იყო, რომელშიც იაკობ გოგებაშვილის მეცადინეობითა და მოთხოვნით მესამე პარაგრაფში შემდეგი ეწერა: **„საზოგადოება თავის მიზანს იმით მიაღწევს, რომ სახალხო სკოლებში დასაწყის სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზე, რომელიც ესმით მოსწავლეებს, და ცდილობს რუსული ენისთვისაც, რომ კარგად ისწავლებოდეს“.**

დიდი წინააღმდეგობისა და ამ პარაგრაფის ირგვლივ ატეხილი კამათის შემდეგ მაინც დამტკიცდა წესდების პროექტი 1879 წლის 31 მარტს. იმავე წლის **15 მაისს შედგა პირველი სხდომა საზოგადოებისა, რომელსაც, გრიგოლ ორბელიანის წინადადებით, დაერქვა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და რომელსაც შემდეგ იაკობ გოგებაშვილმა „ჩვენი სამეცნიერო აკადემია“ უწოდა, ხოლო საზოგადოების არსებობის 25-ე წლისთავზე მას „ქართველთა ეროვნულ თავშესაფრად“ იხსენიებდნენ.**

**პირველმა სხდომამ საზოგადოებისა და გამგეობის თავმჯდომარედ დიმიტრი ყიფიანი აირჩია, მის მოადგილედ (ამხანაგად) — ილია ჭავჭავაძე, გამგეობის წევრებად — იაკობ გოგებაშვილი, ნიკო ცხვედაძე, ივანე მაჩაბელი, რაფიელ ერისთავი და ალექსანდრე სარაჯიშვილი (მდივნად).**

საზოგადოება არსებობდა საწევრო შესატანით, რომელსაც იხდიდნენ დამფუძნებლები და წევრები.

პრესა ხშირად მიმართავდა ქართველ საზოგადოებას და ახსენებდა ამ დაწესებულების მნიშვნელობას და მისთვის დახმარებას ითხოვდა. თბილისის ბანკიდან, რომლის თავმჯდომარეც ილია ჭავჭავაძე იყო, დასაწყისისათვის საზოგადოებამ თერთმეტი ათასი მანეთი მიიღო, ამდენივე თანხა გაიღო ქუთაისის ბანკმა. შემდეგ, საზოგადოების არსებობის მანძილზე, არც ერთ შეგნებულ მოქალაქეს არ დაუშურებია მისთვის შემწეობა, ზოგჯერ შესაწირავი კაპიკებით განისაზღვრებოდა, მაგრამ იყვნენ ქართველი მეცენატები (მაგალითად, დავით სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, ილია ოქრომჭედლიშვილი, გიორგი ქართველიშვილი და სხვ.), რომელთაც მნიშვნელოვანი თანხები შეუწირავთ საზოგადოებისთვის.

**უპირველესი მიზანი საზოგადოებისა სახალხო სკოლების გახსნა იყო, რომლებშიც ქართველი ბავშვები მშობლიურ ენაზე დაეწაფებოდნენ ცოდნას.** ამ მარტივ და უბრალო მიზანს ბევრი ხელისშემშლელი გამოუჩნდა, უპირველესად, კავკასიის მთავარმართებელი, კავკასიის სასწავლო ოლქის უფროსი და საქართველოს ეგზარქოსი (ალექსანდრე დონდუკოვ-კორსაკოვი, კირილე იანოვსკი და პავლე ლებედევი), რომელთა აპარატი მეტად ავიწროებდა ყოველგვარ ეროვნულ წამოწყებას.

ბევრი სკოლის არსებობა მთავრობამ არ დაადასტურა, მაგ. სოფელ წინარეხის სკოლა რამდენიმე წლის განმავლობაში არალეგალურად მუშაობდა, რადგან საზოგადოების წესდებით მას ქართულ ენაზე უნდა ეწარმოებინა სწავლება, მთავრობა კი თავის პროგრამას აჩეჩებდა სკოლას. ბათუმის გენერალ-გუბერნატორი იქაურ სკოლას დახურვით ემუქრებოდა, თუ ოფიციალური გეგმით არ იმუშავებდა. ასეთ ვითარებაში მაინც დაარსდა სკოლები ბორჩალოს მაზრაში, გომარეთში, დიდ თონეთში, თასმალოში, ყალამშიაში, სენაკსა და სხვაგან, რომელთა შექმნაში ადგილობრივი მოსახლეობაც მონაწილეობდა. საზოგადოება აგებდა სასკოლო შენობებს, აახლებდა არსებულთ, ნიშნავდა მასწავლებლებს, ამარაგებდა სასწავლო ნივთებითა და ავეჯით არა მხოლოდ თავის სკოლებს, არამედ სახელმწიფო და სამრევლო სასწავლებლებსაც, წარმართავდა მათ მუშაობას.

**საზოგადოების მიერ დაარსებულ სკოლათა შორის დიდი მნიშვნელობისა იყო ბათუმის სკოლა, რომელშიც აჭარელ ქართველთა ბავშვები იზრდებოდნენ, აგრეთვე, ბორჩალოსი, ყალამშიასი და სხვ. ეს სკოლები ემსახურებოდნენ იმ ქართულ სოფლებს, რომლებიც არაქართული მოსახლეობით იყვნენ გარემოცულნი. ბათუმის სკოლის გახსნას თვით ილია ჭავჭავაძე დაესწრო.**

უყურადღებოდ არ დაუტოვებია საზოგადოებას საქართველოს გარეთ არსებული ქართული დასახლებანი, მისი და ადგილობრივ ქართველთა მეცადინეობით ქართული სკოლები დაარსდა ვლადიკავკაზში, ბაქოში, ნალჩიკში.

**დიდი ყურადღება მიექცა წიგნის ბეჭდვის საქმეს**, უმთავრესად — სახელმძღვანელოებისას, რომელთაც ამუშავებდა დაუღალავი იაკობ გოგებაშვილი. მისი შედგენილი „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და პირველდაწყებითი რუსული წიგნი მოეფინა მთელ საქართველოს. გარდა სახელმძღვანელოებისა, საზოგადოება ბეჭდავდა ქართველ მწერალთა თხზულებებს, ნათარგმნ ლიტერატურას.

**საზოგადოების საზრუნავი იყო საქართველოში ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების დაარსება**, რომლებიც ხალხში განათლების შეტანის მსახურნი უნდა გამხდარიყვნენ. ბევრი ადგილობრივი მოღვაწე თავისი ხარჯით მართავდა სამკითხველოს, აშენებდა ბიბლიოთეკას და უწერდა კიდეც ჟურნალ-გაზეთებს; საზოგადოება ბიბლიოთეკებს უფასოდ ამარაგებდა.

**იგი შეუდგა ქართული ძველი ხელნაწერების შეკრება-დაცვას.** საზოგადოებას მრავალი ხელნაწერი წიგნი შესწირა სხვადასხვა პირმა, იგი თავადაც ბევრს იძენდა ძველი ქართული მწერლობის ნიმუშებს. აღსანიშნავია სამეგრელოს მთავართა — დადიანების ნაქონი ხელნაწერების ჩამოტანა გორდიდან თბილისში 1884 წელს. დავით დადიანისა და ეკატერინე ჭავჭავაძის უფროსმა ვაჟმა ნიკო დადიანმა უფასოდ გადასცა მდიდარი ფონდი ქართული ხელნაწერებისა საზოგადოებას. ილია ჭავჭავაძე თავისი თანმხლები პირებით გაემგზავრა გორდს ხელნაწერთა მისაღებად და თბილისში ჩამოსატანად.

**სულ მალე საზოგადოების წინაშე დადგა მუზეუმის დაარსების საკითხი,** რადგან თავი მოიყარა შესანიშნავმა ხელნაწერებმა, ქართულმა ნაბეჭდმა წიგნებმა, შემოწირულმა და შეძენილმა ისტორიულმა ნივთებმა, ქართული ხელოვნების ნიმუშებმა...

**საზოგადოების საზრუნავი იყო ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების აღრიცხვა, შესწავლა და დაცვა.** რამდენი გულისტკივილით აღსავსე წერილი გამოქვეყნებულა „ივერიაში“ იმ ბრწყინვალე ძეგლების სავალალო მდგომარეობის გამო, რომელთაც საუკუნეებისთვის გაეძლოთ და ახლა კი იფშვნებოდნენ. **დაიწყეს ქართული ხალხური სიტყვიერების ნიმუშების შეკრება და გამოცემის ორგანიზაცია. ი. გოგებაშვილმა და პეტრე უმიკაშვილმა შეიმუშავეს და საქართველოს ყველა ტიპის სასწავლებელთა მასწავლებლებს დაუგზავნეს საგანგებო ინსტრუქცია, თუ როგორ ჩაეწერათ და შეეკრიბათ ქართული ფოლკლორი. ეს იყო დიდი კულტურულ-პატრიოტული მოძრაობა, რომელსაც მრავალი მოღვაწე გამოეხმაურა. დიდია აკაკი წერეთლისა და პეტრე უმიკაშვილის ღვაწლი ქართული ხალხური ზეპირსიტყვიერი მასალის თავმოყრისა და პუბლიკაციის საქმეში.**

**საზოგადოების უშუალო დახმარებით მოხდა ქართული სამუსიკო ფოლკლორის, საერო და სასულიერო მრავალხმიანი სიმღერა-გალობის ჩაწერა ნოტებით** (მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვი, ია კარგარეთელი, დიმიტრი არაყიშვილი, ზაქარია ფალიაშვილი, ზაქარია ჩხიკვაძე), რაც, აგრეთვე, ძვირფასი განძის თავმოყრას უდრიდა.

**ბევრი ახალგაზრდა სწავლობდა რუსეთისა და ევროპის უნივერსიტეტებში, საშუალო სასწავლებლებსა და გიმნაზიებში საზოგადოების ხარჯზე,** იგი ზრუნავდა მწერალთა ყოფა-ცხოვრების საკითხებზე, მართავდა საზოგადო მოღვაწეთა იუბილეებს, ლიტერატურულ დილა-საღამოებს. ბევრმა ქართველმა მწერალმა გადასცა საზოგადოებას თავისი თხზულება.

**საზოგადოებასთან არსებობდა სხვადასხვა ფონდი,** მაგ. ქართველ მწერალთა და ხელმოკლე მოღვაწეთა დასახმარებლად, კულტურულ დაწესებულებათა წასახალისებლად, ნიკოლოზ ბარათაშვილის ნეშტის გადმოსასვენებლად, დიდუბის ქართველ საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის გასამართავად, მუზეუმისთვის ადგილის შესაძენად, იყო ფონდები აკაკისა, ილიასი, ყაზბეგისა.

**თავისი არსებობის მანძილზე საზოგადოებამ ორი დიდი სახალხო დღესასწაული მოაწყო.** ეს იყო იუბილეები რაფიელ ერისთავისა 1895 წელს და აკაკი წერეთლისა 1908 წელს. ეს იუბილეები იქცა ეროვნული ენერგიის მობილიზაციად, საზოგადოებამ დიდი მონაწილეობა მიიღო თავისი პირველი თავმჯდომარის — დიმიტრი ყიფიანის რუსეთიდან საქართველოში გადმოსვენებასა და მთაწმინდაზე დაკრძალვაში. საზოგადოების ხარჯით აიგო ძეგლი მისი უცვლელი თავმჯდომარისა 1885 წლიდან 1907 წლამდე — ილია ჭავჭავაძისა (ი. ჭავჭავაძის შემდეგ თავმჯდომარე იყო გიორგი ყაზბეგი, ბოლოს კი — დავით კარიჭაშვილი).

საზოგადოება არსებობდა 1927 წლამდე (ბოლოს მას წიგნის გამომცემელი საზოგადოება ერქვა). ბოლო აქტი დაიწერა 1927 წელს, როცა ილია ჭავჭავაძის ქვრივი, ოლღა, გარდაიცვალა და მისი ნივთები მუზეუმს გადაეცა.

საზოგადოების არქივი შესანიშნავი ფონდია. მასში დაცულია უმნიშვნელოვანესი საბუთები არა მხოლოდ საქართველოში წერა-კითხვის გავრცელებისა, არამედ ქართული კულტურისა საერთოდ.

**P. S. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ყოველ ჩვენგანს ისეთ დაწესებულებად მიგვაჩნია, რომელსაც თითოეული ქართველი თვალის ჩინივით უნდა გაუფრთხილდეს“, — წერდა ივანე ჯავახიშვილი.**

**როგორც ჩანს, დღეს ქვეყანაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ისევ გვჭირდება, რომელიც მომავალი თაობის განათლების, ქვეყნის განვითარებისა და წინსვლისთვის იზრუნებს. რადგან დავივიწყეთ, რომ „უწიგნოდ თვალთახედვის ისარი მოკლეა“ და დღეს განათლების სისტემა ისეა მოწყობილი, რომ ჩვენი ბავშვები კომპიუტერით, ძირითადად, ინფორმაციებს იღებენ, ცოდნას კი — ნაკლებად; მიწები ისევ დასაბრუნებელი გვაქვს, ილიას შექმნილი საადგილმამულო ბანკი — ისევ გასაკეთებელი. ჩვენ გარშემო ყველა ქვეყანა ვითარდება, ჩვენ კი მარტო გაურკვეველი რეიტინგებით მივდივართ წინ.**

ეს უნდა ვიცოდეთ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ანონიმური წყაროების ცნობით, ყველაზე თვალშისაცემი ზრდა სექსუალურ ნიადაგზე მომხდარ დანაშაულზე მოდის. ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ 2007 წლიდან 10 წლის განმავლობაში 600-ზე მეტი ინციდენტი მოხდა ქვეყანაში და მის საზღვრებს მიღმა განლაგებულ სამხედრო ქვედანაყოფებსა და პენტაგონს დაქვემდებარებულ სკოლებში.**

# უზნეობა დემოკრატიის სახელით



## აშშ-ის არმიაში იმატა სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის რაოდენობამ

**ეს არასასიამოვნო სტატისტიკა პენტაგონის ანგარიშის გამოქვეყნებამდე გაასაჯაროვეს.**

კერძოდ, 2017 ფისკალური წლის განმავლობაში, რომელიც 30 სექტემბერს დასრულდა, ეს სავალალო მაჩვენებელი 10 პროცენტით გაიზარდა: თუ 2016 წელს აღირიცხა 6172 შემთხვევა, მომდევნო წელს უკვე 6769 იყო, რაც 2015 წლის შემდეგ რეკორდული მაჩვენებელია.

ანონიმური წყაროების ცნობით, ყველაზე თვალშისაცემი ზრდა სექსუალურ ნიადაგზე მომხდარ დანაშაულზე მოდის.

სააგენტო Associated Press-მა გამოიძია აშშ-ის სამხედრო ბაზებში მცხოვრები ბავშვების მიმართ სექსუალური ძალადობის შემთხვევები.

ჟურნალისტებმა დაადგინეს, რომ 2007 წლიდან 10 წლის განმავლობაში 600-ზე მეტი ინციდენტი მოხდა ქვეყანაში და მის საზღვრებს მიღმა განლაგებულ სამხედრო ქვედანაყოფებსა და პენტაგონს დაქვემდებარებულ სკოლებში.

## დედა რყვნიდა 3 წლის შვილს — პორნოვიდეოებს იღებდა, რათა «პორნოპროდუქცია» ნარკოტიკებზე გადაეცვალა



**ინდიანის შტატში (აშშ) მცხოვრები ხაიმე სიმსი თავისი 3 წლის გოგონას გახრწნის ბრალდებით დააპატიმრეს. ორი შვილის დედა ვაჭრობდა სექსვიდეოთი თავისი პატარის მონაწილეობით და ამ გზით ნაშოვნი ფულით ყიდულობდა ნარკოტიკებს.**

განგაში გოგონას მამამ ატეხა. ბავშვები მასთან ცხოვრობდნენ, დედა კი კვირაში ორჯერ ნახულობდა. მამა უფროსი გოგონას ქცევამ შეაცბუნა და გადაწყვიტა, ხაიმეს ტელეფონი შეემოწმებინა. შეამოწმა და აღმოაჩინა თავზარდამცემი ფოტო და ვიდეო დედა-შვილის მონაწილეობით, რომლის შესახებაც დაუყოვნებლივ აცნობა პოლიციას.

ხაიმე სიმსმა აღიარა, რომ რყვნიდა თავის 3 წლის გოგონას და ამ პროცესს იწერდა ვიდეოზე, ყიდდა ინტერნეტით, ყიდულობდა ნარკოტიკებს და პირადი მოხმარების საგნებს. ამ გზით მან 200 დოლარამდე თანხის შოვნა შეძლო. ქალს წაუყენეს ბავშვებზე ძალადობრივი ზემოქმედების, მცირეწლოვნის გარყვნისა და ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელების ბრალდება.



## დალაქს, რომელიც გეიპარტნიორებს ვიჩინფექციით შეგნებულად ასნებოვნებდა, სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს

**27 წლის ბრიტანელი დარილ როუ პირველი ბრიტანელია, რომელსაც წლეულს, აპრილში სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს სასიკვდილო დაავადებით პარტნიორების შეგნებულად დასნეულების ბრალდებით.**

ედინბურგელმა „არატრადიციული ორიენტაციის" დალაქმა **როუმ** თავისი უიმედო დიაგნოზის შესახებ ჯერ კიდევ 2015 წელს შეიტყო, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა, აქტიური სექსუალური კავშირი სხვა მამაკაცებთან გაეგრძელებინა. უარი თქვა ვირუსების საწინააღმდეგო თერაპიაზე და წელიწად-ნახევრის განმავლობაში ხუთი მამაკაცი დაააავადა. მას ჩაფიქრებული ჰქონდა, რაც შეიძლება მეტი მამაკაცისთვის შეეყარა უკურნებელი სენი, დაჟინებით არწმუნებდა თავის საყვარლებს, უპრეზერვატივოდ მისცემოდნენ განცხრომას. იმედი ჰქონდა, რომ მისი ბოროტი ჩანაფიქრის განხორციელებისთვის პასუხს არავინ მოსთხოვდა, რადგან დიდ ბრიტანეთში მსგავსი სასამართლო პროცესები არასოდეს გამართულა. მაშასადამე, არც პრეცედენტი ყოფილა. მაგრამ იმედი გაუცრუვდა და მიმალვა სცადა, რადგან დანაშაულის შესახებ ინფორმაციამ მაინც გაჟონა, იგი მოძებნეს და დააკავეს. შარშან, ნოემბერში, დამნაშავედ ცნეს. რამდენიმე დღის წინათ გამართულ სხდომაზე მას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ციხეში პატიმარს განსაკუთრებულ კარანტინში მოათავსებენ, სხვა პატიმრები რომ არ დააავადოს.

## ცოლის მეგობარმა, გეი რომ ეგონათ, ქმარს რქები დაადგა



**30 წლის ლონდონელი ფერგუს კლარკსონი ცოლსა და მის მეგობარზე თავდასხმის ბრალდებით დააკავეს. მას აეკრძალა ცოლთან და მის საყვარელთან მიახლოება, რომელიც ჰომოსექსუალად მიაჩნდა.**

ფერგუსი შინ დაბრუნდა დილის 4 საათისთვის, როცა ცოლი და მისი ახალი „ბოიფრენდი" **სლეტერი** კოქტეილს სვამდნენ და დროს ატარებდნენ. „ბოიფრენდი" ჩივის, რომ ქმარი უწინაც ცდილობდა, მას თავს დასხმოდა. სკანდალი თავიდან რომ აეცილებინა, სლეტერი ბაღში გავარდა და ღობის იქით დაიმალა. ქალმა (ცოლმა) კი განაცხადა, რომ ქმარმა სცემა და ღობის ძირას შეყუჟული სლეტერიც კარგა გვარიანად მიბეგვა.

ფერგუსის ვერსია განსხვავებულია. მისი თქმით, ცოლი ეფიცებოდა, რომ არასოდეს უღალატებდა, ხოლო მისტერ სლეტერი ჰომოსექსუალია და სცენა, რომელიც შინ დაბრუნებულ ქმარს დახვდა, მხოლოდ რომანტიკული გარემოს შესაქმნელად იყო მოწყობილი — სანთლები, კოქტეილი და სასიამოვნო საუბარი(!), სლეტერი კი ბაღში დაემალა.

„ჩვენ მშვიდად ვარკვევდით მომხდარს და მხოლოდ ერთხელ დავარტყი და ვთხოვე, წასულიყო ჩემი სახლიდან, — თავს იმართლებდა ქმარი, — ჩემს შვილს მეორე სართულზე ეძინა, ცოლი და მისი მეგობარი კი მთვრალები იყვნენ".

მოსამართლე **ნიკოლას ვატამმა** გაამართლა ნაცემი ქალი და მამაკაცი, „ეჭვიანი ქმარი" კი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა და ის ახლა სასამართლოს განაჩენს ელოდება.





**მომზადდა WTHR-ისა და NEW YORK POST-ის მასალების მიხედვით**

**ყველა „ხავერდოვანი“ და „ფერადი“ რევოლუცია ხორციელდება გარე ძალების ბრძანებითა და მათ კონტროლს ემორჩილება. ლაპარაკია იმ ძალებზე, რომელთა მიმართ ხელისუფლებას უკიდურესად შეზღუდული სუვერენიტეტი გააჩნია.**

ბესტსელერი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნარინჯისფერი ნაღმი

**ახალი მსოფლწესრიგის დოქტრინიდან გამომდინარე, იშლება ეროვნული სახელმწიფოებრიობა, რომელსაც მარიონეტული მთავრობები ჩაენაცვლება. ამისთვის გამოყენებული პოლიტტექნოლოგიები „ფერადი“ რევოლუციების სახელით არის ცნობილი.**
**წიგნში, რომლის ადაპტირებულ თარგმანს გთავაზობთ „საქართველო და მსოფლიო“, მიმოხილულია „ფერადი რევოლუციების“ წარმოქმნისა და განვითარების დოქტრინის ისტორია და პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებრიობის უსუსურობის მიზეზები. ნაშრომი ნათელს ჰფენს „ვარდების რევოლუციის“ სახელით საქართველოში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალების იმ სიღრმისეულ საკითხებს, რომელთა შესახებ ჩვენთან დუმილს ამჯობინებენ.**


სერგეი ყარა-მურზა




გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-15 (425-439)

საქართველოსა და უკრაინაში ცხოვრების დონით ხალხის რეალური უკმაყოფილება და ხელისუფლების მიერ სოციალური ბაზის რეალური დაკარგვა გამოყენებული იყო ამ ქვეყნების სუვერენიტეტის შესამცირებლად და პოლიტიკურ მარიონეტებად მათ გადასაქცევად.

ამტკიცებენ, რომ სწორედ ეს ფაქტორია უმთავრესი და არა საქმის ტექნოლოგიური მხარე: „ნარინჯისფერი“ კონტექსტი სრულად აფერმკრთალებს მომხდარის სოციალურ არსს, რაც სწორი არ არის, რადგან საქართველოშიც და უკრაინაშიც რევოლუციური ძრავის ასამოქმედებლად გამოიყენეს რეალური სოციალური პრობლემები და მაღალი ძაბვის ხაზები“, — წერს ე. ხოლმოგოროვი.

ამრიგად, მოსახლეობის უკმაყოფილების გამომწვევი სოციალური მოუწყობლობა წარმოგვიდგება ხელისუფლების სისუსტის მნიშვნელოვან წინაპირობად „ფერადი რევოლუციის“ კვირაძალს. ეს წინაპირობა აშკარა უკმაყოფილებად ტრანსფორმირდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემულ პოლიტიკურ სისტემაში ვერ გამონახავენ მათი დაკმაყოფილების ადეკვატურ მექანიზმს ხელისუფლებისა და მასების დიალოგის საშუალებით.

ნებისმიერ სახელმწიფოსა და ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს საზოგადოებრივი უკმაყოფილება სხვადასხვა დოზით. თუ პოლიტიკურ სისტემას ამ უკმაყოფილების **რაციონალიზაციის** უნარი შესწევს, მაშინ მისი გარდაქმნა მანიპულაციის ობიექტად, შემდეგ კი მასობრივი შეგნების **კერპად,** რთულდება. იგი ან კონსტრუქციული გადაწყვეტილების, ან დროებითი კომპრომისის საგანი ხდება, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ყალიბდება, როგორც ჩამხშობი ძალა, რომელსაც წინააღმდეგობათა მოგვარების ან კომპრომისის შეუძლებლობის მიზეზებით გაამართლებენ. „ხავერდოვანმა“ და „ფერადმა“ რევოლუციებმა დაადასტურა მასობრივი უკმაყოფილების თანამედროვე მეთოდებით წარმართვის შესაძლებლობა სხვადასხვა, მათ შორის, ურთიერთგამომრიცხავი შეხედულებების მქონე ადამიანების ერთ, შეკრულ მასად ჩამოსაყალიბებლად.

ასეთ ვითარებაში ისეთი ჯგუფებიც კი, რომელთა შეხედულებები „ფერადი რევოლუციის“ მიზნებსა და ამოცანებზე კარდინალურად განსხვავდება ერთმანეთისგან, თანხმდებიან, რომ რევოლუციის მამოძრავებელი ძალა ხალხის უკმაყოფილებაა.

„ფერადი რევოლუციების“ მეორე მიზეზი იმაზე ნაკლებ ფუნდამენტურია, ვიდრე არსებული მძიმე და გადაუწყვეტელი სოციალური პრობლემები და, აქედან გამომდინარე, ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთგაუცხოების გამომწვევი ხდება. ეს მიზეზი ხელისუფლების რევოლუციონერებთან გარიგებაა. იგი ძნელად ემორჩილება საზოგადოების იმ ნაწილის ზემოქმედებას, რომელიც უარყოფს „ფერად რევოლუციას“.

**ყველა „ხავერდოვანი“ და „ფერადი“ რევოლუცია ხორციელდება გარე ძალების ბრძანებითა და მათ კონტროლს ემორჩილება. ლაპარაკია იმ ძალებზე, რომელთა მიმართ ხელისუფლებას უკიდურესად შეზღუდული სუვერენიტეტი გააჩნია.** მაგალითად, აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის ქვეყნების პარტიულ-სახელმწიფოებრივი ხელმძღვანელობა ემორჩილებოდა მოსკოვის ბრძანებებს. სწორედ იქიდან უთხრეს, ჩაებარებინათ ხელისუფლება „ხავერდოვანი“ რევოლუციონერებისთვის (**ჩაუშესკუს** მცდელობა, უგულებელეყო ეს ბრძანება, სიცოცხლის ფასად დაუჯდათ მას და მის ცოლს). სერბეთში **მილოშევიჩის** გარემოცვამ ნატოს მიერ განხორციელებული ინტენსიური დაბომბვების, და, ეტყობა, კულისებს მიღმა მოლაპარაკების შემდეგ შეწყვიტა წინააღმდეგობა და დაემორჩილა დასავლეთის დიქტატს. **კუჩმამ** და **შევარდნაძემ** აშშ-ის ადმინისტრაციის ზეგავლენით დაკარგეს დამოუკიდებლად მოქმედების უნარი და შესაძლებლობა, და იმ მომენტისთვის, როცა მათ შეატყობინეს, რომ იწყებოდა მათი „დამხობის“ სპექტაკლი, აღარ გააჩნდათ არც ძალა, არც მოტივი, რეალური წინააღმდეგობის გასაწევად (როგორც ეს თავის დროზე **სალვადორ ალიენდემ** გააკეთა ჩილეში).

**ყველა ამ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პოლიტიკური რეჟიმების თვითლიკვიდაციას, რომელთაც ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს აშშ-ის გულის მოგება. ყველა ამ შემთხვევაში „თვითმკვლელებს“ ჩაენაცვლნენ თავიანთი ხასიათით იმდენად მარიონეტული რეჟიმები, რომ ამ ქვეყნებში სუვერენულ სახელმწიფოებრიობაზე ლაპარაკიც წარმოუდგენელია (სააკაშვილის ზეობა საქართველოში).**

იმის ვარაუდიც კი, რომ ხელისუფლება ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებს მოწინააღმდეგესთან კაპიტულაციის თაობაზე, საზოგადოების პარალიზებას იწვევს და მხარდაჭერის ძალას აცლის.



დასავლურ საზოგადოებაში უმაღლესი ხელისუფლების შეცვლა ფრიად არაკეთილსასურველი ფაქტორია, რომელიც აუარესებს სახელმწიფოს მდგომარეობას კონფლიქტის დროს, მაგრამ იგივე ფაქტორი არ ხდება საზოგადოების დადამბლავების მიზეზი. სახელმწიფო ხომ მხოლოდ „ღამის დარაჯია“! ეს დარაჯი შეიძლება მოღალატე აღმოჩნდეს, მაგრამ საზოგადოებამ ძალა უნდა მოიკრიბოს და გაერთიანდეს საკუთარი გათვითცნობიერებული ინტერესების დასაცავად.

ტრადიციული საზოგადოების მსოფლიო სივრცეში კი უმაღლესი ხელისუფლების „თვითმკვლელობა“ წარმოგვიდგება კატასტროფად, რომელიც მომენტალურად ანგრევს სახელმწიფოებრიობას.

ანალიტიკოსები ასკვნიან, რომ უახლესი „რევოლუციური ტექნოლოგიების“ ახალი თვისება გამოიხატება ამ, გარედან დაკვეთილი რევოლუციების მუსიკალური ოპუსის „ოთხ ხელში“ შესრულებით. ამ დროს ხელისუფლების წარმომადგენლები თავიანთ დამხობას ოპოზიციაზე არანაკლები ენთუზიაზმით ცდილობენ.

„რევოლუციურ სიტუაციაში“ ხელისუფლება, რომელსაც აქვს საკმარისი სახსრები კარგი კონსულტანტებისა და ექსპერტების დასაქირავებლად, უცებ იწყებს გაუგებარ მოქმედებას, ვითომდა „არაკომპეტენტურობის“ გამო, და უხეშს შეცდომას შეცდომაზე უშვებს, რომელთა შედეგები კატასტროფულია.

კიევში განვითარებული მოვლენების შემსწავლელი საზოგადოებათმცოდნეები მიგვითითებენ, რომ ტექნიკური თვალსაზრისით, „ნარინჯისფერი რევოლუცია“ არ მოხდებოდა ქვეყნის უმაღლესი ხელისუფლების მონაწილეობის გარეშე.

ფართო საზოგადოებისთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს უმაღლესი ხელისუფლების მოტივებს, რომლებმაც პოლიტიკური „თვითმკვლელობა“ განახორციელა და რომელიც შეიძლება სახელმწიფო ღალატად შეფასდეს. ამ დროს ამოქმედდება — შიში, ანგარება და ხშირად — მტრობა თავისი „ყოფილი“ ქვეყნის (ანუ რევოლუციონერებისადმი) იდეური თანაგრძნობაც კი.

შ. მამაევი, რომელიც ხელისუფლების დამხობის მსგავს შემთხვევებს შეისწავლიდა, ასეთ საერთო დასკვნას გვთავაზობს: „უნებურად ჩნდება შეკითხვა: რატომ იყო, რომ, როცა აკაევს, კუჩმას, შევარდნაძეს შეატყობინეს, რომ მათ წინააღმდეგ მზადდება რევოლუცია, რეალური წინააღმდეგობა არ გასწიეს? ყირგიზეთის ყოფილმა პრეზიდენტმა აკა აკაევმა უცხოეთში გადახვეწის შემდეგ ერისადმი მოწოდებაში განაცხადა: „ჩემს განკარგულებაში მყავდა საკმარისი ძალა, მაგრამ, როცა თავაშვებული, უმართავი ტალღა თეთრ სახლს მოაწყდა, განკარგულება გავეცი, ძალისმიერ აქციებში არ მიეღოთ მონაწილეობა და არ გამოეყენებინათ იარაღი“.

მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ „ტიტების რევოლუციამდე“ სამი წლით ადრე იმავე აკაევის ძალოვნებმა ქვეყნის სამხრეთში დახვრიტეს მშვიდობიანი დემონსტრაცია და ამის გამო არავინ დაუსჯიათ.

შ. მამაევის აზრით, ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო შემთხვევების ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქმე გვაქვს ვაშინგტონის პოზიციასთან: **„ნაყიდი“ არჩევნებით აშენებული დემოკრატია არავითარ ვალდებულებას არ გულისხმობს თავისი ელექტორატის წინაშე“.**

## „ფერადი რევოლუცია“: სპეცსამსახურების როლი

სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის „ხავერდოვანი რევოლუციების“ განხორციელებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობს სახელმწიფო უშიშროების ორგანოები.

ჯიმ შარპის ცნობილ სახელმძღვანელოში ნათქვამია: „დაუმორჩილებლობის სტრატეგებს უნდა ახსოვდეთ, რომ დიქტატურის დამარცხება ძალიან ძნელი ან შეუძლებელი იქნება, თუ პოლიცია, ბიუროკრატიული აპარატი და შეიარაღებული ძალები დიქტატურის მხარეს დარჩებიან და კვლავაც მის ბრძანებებს დაემორჩილებიან, ამიტომ დაუმორჩილებლობის სტრატეგებმა ძალოვანი სტრუქტურების დიქტატორისადმი ლოიალური დამოკიდებულების აფეთქების სტრატეგია უმაღლეს პრიორიტეტად უნდა მიიჩნიონ.

დემოკრატიულმა ძალებმა ჯარისკაცებსა და ოფიცრებს არ უნდა მოუწოდონ დაუყოვნებელი ამბოხისკენ. ამის ნაცვლად, თუკი აქვთ მათთან კავშირი, აუცილებელია, მკაფიოდ განუმარტონ, რომ არსებობს ბევრი, შედარებით უსაფრთხო ფორმა „ფარული დაუმორჩილებლობის“, რომელთა გამოყენება შეიძლება რევოლუციის დაწყებით სტადიაზე. მაგალითად, პოლიციამ და სამხედროებმა არაეფექტიანად უნდა შეასრულონ ბრძანებები, არ იპოვონ ძიებაში მყოფი მოქალაქეები, გააფრთხილონ აქციების მონაწილენი მოსალოდნელი რეპრესიების, დაპატიმრებების ან გადასახლების შესახებ, ასევე, არ მიაწოდონ ზემდგომ მეთაურებს მნიშვნელოვანი ინფორმაცია. უკმაყოფილო ოფიცრებმა შეიძლება ინსტანციის მიხედვით არ გადასცენ რეპრესიების მოწყობის ბრძანება, ხოლო — სახელმწიფო მოხელეებმა დაკარგონ საქაღალდეები მნიშვნელოვანი საქმეებით და ინსტრუქციებით, იმუშაონ ზანტად, ავად გახდნენ და გამოჯანმრთელებამდე შინ ისხდნენ“.

ამერიკელი მიმომხილველი ჩივერსი „ნიუ იორკ თაიმსში“ წერს: **„უკრაინაში რევოლუცია-პუტჩის გამარჯვებაში მთავარი როლი ითამაშეს სახელმწიფო უშიშროების ოფიცრებმა, რომლებიც თავიანთ მოქმედებას აშშ-ს უთანხმებდნენ“.**

ეს ფაქტები სრულად ეთანხმება რუსი და უკრაინელი დამკვირვებლების ცნობებს. გაზეთ „კომერსანტის“ ჟურნალისტმა ს. სტროკანმა განაცხადა: „კიევის ამასწინანდელ მოვლენებში უკრაინის საიდუმლო სამსახურების გადამწყვეტი როლი დადასტურებულია ათობით დოკუმენტით, რომლებიც გასაჯაროვდა ცხელ კვალზე და გულახდილი აღიარებით არის სავსე. რესპონდენტთა შორის, სპეცსამსახურების თანამშრომლების გარდა, არიან პარლამენტარები, ოპოზიციის ლიდერები, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის პირები და დასავლელი დიპლომატები. ეს პუბლიკაცია გამოჩნდა უკრაინისა და ამერიკის პრესაში და იქ მოხმობილ ფაქტებს ადასტურებს ჩვენი წყაროები კიევში“.

გადამწყვეტი მოვლენები სპეცსამსახურების მონაწილეობით კიევში 2004 წლის 21-დან 28 იანვარს განხორციელდა, მაგრამ ისინი წინასწარ იყო მომზადებული.

ნიშანდობლივია ერთი ფაქტი, რომელიც 25 ნოემბერს მოხდა. მიტინგის მსვლელობისას იუშჩენკოს მხარში ამოუდგა უკრაინის უშიშროების სამსახურის ხუთი ოფიცერი, რომლებმაც გამოაქვეყნეს განცხადება ამ სტრუქტურის პოზიციის შესახებ და მოწოდება ძალოვანი სტრუქტურების კოლეგებისადმი: „არ დაგავიწყდეთ, რომ მოწოდებულნი ხართ, ემსახუროთ ხალხს. უკრაინის უშიშროების სამსახურს თავის მთავარ ამოცანად ხალხის დაცვა მიაჩნია, მიუხედავად იმისა, საიდან ემუქრება საშიშროება. იყავით ჩვენთან ერთად!“ მეორე დილით „ნარინჯისფერი“ ოპოზიციის ბრბოს შეუერთდნენ შინაგან საქმეთა აკადემიის კურსანტები, რომლებიც მწყობრ რიგებად, მარშით მივიდნენ ბარიკადებზე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



# მაკრონი: ირანის ატომური შეთანხმებიდან აშშ-ის გამოსვლა პანდორას ყუთს გახსნის

**ირანის შეთანხმებიდან აშშ-ის პოტენციურ გამოსვლას შეიძლება ნეგატიური შედეგები მოჰყვეს. საფრანგეთის პრეზიდენტმა ემანუელ მაკრონმა გერმანულ გამოცემა Der Spiegel-ს განუცხადა, რომ საეჭვოა, ვაშინგტონში მოვლენების ამგვარი განვითარება სურდეთ. აღნიშნული ინტერვიუ გასულ კვირაში გამოქვეყნდა გერმანულ ყოველკვირეულში.**

„ეს ნიშნავს, რომ ჩვენ თავი ავხადეთ პანდონას ყუთს, ეს შეიძლება ნიშნავდეს ომს, — იმოწმებს მის სიტყვებს „დერ შპიგელი“, — მაგრამ არა მგონია, რომ დონალდ ტრამპს სურს ომი“.

ხელშეკრულება თეირანმა 2015 წელს შეუთანხმა მსოფლიოს ექვს სახელმწიფოს: რუსეთს, დიდ ბრიტანეთს, ჩინეთს, აშშ-ს, საფრანგეთსა და გერმანიას, 2016 წლის იანვარში კი რეალიზაციის სტადიაში შევიდა. ხელშეკრულება ითვალისწინებს ირანის საწინააღმდეგოდ მიღებული სანქციების გაუქმებას. სანაცვლოდ თეირანმა ივალდებულა, შეზღუდოს ბირთვული საქმიანობა.

# ირაკლი!

რამდენიმე დღის წინათ ძალიან სამწუხარო ამბავი შევიტყვეთ — ირაკლი თოდუა გარდაიცვალა, ახალგაზრდა კაცი, რომელიც ქვეყანას ისე სჭირდებოდა, როგორც არასდროს. ადამიანი, რომელსაც უდიდესი სითბოს გამოხატვა შეეძლო და განსაკუთრებული ყურადღებით გვეპყრობოდა ჩვენ — დიდი სამამულო ომის ვეტერანებს. არ გვახსოვს არც ერთი 9 მაისი, რომ არ გავხსენებოდით და გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ ჩვენი მოსაფერებელი წერილი არ გამოექვეყნებინა. სამწუხაროა, რომ წელს მის გარეშე ვხვდებით ამ დღეს...

სამწუხაროა ასეთი ახალგაზდის დაკარგვა ყველასთვის, მაგრამ გვინდა, სამძიმარი ვუთხრათ, პირველ რიგში, მის ოჯახს — დედას, მეუღლესა და ოთხ შვილს. ასევე სამძიმარს ვუცხადებთ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ შემოქმედებით კოლექტივს და ვუსურვებთ, ღირსეულად გაეგრძელებინოს ირაკლი თოდუას დაწყებული საქმე...

მსუბუქი იყოს, ჩვენო სასახელო შვილო, შენს გულზე დაყრილი სამშობლოს მიწა. ნათელში გამყოფოს უფალმა!

**დიდი სამამულო ომის ვეტერანთა თბილისის ორგანიზაციის სახელით,**
**შოთა ბუაძე,**
**ტარას იჩქიტიძე,**
**სერგო მირზოიანი,**
**ვალერიან კაციტაძე**

# ამერიკულმა უშიშროებამ ამერიკელების 500 მილიონზე მეტი სატელეფონო ზარი ჩაიწერა

**აშშ-ის ეროვნული უშიშროების სააგენტო წლიდან წლამდე უფრო და უფრო მეტი რიგითი მოქალაქის ზარებსა და კერძო მიმოწერას იწერს და აგროვებს. Reuters-ის ცნობით, 2017 წელს მან 534 მილიონ სატელეფონო ჩანაწერს მოუყარა თავი.**

გასული წლის მონაცემებთან შედარებით, შეგროვებული ჩანაწერების რაოდენობამ სამჯერ და მეტად მოიმატა: 2016 წელს შეგროვებული 151 მილიონიდან 2017-ში — 523 მილიონამდე,— ნათქვამია სადაზვერვო სამსახურის ანგარიშში. ასეთი მკვეთრი მატების მიზეზს არ ასახელებენ.






„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 42 წლისა მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი კოლეგა და მეგობარი, შესანიშნავი ჟურნალისტი, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორი

**ირაკლი თოდუა**

და თანაუგრძნობს მის ოჯახსა და ახლობლებს.

ირაკლი თოდუას გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული ჟურნალისტიკისთვის და მთელი საქართველოსთვის.

**გაზეთის რედაქცია**

---

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმი და გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორი თამაზ წივწივაძე მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ჟურნალისტის, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორის

**ირაკლი თოდუას**

გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს, კოლეგებსა და ახლობლებს.

---

საქართველოს მწერალთა ეროვნული აკადემია მწუხარებას გამოთქვამს ცნობილი ჟურნალისტის, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორის

**ირაკლი თოდუას**

გარდაცვალების გამო.

---

გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორი

**ირაკლი თოდუა**

და თანაუგრძნობს მის ოჯახსა და ახლობლებს.

---

ჟურნალი „დილა“ მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორი

**ირაკლი თოდუა**

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

ღრმა მწუხარებას გამოვხატავთ გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორის, ბატონ

**ირაკლი თოდუას**

გარდაცვალების გამო და თანავუგრძნობთ ოჯახს და გაზეთის შემოქმედებით კოლექტივს.

**ივანე მოროხია**, აგროეკონომისტი;
**მალხაზ ჩარგეიშვილი**, ტექნოლოგი;
**ნინო ჩარგეიშვილი**, პედაგოგი (ზუგდიდი)

---

არმაზ სანებლიძე ოჯახით თანაუგრძნობს უახლოეს მეგობარსა და კოლეგას — ნუგზარ ფოფხაძეს ძმის

**დევი ფოფხაძის**

გარდაცვალების გამო

# საქართველოში 9-10 წლის მოსწავლეების 14 პროცენტს წაკითხულის გააზრების მინიმალური უნარი არ აქვს

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგები გამოაქვეყნა. როგორც ცენტრის კვლევის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ია კუტალაძემ განაცხადა, საქართველოში 9-10 წლის მოსწავლეების 14 პროცენტს წაკითხულის გააზრების მინიმალური უნარიც არ აქვს.**

„ეს არის პირველი საერთაშორისო კვლევა, რომელშიც საქართველომ მიიღო მონაწილეობა. წიგნიერების საერთაშორისო კვლევა, გარკვეული პერიოდულობით, ხუთ წელიწადში ერთხელ ტარდება. პირველად ჩვენ ამ კვლევაში მონაწილეობა მივიღეთ 2006 წელს, ამჯერად ჩვენ 2016 წელს ჩატარებული წიგნიერების საერთაშორისო კვლევის შედეგები წარმოვადგინეთ. პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ 2006 წლიდან 2011 წლამდე მოსწავლეთა მიღწევები გაუმჯობესდა, თუმცა კითხვაში ქართველი მოსწავლეების საშუალო მიღწევა საერთაშორისო საშუალო ნიშნულზე დაბალია. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ 9-10 წლის მოსწავლეების 14%-ს მინიმალურ დონეზეც არ აქვთ განვითარებული კითხვის, წაკითხულის გააზრების უნარი“, — განაცხადა ია კუტალაძემ. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლის შეფასებით, მეოთხეკლასელ მოსწავლეს, რომელსაც უჭირს წაკითხულის გააზრება, სწავლების მომდევნო საფეხურზე სერიოზული პრობლემები შეექმნება. ის, ფაქტობრივად, განწირულია აკადემიური მარცხისთვის.



აღნიშნული კვლევა 2016 წელს ჩატარდა და სამი დღის წინათ გამართულ კონფერენციაზე გასაჯაროვდა. კვლევა მოიცავს 200 სკოლას, 5 741 მოსწავლეს, 5 700 მშობელსა და 200 დირექტორს.

# აშშ-ში პლუტონიუმი დაკარგეს

**აშშ-ის აიდაჰოს სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლებმა დაკარგეს პლუტონიუმის ნატეხი, რომელიც მათთან ინახებოდა, ბირთვული რეგულაციის კომისიის განცხადებაზე დაყრდნობით, იუწყება Live Science.**

რადიოაქტიური ნივთიერების აღრიცხვა უნივერსიტეტში ბოლოს 2004 წელს ჩატარდა. მაშინ პლუტონიუმ-239-ის 14 ერთგრამიანი ნატეხი სათანადოდ შეფუთეს და დასამარხად მოამზადეს. შემდეგ მონაცემთა ბაზიდან ამოშალეს ჩანაწერი პლუტონიუმის შესახებ.

სად გაქრა ამის შემდეგ ერთ-ერთი ნატეხი, უცნობია: მომდევნო ანგარიშებში მის შესახებ არაფერია ნათქვამი. არც ის იცის ვინმემ, იყო თუ არა უტილიზებული.

აღნიშნული კომისიის პრესმდივანმა **ვიქტორ დრიქსმა** აღიარა, რომ ვერ იტყვის, დაკარგული პლუტონიუმი საფრთხეს წარმოადგენს თუ არა. ამასთანავე, ვარაუდობს, რომ „დაკარგვის“ მიზეზი ჩანაწერში დაშვებული შეცდომაა. „მიგვაჩნია, ბოლოს ის რადიაქტიური მასალების პოლიგონზე აღმოჩნდა“, — განაცხადა დრიქსმა.

კომისიამ ასეთი თავის მართლება სარწმუნოდ არ მიიჩნია და უნივერსიტეტი 8,5 ათასი დოლარით დააჯარიმა.




**ცნობისთვის: ერთი გრამი პლუტონიუმ-239 ბირთვული ბომბის დასამზადებლად საკმარისი არ არის, მაგრამ ბინძური ბომბის რადიოაქტიური საფუძვლის შექმნას ეყოფა, — ნათქვამია Live Science-ის სტატიაში.**


## ძვალ-სახსართა პათოლოგიისა და გახდომა-გასუქების ცენტრი

**კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპარეზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტისა და პოლიართრიტის მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა. მკურნალობა საოპერაციო და უშედეგეოდ ნაოპერაციებ სახსრებზე უახლესი მეთოდებით.**

**ზრდის სწრაფი და ეფექტიანი პროგრამები 2-დან 25 წლამდე კურსით 3-5 სმ-ის მომატებით, მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც.**

**გახდომა-გასუქება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, აკრძალვების, ვარჯიშების გარეშე, ნივთიერებათა ცვლისა და კუჭ-ნაწლავის მოწესრიგებით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, ყველაფერი — მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე.**

**ტელ: 599-722-138; 247-58-83**
**მის.: წერეთლის №142, I სართ.**
**კაბინეტი №6. ქალბატონი ქეთევანი**



საქართველო
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია
http://www.geworld.ge



მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894